

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

\*2424

რეფორმა პრობლემატური  
სისტემაში

A7



მეორედ ჩაბმული  
არჩევნები  
მოლოდინები

A8



i.r.a.

A10



## საკონსტიტუციო მანევრები

საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფის გუშინდელ შეხვედრაზე საბოლოოდ დადგინდა ის ხუთი კომპონენტი, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო კომისია დაკომპლექტდება. ამავდროულად კომისიის შემადგენლობის კვლევებიც განისაზღვრა. პარლამენტის თავმჯდომარე სამუშაო ჯგუფის სხდომას "საკმაოდ საინტერესოს და მნიშვნელოვანს" უწოდებს და კმაყოფილია იმით, რომ "ძირითად პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება შედგა".

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის სპიკერის თქმით, პირველი კომპონენტი იქნება პოლიტიკური პარტიები,

კერძოდ კი - კვალიფიციური სუბიექტები, საპარლამენტო პარტიები და ის ახლად შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც ბოლო არჩევნებში

მონაწილეობა მხოლოდ იმის გამო ვერ მიიღეს, რომ ამ არჩევნების შემდეგ დაფუძნდნენ, თუმცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკვე გარკვეულ როლს ასრულებენ.

მეორე კომპონენტს შეადგენს არასამთავრობო ორგანიზაციები და, როგორც ბაქრაძე აღნიშნავს, გუშინდელ შეხვედრაზე შედგა შეთანხმება ამ ორგანიზაციების ნაწილთან ("ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "კონსტიტუცი-

ის 42-ე მუხლი", "სამართლიანი არჩევნები", "საერთაშორისო გამჭვირვალობა", "თავისუფლების ინსტიტუტი", "ალპე" და გაეროს-ს ახალგაზრდული ორგანიზაცია) დაკავშირებით, რომლებიც საკონსტიტუციო კომისიაში ჩაერთვებიან. კიდევ ორი არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობის საკითხი მოგვიანებით დაზუსტდება.

ბაგრძალია A3 გვირგვინი

## ოპოზიციის ქარტია

დათო ბაჩისონია

26 მაისის შემდეგ საპროტესტო აქციების ორგანიზატორი პოლიტიკური პარტიები კოორდინირებულ მოქმედებას ვერ ახერხებენ, მიუხედავად ამისა, გუშინ უზენაესი სასამართლოს შენობასთან მათ ქვეყნის მომავალი განვითარების საკითხზე ერთობლივი ხედვა წარმოადგინეს. ოპოზიციური ძალების ვალდებულებათა ქარტიას, სხვა პარტიებთან ერთად, ხელი მოაწერეს "ეროვნულმა ფორუმმა" და ირაკლი ალასანიას პოლიტიკურმა გუნდმა. მთლიანობაში ოპოზიციის დეკლარაციაზე 11 პოლიტიკური პარტიისა და ორი უპარტიო პოლიტიკოსის ხელმოწერა. ოპოზიციის დოკუმენტს არ შეერთებინ "ლეიბორისტები", "მოდრობა თავისუფლება" და ზურაბ ნოლაიდელის პოლიტიკური მოძრაობა.

ბაგრძალია A2 გვირგვინი



AFP - 2009

## ხმა მიეცით კომუნისტებს!

სანამ ხელოვნების 53-ე საერთაშორისო ბიენალე დაიწყება

სოფო კილასონია  
პენსიონირი

"ხმა მიეცით კომუნისტებს!" - ამას მე არ მოგიწოდებ, ამას ვენეციელებს ქალაქში გამოკრული პლაკატები მოუწოდებენ. იტალიაში არჩევნებისთვის ემზადებიან და ზუსტად იცინა, რომ პარლამენტსა და ხელისუფლებაში არ დაუშვებენ ძალას, რომლის სათავეშიც ბერლუსკონი იქნება. მართალია, საარჩევნო ლოზუნგები და დეკლარაციების კანდიდატურა სახეები ყველაზე ბევრი და თვალშისაცემი, თანაც ყოველ "კამპოსა" და "პიზაზეზე", მაგრამ ის რომ ვენეცია კიდევ სხვა რაღაცისთვის ემზადება და ეს სხვა ბევრად უფრო ახლოსაა, ვიდრე პოლიტიკურ ძალთა პაექრობა, ქალაქსაც ეტყობა და მის სტუმრებსაც - ფურნალისტებს, რომლებსაც დღეს ევატივობა, ისე ჩაუარონ მრავალსაუკუნოვანი ღირსებას, რომ არც კი შეხედონ მათ. გასაგებია რატომაც, მათ ხომ მიმართულება ერთი აქვთ - არსენალე!

ბაგრძალია A11 გვირგვინი



საარჩევნო მარათონის პლაკატების ვენეციური გამოფენა.

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ჩვენი პარტნიორები:

# ოპოზიციის ქარტია

პირველი გვერდიდან

**"საკავშირის რეჟიმის პირობებში ქართველი ხალხი განსაცდელშია,"** - ამ სიტყვებით იწყება ქართველი ხალხის წინაშე პოლიტიკური ოპოზიციის ვალდებულებათა დეკლარაცია. მას შემდეგ, რაც "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ გუშინ უზენაესი სასამართლოს შენობის წინ ოპოზიციის ხედავზე და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების წარუმატებლობების შესახებ ისაუბრა, ოპოზიციის ვალდებულებათა ქარტიას რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი შეუერთდა. კერძოდ, ალასანიას პოლიტიკური გუნდი, "ახალი მემარჯვენეები", "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო", "კონსერვატიული პარტია" "მოშავლის პარტია," "მრეწველები," "რესპუბლიკური პარტია", "საქართველოს გზა", "ქალთა პარტია", "ხალხის პარტია", აგრეთვე ლევან გაჩეჩილაძე და კოკა გუნცაძე. ერთობლივ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია საქართველოს მომავალი განვითარების შესახებ ოპოზიციის ხედვა და მიზნების რეალიზებისთვის გადასადგმელი ნაბიჯები. არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში 10 პუნქტად არის ჩამოყალიბებული ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურაზე დამყარებული ევროპული ტიპის, დემოკრატიული, მდიდარი სახელმწიფოს აშენებისთვის აუცილებელი საფუძვლები. კერძოდ - დამოუკიდებელი და სამართლიანი არჩევნები; დამოუკიდებელი მედია; გამჭვირვალე მთავრობა; პოლიტიკური დევნის დაუშვებლობა; საკუთრების ხელშეუხებლობა; დაბალანსებული/განონანსორებული საგარეო პოლიტიკა; თავისუფალი ეკონომიკა; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ირაკლი

ოქრუაშვილის პოლიტიკური პარტიის გენერალური მდივნის ინიციატივით შექმნილ დეკლარაციაში წერია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით, აუცილებელია აფხაზეთთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის დაწყება. ადგილობრივი ვალდებულებების შესრულებას ოპოზიციური ძალები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აპირებენ, ხოლო ამ კონკრეტული მიზნის მიხედვით მათ მოქმედების ერთადერთი ტაქტიკა აქვთ არჩეული. ოპოზიციის აზრით, პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა მიღწევადი უწყვეტი საზოგადოებრივი პროტესტისა და შემდგომი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზით - კონსტიტუციური და დემოკრატიული პროცესების ფარგლებში. რეგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ქარტიის ავტორები სხვადასხვა დაპირებებს იძლევიან. "ვიღებთ ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელების ვალდებულებას, დემოკრატიული პროცესების აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით," - აღნიშნულია ქარტიაში. იქვე ჩამოთვლილია პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების ხედვები ქვეყნის პრიორიტეტების შესახებ. მათში, ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებასთან და სამხედროების შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობის უზრუნველყოფასთან ერთად, მოიაზრება ევროგაერთიანებაში და სხვა დასავლურ ალიანსებში საბოლოო განვითარებისკენ მიმართული ძალისხმევა. პარალელურად, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ხელმომწერი პარტიები სახელმწიფო ინტერესების დაცვით აპირებენ რუსეთთან ურთიერთობის ნორ-

მალზებას. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქვეყნის პრიორიტეტად უნდა იქცეს. გარდა ამისა, ოპოზიციის ვალდებულებების ქარტიის დიდი ნაწილი დაეთმო მოქმედი მთავრობის წარუმატებლობებს. ოპოზიციური პარტიები ყურადღებას ამახვილებენ ამათუ იმ სახელმწიფო სტრუქტურაში სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე. "შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციონირების რეფორმა. სპეცსამსახურების პოლიტიკური უანდარმის ფუნქციისგან გათავისუფლება. პოლიციისა და ძალოვან სტრუქტურებში არსებული პრაქტიკა დაქვემდებარება დამოუკიდებელ რევიზიას და სავარაუდო დარღვევების ფაქტზე განხორციელება დამოუკიდებელი გამოძიება," - მითითებულია ვალდებულებათა ქარტიაში. ოპოზიციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ცვლილებებს სხვა უწყებებიც საჭიროებენ. "აუცილებელია განათლების სისტემის ეროვნულ საგანმანათლებლო ტრადიციებზე გადასვლა," - აღნიშნულია ქარტიაში, თუმცა განმარტებული არ არის, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ პუნქტში. ხელმოწერის შემდეგ ვალდებულებების ქარტიის მნიშვნელობაზე კომენტარი გააკეთა "მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ. "ამ დოკუმენტზე ერთობლივი ხელმოწერა გულისხმობს ურთიერთკონტროლს და რაც მთავარია, საზოგადოება უნდა იყოს ადგილობრივი პასუხისმგებლობის მაკონტროლებელი," - აღნიშნა გამყრელიძემ. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიების მიერ შემუშავებულ ვალდებულებათა დეკლარაციას ხელი მოაწერეს "ალიანსი თავისუფლებისთვის" წევრმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ქარტიას ხელი არ მოაწერა ამავე ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა კოკო გამსახურდიამ. "მოძრაობა თავისუფლების" ლიდერმა კომენ-

ტარი გააკეთა მიღებული ვალდებულებების შესახებ. "ჩემთვის ის ქვეყნის რეჟიმის, რაც ქარტიაშია ჩამოთვლილი, ოდითგანვე მისაღები იყო და არავის წინაშე არ ვაპირებ ამის ხელმოწერით დადასტურებას. თუკი დამიჯერებენ, ისე დამიჯერონ," - აღნიშნა გამსახურდიამ. "თავისუფლების" ლიდერის პოზიცია გაიზიარა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიძემ. "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერმა განაცხადა, რომ "ამ ქარტიის დებულებებს კარგად არ ვიცნობ, თუმცა ვფიქრობ, რომ კარგი და სწორი იყო კონსტიტუციის განხორციელების პასუხი. ჩვენ ამ ვალდებულებებს ისედაც ვასრულებთ და ყოველთვის შევასრულებთ." ნოღაიძისა და გამსახურდიასგან განსხვავებით, "ლეიბორისტული პარტია" ვალდებულებების ქარტიას განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ხედვის გამო არ შეუერთდა.

## კომენტარი

ოპოზიციური ძალების ვალდებულებების დეკლარაცია შეაფასა პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ. მან აღნიშნა: "მე არ მესმის ამ ქარტიის მარტივი ქმედების კომპლექსიტი ამ ეტაპზე. საპროტესტო აქციების დაწყებიდან თითქმის ორი თვე გავიდა და ხალხს ახლა ეუბნებიან, რომ აი, ამისთვის იდექით ამ ხნის განმავლობაში საპროტესტო აქციებზეო. ნორმალურ ქვეყანაში, ნორმალური პოლიტიკური პარტიები თავინთ პროგრამებს აქვეყნებენ და მათში დებენ აქ აღნიშნულ პრინციპებს. ჩემი აზრით, ამ დოკუმენტზე ხელმოწერა არ არის სოლიდური, ვინაიდან ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს თავისი პროგრამა, რაც სხვადასხვა საშუალებებით უნდა იყოს დაყვანილი ელექტორატამდე."

## ნატო ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს არ ცნობს

ნატო-ს გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერის განცხადებით, ნატო ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებს არ ცნობს. ეს "არჩევნები" ხელს არ უწყობს საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, - აცხადებს სხეფერი. მისი თქმით, ნატო ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. **მედიანიუსი**

## საქართველოში გაერო-ს მისიის მანდატის გაგრძელების საკითხზე 12 ივნისს იმსჯელებენ

საქართველოში გაერო-ს მისიის მანდატის გაგრძელების საკითხზე გაერო-ს უშიშროების საბჭო 12 ივნისს იმსჯელებს. საკითხი სხდომის დღის წესრიგში უკვე შეტანილია. სხდომა დახურულ კარს მიღმა გაიმართება. საქართველოში ორგანიზაციის მისიის გაგრძელების საკითხზე უშიშროების საბჭო საბოლოო რეზოლუციას 15 ივნისს მიიღებს. დოკუმენტი, სავარაუდოდ, გაერო-ს გენერალურ მდივან ზან კი მუნის ბოლო მოხსენებაზე დაყრდნობით შემუშავდება. **ჯი-ეი-ენი**

## "საქართველოს ნატო-ში განწევრიანების საკითხზე მოსკოვთან სასაუბრო არაფერია"

ამერიკელ პოლიტოლოგ დევიდ სმიტის განცხადებით, საქართველოს ნატო-ში განწევრიანების საკითხზე რუსეთთან სასაუბრო არაფერია. "რუსეთი არ არის ალიანსის წევრი და ვეტოს უფლება არ გააჩნია. გადაწყვეტილებას ნატო-ს წევრი 29 ქვეყანა იღებს. როდესაც ევროპული სახელმწიფოები და პრეზიდენტი ობამა შეთანხმდებიან, რომ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის დრო მოვიდა, ეს ასეც მოხდება," - აცხადებს სმიტი და აქვე განმარტავს, რომ საქართველოს საკითხი ბრიუსელში წყდება და არა მოსკოვში. მისივე თქმით, ერთადერთი თემა, რომელიც რუსეთთან ერთად უნდა განიხილებოდეს, უსაფრთხოების საკითხებია, რომლებიც ნატო-ს წევრებს, რუსეთსა და მსოფლიოს შეიძლება ემუქრებოდეს. "მაგრამ, რაც შეეხება საქართველოს ნატო-ში განწევრიანებას, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აქ მოსკოვთან სასაუბრო არაფერია," - დასძენს ამერიკელი პოლიტოლოგი.

## საქართველოს თავდაცვის მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. სიხარულიძემ ვაშინგტონში ოფიციალური შეხვედრების გამართვა გუშინ დაინიშნა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის ელჩების ინიციატივით დაგეგმილ საგანგებო შეხვედრაში, რომელიც ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას ეძღვნება და რომელზეც საქართველს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასაც განიხილავენ.

გარდა ამისა, დავით სიხარულიძე სიტყვით გამოვა ამერიკის ატლანტიკური საბჭოს შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ გამოწვევების საკითხზე გაიმართება. საქართველოს თავდაცვის მინისტრი შეხვედრებს კონგრესშიც გამართავს, სადაც ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი ორ ქვეყანას შორის გაფორმებული ქარტიის კონკრეტული პუნქტების შესრულება იქნება. "ჩვენ განვიხილავთ იმ ღონისძიებების შესრულებას, რომლებიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაშია გატარებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ქარტიის ყველა პუნქტი განხორციელდეს," - აცხადებს სიხარულიძე.

## პიტერ სემნები საქართველოს კიდევ ერთხელ ეწევა

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები დღეს საქართველოს კიდევ ერთხელ ეწევა. როგორც სემნების თანაშემწემ განაცხადა, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ორდღიანი სამუშაო ვიზიტით თბილისს დღეს დილით ეწევა და შეხვედრებსაც დილიდან დაიწყებს. იგი სასტუმრო "თბილისი მარიოტში" არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს შეხვდება, მოგვიანებით კი - ხელისუფლების წარმომადგენლებს. **პირველი**

# აშშ საქართველოს სამხედრო დახმარებას გაუნეშს

უძლია, საკუთარი როლი შესრულოს გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლაში - საფრთხეებთან, რომლებიც შესაძლოა ყველას დაემუქროს," - აცხადებს ჯეიმს სტავრიდისი. რაც შეეხება საქართველოში ნატო-ს ეგიდით ჩატარებულ სწავლებებს, ამერიკელი ადმირალის შეფასებით, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საქართველომ შეძლო დასახელება. საბჭო ნატო-ს მიერ საქართველოს მხარდაჭერის მიზეზებს განიხილავს, რუსეთი კი დარწმუნდება, რომ ეს რეგიონის სტაბილურობისთვის აუცილებელია. "საქართველოს შე-

უძლია, საკუთარი როლი შესრულოს გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლაში - საფრთხეებთან, რომლებიც შესაძლოა ყველას დაემუქროს," - აცხადებს ჯეიმს სტავრიდისი. რაც შეეხება საქართველოში ნატო-ს ეგიდით ჩატარებულ სწავლებებს, ამერიკელი ადმირალის შეფასებით, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საქართველომ შეძლო დასახელება. საბჭო ნატო-ს მიერ საქართველოს მხარდაჭერის მიზეზებს განიხილავს, რუსეთი კი დარწმუნდება, რომ ეს რეგიონის სტაბილურობისთვის აუცილებელია. "საქართველოს შე-

უძლია, საკუთარი როლი შესრულოს გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლაში - საფრთხეებთან, რომლებიც შესაძლოა ყველას დაემუქროს," - აცხადებს ჯეიმს სტავრიდისი. რაც შეეხება საქართველოში ნატო-ს ეგიდით ჩატარებულ სწავლებებს, ამერიკელი ადმირალის შეფასებით, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საქართველომ შეძლო დასახელება. საბჭო ნატო-ს მიერ საქართველოს მხარდაჭერის მიზეზებს განიხილავს, რუსეთი კი დარწმუნდება, რომ ეს რეგიონის სტაბილურობისთვის აუცილებელია. "საქართველოს შე-

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "გვპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუხამიძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება/Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშინია (რეჟიუ), კახა ფარუაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი: ირაკლი ლევიანი. ტელ: 899 22 09 49. ქმონის მფლობელი (პენსია): თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაკლი ლევიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავთაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# საკონსტიტუციო მანევრები

პირველი გვერდიდან

მესამე კომპონენტი ექსპერტები, რომელთა კანდიდატურებიც კომისიის მომავალმა თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა წარმოადგინა. დემეტრაშვილს სურს კომისიის მუშაობაში ჩაერთონ ექსპერტები დავით აფრასიძე, ლევან ალექსიძე, ზაზა ბიბილაშვილი, მარინა გარიშვილი, ვია გენაძე, ვასილ გონაშვილი, თორნიკე გორდაძე, ზურაბ დავითაშვილი, დავით დოლიძე, გიორგი ქაფიანი, გიორგი კვეციანი, გიორგი კვეციანი, მალხაზ მაჭავარიძე, ვია ნოდია, ალექსანდრე რონდელი, ზაზა რუხაძე, იაკობ ფუტყარაძე, ქეთევან ქოქრაშვილი, სოსო ცინცაძე, კახი ყურაშვილი, ნანა ჭილაძე, ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ ჯიბლაშვილი, გიორგი ხუციშვილი და ზაზა ნამორაძე.

მეთხუთმე კომპონენტის შეადგენენ რეგიონების - აფხაზეთის, აჭარისა და ცხინვალის რეგიონის - წარმომადგენლები, ხოლო მეხუთეს (ის აქამდე არ სახელდებოდა) -

სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძოდ პარლამენტი, პრეზიდენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება და ის ორგანოები, რომლებიც კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

რაც შეეხება შემადგენლობის კვოტებს, დავით ბაქრაძის განცხადებით, პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რეგიონულ წარმომადგენლებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს საკონსტიტუციო კომისიაში თითო წარმომადგენელი ეყოლება.

ამასთან, პოლიტიკურ პარტიებს ეძლევათ ორკვირიანი ვადა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ კომისიაში ჩართვასთან დაკავშირებით. ორი კვირის შემდეგ კი, როგორც სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, უკვე დაგვიანებული იქნება.

**"თუ ვინმეს სურს კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესში ჩართვა, პოლიტიკური კვლევა-კვლევა გვერდზე უნდა გადადოს. საშუალება უნდა მიეცეთ იურისტებს, რომ იმუშაონ და საკუთარი პროდუქტი რაც შეიძლება სწრაფად დადონ, მაგრამ, ამავე დროს, ყველას უნდა ესმოდა, რომ ამ პროდუქტის ერთ ან ორ თვეში დადება შეუძლებელია,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი. დავით ბაქრაძე "არაკვალიფიციურ და არასერიოზულ განცხადებად" მოიხსენიებს ზურაბ ნოღაიდელის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიის მუშაობის დასრულების ვადად 31 დეკემბრის დასახელება დროის განვლვას წარმოადგენს და კომისიის მუშაობა 31 აგვისტომდე უნდა დასრულდეს.

საკონსტიტუციო კომისიის მიერ მუშაობის ნაჩქარევად დასრულებას არც საპარლამენტო უმცირესობა ეთანხმება. პარლამენტის ვიცე-სპიკერის, პარტია "ჩვენ თვითონ"-ის ლიდერის პაატა დავითაიას თქმით, კომისიის მუშაობაში უნდა ჩაერთონ საერთაშორისო სპეციალისტებიც, ამისთვის კი დროა საჭიროა.

**"კონსტიტუციის სწრაფად მიღება მოყვება იგივე შედეგი, რაც დღევანდელ კონსტიტუციას დაემართა - მასაც ინტენსიური ცვლილებების შეტანა დასჭირდება,"** - ვარაუდობს დავითაია, რომელსაც მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა მაქსიმუმ ერთ წელში და სულ მცირე, 6 თვეში უნდა დაასრულოს.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი კიდევ ერთი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე კი აცხადებს, რომ ვადებთან დაკავშირებით ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ არის მიღებული და თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები აქვს, მას შეუძლია, ჩაერთოს კომისიის მუშაობაში და საკუთარი მოსაზრებები სწორედ იქ დააფიქსიროს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილიც დაუშვებლად მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დასრულებით დასრულდება

ობის დასრულების თარიღი რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესებს იყოს მორგებული.

**"საჭიროა საკონსტიტუციო ბაზა, რათა საქართველო დემოკრატიული, სამართლიანი და ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, ასეთი ბაზის მოსამზადებლად კი რამდენიმე დღე ან კვირა არასაკმარისია. კონსტიტუციაზე მუშაობა პროდუქტიული და ნაყოფიერი უნდა იყოს, რასაც რამდენიმე თვე აუცილებლად დასჭირდება. ჩვენ ამ პროექტის დადება არ უნდა დავეუბნოთ რაღაც კონკრეტულ თარიღებს იმისათვის, რომ ეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას აწყობს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის, მიტინგების დაგეგმისთვის თუ სხვა,"** - დასძენს ცისკარიშვილი.

უახლოეს დღეებში ავთანდილ დემეტრაშვილი მიხილს სააკაშვილს საკონსტიტუციო კომისიის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტს წარუდგენს. პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცდება საკონსტიტუციო კომისია, მისი თავმჯდომარე და მდივანი, აგრეთვე კომისიის შემადგენელი კომპონენტები. გარდა ამისა, განკარგულებაში შევაიმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ჩამონათვალი, რომლებიც ახალი კონსტიტუციის შემუშავებაში მიიღებენ მონაწილეობას.

## ვალერი გელაშვილმა "რესპუბლიკური პარტია" დატოვა

ვალერი გელაშვილმა "რესპუბლიკური პარტია" დატოვა. პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მიიღო, თუმცა განცხადება 2 ივნისს დაწერა.

თავად გელაშვილი აღნიშნულ გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ ბიზნესსაქმიანობით ხსნის და რაიმე პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავს. გელაშვილი აცხადებს, რომ "რესპუბლიკური პარტიის" დატოვების მიუხედავად, ის პარტიას "ყველანაირად დაეხმარება".

"რესპუბლიკური პარტიის" ლიდერ დავით უსუფაშვილის განცხადებით, ვალერი გელაშვილმა პარტია პირადული მიზეზების გამო დატოვა. "ამ გადაწყვეტილებას რაიმე პოლიტიკური საფუძველი არ ჰქონია. ვალერი გელაშვილი ბალტიისპირეთში გაემგზავრა. იქ მას ოჯახის წევრები ჰყავს და ბიზნესსაქმიანობას ეწევა. სწორედ ეს იყო პარტიიდან მისი წასვლის მიზეზი, თუმცა იმდენად, მან ჩვენი გაერთიანება დროებით დატოვა," - განაცხადა უსუფაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

## "ექიმთა კავშირი" კიბოს წინააღმდეგ მოსახლეობის ინფორმირებულობისთვის აქციას ჩაატარებს

6 და 7 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაცია "ექიმთა კავშირი" კიბოს წინააღმდეგ მოსახლეობის ინფორმირებულობისთვის აქციას ჩაატარებს. აქცია საგანმანათლებლო ხასიათისაა, დარიცხვები საავტოტო ბროშურები და ფურცლები. აქციას დაესწრებიან კვალიფიციური ექიმი ონკოლოგები, რომლებიც ამ დაავადების შესახებ ყველა შეკითხვას უპასუხებენ. აქციაში მონაწილეობას მიიღებს კიბოს პრევენციის კომიტეტის თავმჯდომარე და კოორდინატორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი პაატა ხორავა. ორგანიზაციის ხელმძღვანელ თორნიკე ბიძინაშვილის განცხადებით, 6 და 7 ივნისს დაგეგმილი აქციები, რომლებიც შესაბამისად მელიქიშვილის გამზირზე და მეტრო რუსთაველის მიმდებარედ გაიმართება, ბოლო პერიოდში "ექიმთა კავშირის" მიერ კიბოს წინააღმდეგ მიმართული აქციების გაგრძელებაა. "ჩვენს ვალდებულებად მიგვაჩნია, საზოგადოებას მივცეთ სწორი და ამომწურავი განმარტებები ამ საშიში დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის, პროფილაქტიკისა და პრევენციის შესახებ," - განაცხადა თორნიკე ბიძინაშვილმა. მისივე თქმით, ამ მიმართულებით "ექიმთა კავშირი" აპირებს, უფრო აქტიურად გააგრძელოს საქმიანობა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში. "სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში კიბოთი დაღუპულთა რაოდენობა სხვადასხვა დაავადებებით დაღუპულთა შორის პირველ ადგილზეა და ეს მაჩვენებელი, სამწუხაროდ, ისევ პროგრესირებს," - აცხადებს ბიძინაშვილი. არასამთავრობო ორგანიზაცია "ექიმთა კავშირი" იღებს ინიციატივას, ჩაატაროს აქციები, რათა მოხდეს ფართო საზოგადოებაში ინფორმაციული დეფიციტის აღმოფხვრა ამ დაავადებასთან მიმართებაში. შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება დაინტერესებულ პირებს ორგანიზაციის ვებგვერდის მეშვეობითაც შეუძლიათ: [www.du.org.ge](http://www.du.org.ge)-ს.

## მთანმინდის პარკში ქორწინების სახლი საზეიმოდ გაიხსნება

დღეს მთანმინდის პარკში ქორწინების სახლი საზეიმოდ გაიხსნება. ქორწინების სახლის გახსნის შემდეგ მთანმინდის პარკის თანამშრომლები ხელს საზეიმოდ მოაწერენ. მთანმინდის პარკის ქონების სახლი წყვილებს ხელის მოწერის სხვადასხვა პაკეტებს სთავაზობს. თითოეული პაკეტი კონცეპტუალურია წყვილების სურვილისა და სტილისადმი ინდივიდუალური მიდგომით. ქორწინების სახლი წყვილებისთვის მომსახურების სრულ სერვისს ითვალისწინებს. მთანმინდის პარკის საქორწინო სახლი ხელის მოწერის მსურველებისთვის, ასევე მათი სტუმრებისთვის, სპონსორების მხრიდან გარკვეული შეღავათებია დაწესებული. ხელის მოწერის ცერემონია წყვილის სურვილის გათვალისწინებით წარმართება. მთანმინდის პარკის ქორწინების სახლის სპონსორები არიან: საიუველირო მაღაზია "Roberto Bravo" და "დიადემა", მაღაზია "COP Copine", ავეჯის მაღაზია "Palati", ყვავილების სალონი "Flowers.ge", სილაპაზის სალონი "მთელი მსოფლიო", ანსამბლი "მამული". მთანმინდის პარკის საქორწინო სახლის პარტნიორია ჟურნალი "კოსმოპოლიტან", რომელიც წყვილებისა და ხელის მოწერის ცერემონიის შესახებ სტატიებს დაბეჭდავს. ასევე ქორწინების სახლის პარტნიორია რადიო "მწვანე ტალღა". **ჯი-ვიჩი-ენი**

# "ნდობის ჭბუფის" სამი მოთხოვნა

ბიორბი ასანიშვილი

სასჯელდარსებების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ დიმიტრი შაშკინს, თავის ძირითად სამსახურებრივ ფუნქციასთან ერთად, როგორც ცნობილია, ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კოორდინირებაც ევალება. გუშინ სწორედ ამ სტატუსით შეხვდა იგი ენ "ნდობის ჯგუფს" (ორგანიზაცია "თავისუფალი აზრი"), რომლის წევრებმაც მინისტრის წინაშე სამი საკითხი დააყენეს.

კერძოდ, "ნდობის ჯგუფი" თავის მოთხოვნებს შემდეგნაირად

აყალიბებს: პოლიტიკური ნიშნით დევნილი და პასუხისგებაში მიცემული 28 ადამიანის (მაღვა რამიშვილი, ნორა კვიციანი, მია თოფურია, თემურ ჟორჯოლიანი, ომარ ქუცნაშვილი, ფორელი გელბახიანი და სხვები) განთავისუფლება; საზოგადოების წარმომადგენლებისთვის "საზოგადოებრივ მათყაობებზე" ყოველდღიურად ორ-ორ საათიანი პირდაპირი ეთერის დათმობა, ასევე, "მეორე არხის" ამოქმედებასა და საზოგადოების განკარგვაში მის გადაცემა; აპრილის მისი საპროტესტო აქციებისას ჩადენილი დარღვევების სამართლიან გამოძიება.

როგორც შეხვედრის შემდეგ

მინისტრმა აღნიშნა, მომავალ კვირაში შესაძლებელი იქნება ამ საკითხების დეტალური განხილვა, მანამდე კი შაშკინი აცხადებს, რომ დიალოგის წარმართვა ყველა საკითხზეა შესაძლებელი.

**"იმ შემთხვევაში, თუ ის ადამიანები, ვის გათავისუფლებასაც ოპოზიცია ითხოვს, საზოგადოებისთვის საფრთხის არ წარმოადგენენ, მაშინ დიალოგის რეჟიმში შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტის განხილვა,"** - მიიჩნევს დემოკრატიული რეფორმების კოორდინატორი, რომელიც აქვე განმარტავს, რომ ხელისუფლება არ აღიარებს პოლიტპატიმრების არსებობას, ვინაიდან ამ ხალხს კონკრეტული კრიმინალური დანაშაული აქვს ჩადენილი.

მინისტრის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია კონკრეტული კრიმინალების გათავისუფლებას ითხოვს, ამ საკითხზე დიალოგის გამართვა მანაც შეიძლება. შაშკინის თქმით, დიალოგის რეჟიმში ასევე შესაძლებელია "საზოგადოებრივი მათყაობისა" და კონკრეტული დანაშაულის გამჭვირვალედ გამოძიების საკითხებზე მსჯელობაც.

როგორც "ნდობის ჯგუფის" წარმომადგენლები აცხადებენ, მათ სამ მოთხოვნაზე პასუხს მინისტრისგან ისინი მომავალ კვირაში ელიან.

# ეუთო-ს მისიის გადასარჩენად

საქართველოში ეუთო-ს მისიის საკითხი ვენაში დღეს კიდევ ერთხელ განიხილება. მოსკოვი საერთაშორისო თანამეგობრობას კვლავ ულტიმატუმს უყენებს - თუ ეუთო "ახალ რეალიებს" ანუ ცხინვალისა და სოხუმის "დამოუკიდებლობას" არ გაითვალისწინებს, ეუთო-სა და გაერო-ს მისიები კონფლიქტის ზონებში ვერ იმუშავებენ. თბილისში აცხადებენ, რომ ასეთი პოზიციის გამო რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში ექცევა.

## დიმიტრი ასანიანი

ეუთო-ს მუდმივი საბჭო საქართველოს საკითხის განხილვას დღეს დაუბრუნდება. ეუთო-ში საქართველოს წარმომადგენელ პაატა გაფრინდაშვილის განცხადებით, სხდომაზე ქართული მხარე ქვეყნის დეოკუპაციისა და ეუთო-ს მისიის მანდატის გაგრძელების საკითხს კიდევ ერთხელ დააყენებს. თბილისი ასევე რუსეთის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს.

პაატა გაფრინდაშვილის თქმით, საქართველო ყველა ბერკეტს გამოიყენებს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობას მიაწოდოს ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რეალური ვითარებისა და ასევე იმის შესახებ, რომ რუსეთი 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმების პირობებს არ ასრულებს.

დღევანდელ სხდომაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის გამოცხადება არის დაგეგმილი.

**"ეუთო-ში ისეთი სიტუაცია შექმნილია, რომ რუსეთს სრული იზოლაციაში და მუდმივი კრიტიკის ქვეშ მოექცა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კარასინის გამოსვლაზე ისეთივე რეაქცია იქნება, როგორც აქამდე,"** - განაცხადა პაატა გაფრინდაშვილმა. რუსული მხარის პოზიცია გუშინ რუსეთის საგარეო უწყებამ განმარტა. მოსკოვი საერთაშორისო თანამეგობრობას კვლავ ულტიმატუმის ენით ესაუბრება და, ფაქტობრივად, სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის ცნობას მოითხოვს.

**"რუსული მხარე აქცენს გააკეთებს იმაზე, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიის მოგერიების**

შემდეგ საჭიროა, ყველა საერთაშორისო პარტნიორმა მკაცრად გაითვალისწინოს რეგიონში შექმნილი ახალი სამართლებრივ-პოლიტიკური გარემოებები. სწორედ ასეთი პრავდატული მიდგომის შემთხვევაში შესაძლოა შეთანხმება კონსენსუსზე აფხაზეთში, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთში ეუთო-სა და გაერო-ს მისიების შენარჩუნებისთვის," - აღნიშნავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობის გაგრძელებას ვეტო რუსეთმა გასული წლის დეკემბერში დაადო. ამ საკითხის განხილვას ეუთო-ს მუდმივი საბჭოს მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე გასულ თვეში დაუბრუნდნენ. ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ საბერძნეთმა, საქართველოში მისიის "გადარჩენის" მიზნით, მანდატის კომპრომიზული ფორმულირებები წარადგინა. კერძოდ, დასავლური მედიის ინფორმაციით, მისიის სახელწოდებაში დარ ფიგურირება და სახელწოდება "ეუთო-ს მისია საქართველოში" და მის მაგივრად მისიას ეწოდებოდა "ეუთო-ს მისია საქართველოს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ

### მსოფლიო ბანკის დაფინანსებით რაჭაში ახალ საავადმყოფოს ააშენებენ

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით რაჭაში ახალი საავადმყოფოს მშენებლობა იგეგმება. ამის შესახებ რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილემ როსტომ ცხვედიანმა განაცხადა. მისი თქმით, "ამ ეტაპზე მსოფლიო ბანკის შესაბამის სამსახურთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საავადმყოფოს მშენებლობა, დაახლოებით, 800 ათასი დოლარი დაჯდება. მშენებლობის დაწყების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია." **ჯი-ეიჩ-ენი**

### გიორგი თარგამაძე გერმანიაში გაემგზავრა

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი გიორგი თარგამაძე გერმანიაში გაემგზავრა. თარგამაძე ბერლინის კედლის დანგრევის 20 წლის-თავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდება მასშტაბის როლზე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში პოლიტიკის ცვლილების საქმეში. თარგამაძე კონფერენციაზე მოხსენებით წარდგება, რომელიც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესსა და მასში მედიის როლს შეეხება. ასევე დაგეგმილია თარგამაძის შეხვედრები გავლენიან ევროპულ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან. კონფერენცია ქალაქ ბონში 3-5 ივნისს ჩატარდება და მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი ექსპერტები, მეცნიერები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენცია კონრად ადენაუერის ფონდისა და "დოიჩე ველეს" მიერ არის ორგანიზებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მალხაზ აქიშბაია ჰაიდი ტალიაინის შეხვედრა

რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიაინი დღეს "ქორთიარდ მარიოტი" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაიას შეხვდება. აფხაზეთის მედიაცენტრის ცნობით, შეხვედრაზე აქიშბაია ტალიაინის კონფლიქტის ზონაში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების, კერძოდ - კონფლიქტის ზონაში დამატებითი რუსული სამხედრო ძალის შეყვანის, ადამიანის უფლებების დარღვევების, კოდორის ხეობიდან სასულიერო პირების გამოძევებისა და კოდორის ხეობაში სამხედრო წვრთნების ჩატარების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის. აქიშბაია ასევე მოისმენს ინფორმაციას მისიის წევრების აფხაზეთში ვიზიტის შესახებ. თბილისში ჩამოსვლამდე მისიის წევრები სეპარატისტულ აფხაზეთში იმყოფებოდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერება ხელი

დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერება ხელი. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გვაცნობს, ხელმოწერის ცერემონიალს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეციანი, ღვინისა და ვაზის დეპარტამენტის უფროსი ვასილ მანავაძე და შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯონ ტიფტი დაესწრებიან. "ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობა გაღრმავდება და ინფორმაციის გაცვლა დაიწყება. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შედეგად ქართული ალკოჰოლური ნაწარმი ფალსიფიკაციისგან უფრო დაცული იქნება, რაც ქართული ღვინის მიმართ ნდობის ფაქტორს აამაღლებს. გარდა ამისა, მოხდება ბაზრის ერთობლივი კონტროლი და ფალსიფიციებული ნაწარმისგან ბაზრის დაცვა უფრო ეფექტური გახდება, ეს კი ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპორტის ზრდას," - განმარტავენ სამინისტროში. ხელმოწერის შემდეგ მსგავსი დოკუმენტი საქართველოს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ექნება გაფორმებული. **პირველი**

# "ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნები შედეგს ვერ მოგვცემს..."

თამარ ხორბალაძე

*"ეროვნული ფორუმის" დამოუკიდებელი არჩევანი - რეგიონებში გადაიტანოს ოპოზიციური ბრძოლის ველი - თავად ოპოზიციონერ არაერთგვაროვანი შეფასების საგანი გახდა. გუშინ "ეროვნულმა ფორუმმა" ხელი მოაწერა 9 აპრილის კომიტეტის წევრი პარტიების მიერ ინიცირებულ ვალდებულებათა ქარტიას, რომელიც უფრო ზოგადი დემოკრატიული პრინციპების დეკლარირებას წარმოადგენს, ვიდრე ერთობლივ სამოქმედო გეგმას. ხელმოწერა შორის გუშინ კახა შარტავას გამოჩენის მიუხედავად, ფაქტია, რომ "ეროვნული ფორუმისა" და რადიკალური ოპოზიციის ნაწილის გზები უკვე ამკარად გაიყარა. საკუთარი არჩევანის დეტალებზე "24 საათს" "ეროვნული ფორუმის" ლიდერი კახა შარტავა ესაუბრება:*

**- ბატონო კახა, თქვენი პარტიონები და ამავდროულად ოპონენტებიც იმას ამბობენ, რომ ცალკე დგომის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც სააკაშვილს შეხვდით. მას შემდეგ, რაც "ეროვნულმა ფორუმმა" იგრძნო, რომ გარკვეული გარანტიები მიიღო - მაგალითად იმაზე, რომ საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში წარმატების დამოუკიდებლად მიღწევა შეუძლია.**

- ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. შეხვედრისას არაფერი ყოფილა ისეთი, რასაც შეიძლება დამატებითი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ფორუმს დამოუკიდებლად რაიმე განსაკუთრებული წარმატების მიღწევა შეუძლია. მით უმეტეს, საპარლამენტო არჩევნებზე, რომლის დანიშვნის შესახებაც ამ ეტაპზე საერთოდ არ არის საუბარი. არჩევნებში თუ შეიყვანა საქართველოს, ბევრი წინაპირობა უნდა იყოს. საერთოდ, საზოგადოების არჩევნების პროცესში ჩასართავად საკმაოდ სერიოზული გზა არის გასავლელი. პოლიცია ნაკლებად პოლიტიზირებული უნდა იყოს, პროკურატურა - თავისუფალი და მედია დამოუკიდებელი, რათა არჩევნებში საზოგადოებამ გაიმარჯვოს.

ამჟამად დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება არ აღიარებს კრიზისს. კრიზისიდან გამოსავლის გზად ხელისუფლებას საზოგადოებისთვის არ შეუთავაზებია არჩევნები. საზოგადოებამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ხელისუფლების იძულება, დაილაპარაკოს არჩევნებზე.

**- ამ დღეებში ხელისუფლება ოპოზიციას საუბარს სთავაზობდა და ამბობდა, რომ საუბრის თემა არჩევნები იქნება. ცხადია, ხელისუფლებას მხედველობაში აქვს ადგილობრივი და არა საპარლამენტო არჩევნები, თუმცა ასეთი შეთავაზება ისმის.**

- ხელისუფლება ტყუილად აწვავს ამ ადგილობრივ არჩევნებს. ჩატარდეს ეს არჩევნები მაინც, როცა ვადა მოუწევს. ახლა თუ ჩატარდება, უნდა ჩატარდეს პრეზიდენტისა და ნაცმოძ-



კახა შარტავა

რაობის მოცილების არჩევნები. ადგილობრივი არჩევნები, მით უმეტეს ასეთ სიტუაციაში, არავითარ პოლიტიკურ შედეგს არ მოგვცემს.

**- თქვენი პირველი პასუხიდან გამომდინარე, საპარლამენტო არჩევნებიც არაფერს მოგვცემს, რადგან შეიძლება შედეგი იგივე იყოს, რაც ერთი წლის წინათ?**

- ისეთი არჩევნები, როგორც უკვე ჩატარდა და ვნახეთ, ჩვენ არავითარ შედეგს არ მოგვცემს. არჩევნებზე საუბარი სახელისუფლებო გუნდს იმისთვის სჭირდება, რომ 2013 წლამდე გაწელოს დრო.

**- პრეზიდენტის გადადგომა ერთადერთი გამოსავალია სიტუაციის განსამუხტად?**

- პრეზიდენტის გადადგომა სიტუაციის განსამუხტად შეიძლება ყველაზე სწორი და უპრიანი ნაბიჯი იყოს. ალბათ არის სხვა გზებიც.

**- აპირებთ მონაწილეობას სხვა გზების ძიებაში?**

- სხვა გზების ძიებაში ჯერჯერობით არ ვაპირებთ მონაწილეობას. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმა. ჩვენ უნდა დავანახოთ ხელისუფლებას, რომ საპროტესტო მუხტი არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ საქართველოში არსებობს.

**- საკმარისი იქნება ამისთვის "ეროვნული ფორუმის" რესურსი?**

- "ეროვნული ფორუმი" შეეცდება, სანყის ეტაპზე ამ მისიას თავისი ძალებით გაართვას თავი. რეგიონებში ადამიანები ჩვენგან მხარში დგომას ელიან. ამ პროტესტმა შესაძლოა ისეთი ხასიათი მიიღოს, რომ ამის ორგანიზებისთვის დიდი ძალისხმევა არც გახდეს საჭირო, მაგრამ თუ ამ პროცესში პარტნიორი ოპოზიციური ძალებიც ჩაერთვებიან, ეს, თავისთავად, პროცესს დამატებით მუხტს მისცემს.

**- რა ურთიერთობაში იმყოფებით ამჟამად ოპოზიციის დანარჩენ ძალებთან - გამიჯნული ხართ? კონსულტაციები გაქვთ?**

- ამ ეტაპზე გამიჯნულები არა ვართ. კონსულტაციები ალბათ უფრო საქმიან და სერიოზულ ფორმას მიიღებს, რათა გაუგებარი და დაუგეგმავი ნაბიჯების გადადგმა არ მოხდეს.

როცა საკითხები ხმათა უმრავლესობით წყდება, არის შანსი, რომ შენთვის მიუღებელი გადაწყვეტილებები გავიდეს. როცა ვალდებულებები არ გბოჭავს და ამავე დროს იძულებული ხარ, შედეგზე იყო ორიენტირებული, თანამშრომლობა შეიძლება უფრო ეფექტური აღმოჩნდეს.

**- ხომ არ გეგმავთ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ალიანსში შესვლას?**

- არა, ეს საკითხი არ განიხილება.

**- თქვენ დაასახელეთ მორიგი თარიღი - 7 აგვისტო.**

- ეს იყო, უბრალოდ, შეთავაზება - შეიძლება იყოს 7 აგვისტო ან სხვა რომელიმე თარიღი. ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, როცა საქმიანობას იწყებ, თქვა, როდის გექნება საქმიანობის შედეგი. საზოგადოებას თარიღი კი არ უნდა შესთავაზო, არამედ ვალდებულება უნდა აიღო, რომ ამ ეტაპისთვის ჩვენ რაღაცას გავაკეთებთ. ამით უკან დასახევ გზას იჭრი. თუ ვერ გავაკეთეთ, ეს ნიშნავს, რომ ვერ ვივარგეთ.

**- ამ თარიღებს იმედგაცრუებაც მოაქვთ ხოლმე.**

- უაზროდ დანიშნულ თარიღებს - რა თქმა უნდა. როცა არ არის განსაზღვრული, თუ რა ხდება 9 აპრილამდე, რა 26 აპრილამდე, რა მის შემდეგ, ამას მოაქვს იმედგაცრუება.

**- რა ხდება 7 აგვისტოს, ან იმ დღეს, რომელზეც საბოლოოდ შეჯერდებით? რა ხდება მის შემდეგ?**

- 7 აგვისტოს მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართება საპროტესტო აქცია. ჩვენ არ ვაპირებთ რეგიონებიდან თბილისში ხალხის ჩამორეკვას. 7 აგვისტოს ჩვენ ხელისუფლებას დავანახებთ, რომ პროტესტი არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ საქართველოში არსებობს. აქციები გაიმართება ყველა რეგიონში და ეს პროცესი გაგრძელდება. დღეს ვერ მუშაობს თბილისში ხელისუფლება - შეჩერებულია პარლამენტის სხდომის მუშაობა, ვერ მუშაობს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ჩვენ რეგიონებში ანალოგიურ ვითარებას შევქმნით. ხელისუფლებას რეგიონებში ძალაუფლებას გამოვაცლით. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების მმართვე-

ლობას მთელი ქვეყნის მასშტაბით აჩერებ და ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი დგება.

**- ხელისუფლებას დარჩა რესურსი, გარდა პრეზიდენტის გადადგომისა, რითიც კრიზისის შეჩერება შეუძლია?**

- ვფიქრობ, რომ დარჩა. ასეთი შესათავაზებელი რესურსი კიდევ არის.

**- საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებაზე რა აზრის ხართ?**

- კონსტიტუცია თავიდან რომ არის დასაწერი, ამას თქმა არ უნდა. თუმცა ვფიქრობ, რომ მას შემდეგ, რაც მოქმედ კონსტიტუციას ამ წლების განმავლობაში გაუკეთა, დღევანდელ ხელისუფლებას ახალი კონსტიტუციის დანერგის უფლება არა აქვს.

**- თქვენს პარტიას და ცალკეულ პერსონებს ბოლო პერიოდში საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვთ. როგორ ფიქრობთ, შემცირდება თუ არა ეს მხარდაჭერა თქვენი არჩევანის შემდეგ - ანუ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი გზა აირჩიეთ. თქვენს გადაწყვეტილებას ბევრი უკავშირებს საკნების დაცარიელებას და თბილისში საპროტესტო აქციების მუხტის ჩაქრობას.**

- არ ვიცი, ამას რეიტინგების გაზომვა უფრო აჩვენებს. ამ გადაწყვეტილების შედეგად შეიძლება ჩვენი რეიტინგიც გასულდეს და მისი გაგება საზოგადოებასაც და პარტიის ზოგ წევრსაც გაუჭირდეს. თუმცა რაც გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკაში ყოფნის პრეტენზია არ უნდა გქონდეს. რაც შეეხება ცალკე გზას - ცალკე გზას კი არ ვეძებთ, ჩვენ ყველას საერთო გზაზე გაყვანას ვცდილობთ. საერთო გზა აბდაუბდებისკენ, საპატრიარქოში მივარდნებისკენ არ მიდის - ცეკვი ბავშვივით რაღაცას რომ დაამავებ და მერე პატრიარქთან მიიბრუნ. პირიქით - იქიდან იწყება. თუ რამეს აპირებ, მაშინ მანამდე უნდა გაითვალისწინო პატრიარქის აზრი და მერე არ უნდა მიხვდე. ასეთ საერთო გზაზე ვაპირებთ ჩვენი პარტიის და სხვების გაყვანასაც, ვისაც ამისი სურვილი ექნება. საერთო გზა ტაძრისკენ მიდის და არა ტაძრიდან მორბის.

# კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 11,3 პროცენტით შემცირდა

მანანა ვარდიანი

ქართულ ბანკებში აგვისტოს ომისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის უარყოფითი ზეგავლენა უკვე საგრძობად იმატა, საპროცენტო განაკვეთი მკვეთრად გაიზარდა და სესხების პირობები საგრძობლად გამკაცრდა. საქართველოს საბანკო სისტემამ ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად იზარალა, თანაც სოლიდური თანხით - 2008 წელი ბანკებმა 215,7 მილიონი ლარის ზარალით დაასრულეს. მაშინ, როცა 2007 წელს საბანკო სექტორის მოგება 109 მილიონ ლარს მიაღწია. თუმცა, ბანკების ინფორმაციით, ზარალი ფინანსური კრიზისის გამო საკრედიტო პორტფელზე გაზრდილი რეზერვების შექმნამ განაპირობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლის 1 მაისის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სექტორი 20 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი. 15 ბანკის სანესტდო კაპიტალში უცხოური კაპიტალი მონაწილეობს, 2 ბანკი კი უცხოური ბანკის ფილიალია. წლის დასაწყისთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 19,6 პროცენტით შემცირდა და 7861,7 მლნ. ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 1540,1 მლნ. ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 19,6 პროცენტია.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ბანკების რაოდენობა წლის დასაწყისთან შედარებით არ შეცვლილა და მათმა წილმა ბანკების მთლიან განაღებულ სანესტდო კაპიტალში 85,7 პროცენტი შეადგინა. ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილი საბან-

კო სექტორის მთლიან აქტივებში წლის დასაწყისიდან 79,3-დან 78,4 პროცენტამდე შემცირდა.

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების (მიმდინარე ანგარიშების და ვადიანი დეპოზიტების) მოცულობამ 2009 წლის 1 მაისისთვის 2,5 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 2008 წლის შესაბამისი პერიოდისათვის არსებულ მაჩვენებელზე 18,6 პროცენტით ნაკლებია.

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 2009 წლის 1 მაისისთვის 73,2 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტებზე საშუალო წლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთი 9,7 პროცენტს შეადგენს, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 10,7 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 9,5 პროცენტს. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილი 78,4 პროცენტს, ხოლო ევროს წილი 21,2 პროცენტს შეადგენს.

გასულ წელთან შედარებით მკვეთრად გაზრდილი პრობლემური სესხების ოდენობაც. ამ ეტაპზე "კრედიტ ინფოს" "შავ სიაში" 196 000 პირია შესული. ვადაგადაცილებული სესხების ოდენობაზე კომერციულ ბანკებში ღია არ საუბრობენ. ამბობენ, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს. 2009 წლის პირველი კვარტლის შედეგებით საქართველოში მოქმედი ბანკების რეიტინგი პრობლემური სესხების მაჩვენებლის მიხედვით ასე გამოიყურება: პრობლემური სესხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი "კავკასიის განვითარების ბანკს" აქვს და მთლიან სესხებთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი 51 პროცენტს აჭარბებს. შემდეგ მოდის "ტაპრივავტ ბანკი" - 26,48 პროცენტით და "ინვესტბანკი" - 24,83 პრო-



ცენტით. 10 პროცენტზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ ბანკ "რესპუბლიკას", "ზირათ ბანკს", "პროკრედიტ ბანკ საქართველოს", "კონსტანტარტ ბანკს", ბანკ "კონსტანტას" და "პირველ ბრიტანულ ბანკს".

ბანკების ინფორმაციით, უმოქმედო სესხების თითქმის სრული მოცულობა დარეზერვებულია. საქართველოში მოქმედი რეგულირების ნორმის თანახმად, სესხები ხუთ კატეგორიად იყოფა და მასზე საკმაოდ მკაცრი მონიტორინგი ხორციელდება. სესხები შემდეგ კატეგორიებად იყოფა: სტანდარტული სესხები (რეზერვდება მთლიანი მოცულობის 2 პროცენტი), საყურადღებო (რეზერვდება სესხის მთლიანი მოცულობის 10 პროცენტი), არასტან-

დარტული - (რეზერვდება 30 პროცენტი), საეჭვო - (რეზერვდება 50 პროცენტი) და უიმედო - (რეზერვდება 100 პროცენტი).

2009 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით საქართველოში 5,7 მლრდ. ლარის მოცულობის სესხია გაცემული, უმოქმედო სესხების წილი კი მასთან მიმართებაში საშუალოდ 13 პროცენტს შეადგენს. სესხების პორტფელში ყველაზე პრობლემური სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების სეგმენტია.

საბანკო საქმის ექსპერტები განმარტავენ, რომ პრობლემური სესხები ბანკის ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელი არ არის - ის მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელია და ხარისხობრივ ინდიკატორს არ წარმოადგენს.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბანკების 100 მილიონი ლარის ვადაგადაცილებული სესხი ემართათ. ამის შემდეგ ვადაგადაცილებულმა კრედიტებმა მკვეთრი ზრდა დაიწყო და დეკემბერში 209 მილიონ ლარს მიაღწია. ექსპერტთა შეფასებით, ამ კატეგორიის სესხების ზრდა ძირითადად უძრავი ქონების ბაზრის პრობლემებმა გამოიწვია, სადაც კრიზისი 2008 წლის მეორე ნახევარში გამწვავდა. 2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობამ 159 მლნ. 245 ათასი ლარი შეადგინა. იმ დროისთვის "პრობლემური სესხები" საბანკო სექტორში მთლიანი სესხების 3 პროცენტს და მთლიანი აქტივების 1,8 პროცენტს შეადგენდა. ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 2008 წლის აგვისტომდე ბაზარზე მოქმედი ბანკების მთლიანი აქტივების 1,2 პროცენტს არ აღემატებოდა.

გასული წლის აგვისტოდან მოყოლებული საბანკო სექტორში ვადაგადაცილებული სესხების ოდენობა სულ უფრო იზრდება. ამ თემით პოლიტიკურმა სპეკულირებამ კი ბანკების ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან ვადაგადაცილებული სესხების ჩამონერის იდეის გახმოვანებას ეფექტი უკვე მოჰყვა: ის მომხმარებლებიც კი, რომლებიც აქამდე სესხს დრულად იხდიდნენ, ახლა ბანკების ვალების დაფარვისგან თავს იკავებენ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკების წარმომადგენლებმა ვადაგადაცილებული სესხების უპირობო ჩამონერაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. მოსახლეობის დაგროვილი ვალის გადახდას არც სახელმწიფო აპირებს.

# რაში დახარჯავს "საქართველოს ბანკი" ჭარბ კაპიტალს

კრედიტების გაცემა მაღალმა რისკებმა შეაფერხა

ენო ნატროშვილი

"საქართველოს ბანკმა" 2009 წლის პირველი კვარტალი 11,3 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა. ამის შესახებ, ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

საერთაშორისო საფინანსო სტანდარტების მიხედვით ბანკის მთლიანმა აქტივებმა 2,9 მილიარდი ლარი შედგინა. 2009 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოს ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 34 პროცენტი, მთლიანი სესხების მიხედვით 32 პროცენტი, დეპოზიტების მიხედვით 28 პროცენტი, ხოლო სააქციო კაპიტალის მიხედვით 41 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ბანკის ლიკვიდურობამ, ეროვნული ბანკის სტანდარტების მიხედვით, შეადგინა 37,6 პროცენტი, როცა ბანკმა ეს მაჩვენებელი 20 პროცენტით განსაზღვრა.

არსებული სტატისტიკით, გასულ წელს ბანკის წმინდა მოგებამ 22,8 მილიონი ლარი შეადგინა, ამ ფონზე 2009 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

"მაისში 10 მილიონი ლარით გაიზარდა დეპოზიტების მაჩვენებელი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბანკის მიმართ ნდობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია. 2009 წლის მაისში ბანკმა 86,6 მილიონი ლარის სესხი გასცა. ბანკს აქვს საკმაოდ სოლიდური საკრედიტო რესურსები, კერძოდ მისი ლიკვიდურობა 200 მილიონი ლარით არის გაზრდილი. მაგრამ, ქვეყანაში საკრედიტო რისკები მაღალია, რამაც გამოიწვია სესხების გაცემის შეწყობა" - განაცხადა ირაკლი გილაურმა.

საქართველოს ბანკის პრობლემური სესხების მოცულობა პორტფელის 4,5 პროცენტია. თუ პრობლემური სესხების მოცულობა 27,7 პროცენტამდე გაიზარდა, ბანკი ფინანსურად კვლავ ჯანსაღი იქნება, რადგან ბანკის ლიკვიდური აქტივები 600 მილიონი ლარია, ხოლო ლიკვიდურობის მაჩვენებელი 200 მილიონი ლარი - განმარტავს გილაური. მისი თქმით, ბანკს გახსნილი აქვს სპეციალური სერვისცენტრი, რომელიც ვადაგადაცილებულ კრედიტორებს ემსახურება. ბანკი მზად არის კლიენტებთან დილოგი გამართოს, რადგან პრობლემური სესხების მოცულობამ 80 მილიონი ლარი შედგინა. საქართვე-



ლოს ბაკში პრობლემური კრედიტების რესტრუქტურაცია მიმდინარეობს.

არსებული სტატისტიკით, სა-

ქართველოს ბანკის წილი ადგილობრივ ბაზარზე კაპიტალის მიხედვით 41 პროცენტია, ხოლო აქტივების წილი 3 პროცენტი. ამ

ფაქტს, იარკლი გილაური, კაპიტალის 100 მილიონი დოლარით ზრდას უკავშირებს, თანაც განმარტავს, რომ ბანკს მოზიდული კაპიტალი ჯერ არ დაუხარჯავს. ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული თუ რა მიმართულებით დახარჯავს ბანკი ჭარბ ლიკვიდურ სახსრებს. არ არის გამოცხადებული, რომ ეს ფული სახაზინო ვალდებულებებში განთავსდეს, მაგრამ ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რა ვადით გაცემა და როგორი იქნება საპროცენტო განაკვეთი. ბანკი უპირატესობას მოკლევადიან და დაბალპროცენტულ სახაზინო ვალდებულებებს მიანიჭებს. სახაზინო ვალდებულებების პროცენტი დაბალია და შესაბამისად რისკიც ნაკლები. თუმცა, გილაური აცხადებს, რომ ბანკის პრიორიტეტი კლიენტების მომსახურებაა: "ამ ეტაპზე 250 მილიონი ლარის საკრედიტო რესურსი გვიდევს ანგარიშზე. თუმცა, არ მიმარტავს, რომ სესხების აგრესიულად გაცემა სწორი იყოს. გასულ წელს, თვეში დაახლოებით 160 მილიონი ლარის სესხს გაცემდით, ახლა სხვა რეალობაა. გაცემული სესხების რაოდენობა განახევრდა, რადგან საკრედიტო რისკები მაღალია".

# სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში მაისი, 2009



### ზოგადი განათლება

#### ნიკა გვარამიამ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე 30 საუკეთესო სკოლა გამოავლინა და დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა

საზეიმო ცერემონიაზე უმაღლესი შედეგების მქონე 110 მოსწავლე ღვაწაობებით და სხვადასხვა ფულადი პრემიით დაჯილდოვდა: I პრემიის მფლობელ მოსწავლეებს 1 000 ლარი გადაეცათ, II პრემიის მფლობელებს - 700 ლარი; III პრემიის მფლობელებს კი - 500 ლარი. დონისიძიებაზე გამოვლინდა ოლიმპიადაში მონაწილე 30 საუკეთესო სკოლა, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით 5000, 4000 და 3000 ლარის ოდენობით. გამარჯვებულ სკოლებს შორის არიან: თბილისის, ქუთაისის, ტყეშელის, ოზურგეთის, ცაგერის, ზუგდიდის, ამბროლაურის, ონის, ბაღდათის და სხვა რეგიონების საჯარო და კერძო სკოლები. წელს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი 130 000-ზე მეტმა მოსწავლემ გამოთქვა და მასში საქართველოს სკოლების 95% მონაწილეობდა. დასკვნით ტურში გამარჯვებული საუკეთესო მოსწავლეები ეროვნული ნაკრების წევრები გახდებიან და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა.

#### საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია წელსაც გაგრძელდება

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "იაკობ გოგებაშვილი" ფარგლებში, წელს საქართველოს მასშტაბით 300-მდე საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება. ამისათვის ბიუჯეტიდან 30 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. აქედან: 50-მდე სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო შეასრულებს. 250-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაციას ადგილობრივი თვითმმართველობა განახორციელებს. დამატებით, 70-მდე სკოლის რეაბილიტაცია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდება, რაზეც 18 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. 2009-2010 წლებში 23 ახალი სკოლა აშენდება გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო-სვანეთსა და ქვემო ქართლში. შედეგად, გაუმჯობესდება სასკოლო გარემოში კიდევ 100 ათასი მოსწავლე ისწავლის. რეაბილიტაციის გეგმები განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ირაკლი თოდუამ 45-მდე სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს.

#### ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში, 100 უფროსკლასელი მოსწავლე ამერიკაში სასწავლებლად გაემგზავრება

წელს პირველად, მას შემდეგ, რაც 2009 წელს ხელი მოეწერა "აშშ-საქართველოს ქართლს", განათლების სფეროში თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და ამერიკის საბჭოების დირექტორმა საქართველოში ტიპითი ბელაუელტმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. FLEX-ის პროგრამის ფარგლებში, უკვე 17 წელია, საქართველოს სკოლებიდან შერჩეული 50 უფროსკლასელი ერთი აკადემიური წელი მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად. პროგრამა ყოველწლიურად ხორციელდება და მას ამერიკის მხარე სრულად აფინანსებს. ახალი შეთანხმების თანახმად, საქართველოს მთავრობა პირველად დააფინანსებს დამატებით 50 მოსწავლეს, რომლებიც 1 წელი ამერიკაში ისწავლიან. ამაზე ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარამდე გათვალისწინებული.

#### განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ვეტერან - პედაგოგებს შეხვდა

მინისტრი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 30-მდე ვეტერან პედაგოგს შეხვდა და 200-ლარიანი ფულადი პრემიები გადასცა. დონისიძიება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანაორგანიზატორებით მოეწყო. გამარჯვებულ დღეებთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ომის ვეტერან პედაგოგებს უკვე მესამე წელია აჯილდოვებს.

#### საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა დედაქალაქის 150 916 მოსწავლისთვის კიდევ უფრო კომფორტული გახდება

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სატრანსპორტო შედეგების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და თბილისის მერმა გივი უგულავეამ თბილისის №92-ე საჯარო სკოლაში მოაწერეს ხელი. მემორანდუმის საფუძველზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სიცოცხლო პირობების გაუმჯობესებისთვის, თბილისის საჯარო სკოლების 151 ათასამდე მოსწავლეს მლასტრუქტურ ბარათს მიიღებს და უფასოდ იმგზავრება. ეს პროგრამა თბილისის მერის ინიციატივით მეორე წელია მოქმედებს და მომავალშიც გაგრძელდება. საზოგადოებრივი ტრანსპორტზე შედეგებით უკვე სარგებლობს დედაქალაქის 11 871 პედაგოგი.

#### მინისტრი გურიის რეგიონის 200-მდე პედაგოგს შეხვდა

ნიკა გვარამიამ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში რეგიონის პედაგოგებთან შეხვედრაზე განათლების რეგულაციის სიახლეებზე, განათლების ხარისხზე, სკოლებში წესრიგის გაუმჯობესებაზე ისაუბრა, მან ასევე პედაგოგების შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრაზე,

### მთავარი სიახლეები

- ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე 30 საუკეთესო სკოლა და დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვდნენ;
- 100 უფროსკლასელი მოსწავლე ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გაემგზავრება;
- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია წელსაც გაგრძელდება.

მინისტრმა პრეზიდენტის სტიპენდიანტ 20 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა. წელს გურიის რეგიონში 2 საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყო, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდება 26 სკოლაში. ამაზე 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,5 მლ. ლარი დაიხარჯება.

#### საქართველოს 2000-ზე მეტ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს არჩევნები გაიმართება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნიკა გვარამიას ბრძანებით, საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოების ხელახალი არჩევნები 2009 წლის 14 ივნისს გაიმართება. სკოლების სამეურვეო საბჭოები 3 წლის ვადით აირჩევა და მასში მასწავლებლები და მშობლები მიიღებენ მონაწილეობას. სკოლაში, რომელშიც სწავლობს 500 მოსწავლეზე მეტი, სამეურვეო საბჭოში შევა 12 წევრი; სკოლაში, რომელშიც სწავლობს 500 მოსწავლეზე ნაკლები - 6 წევრი. დადგენილი პროცენტების მიხედვით 24 მაისს დაიწება საარჩევნო კომისიების წევრობის მსურველების რეგისტრაცია, რომელიც გაგრძელდება 29 მაისის 18:00 სთ-მდე. სამეურვეო საბჭოს წევრობის მსურველების რეგისტრაცია საარჩევნო კომისიებში დაიწყება 2 ივნისს და გაგრძელდება 9 ივნისის 18:00 სთ-მდე.

#### საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის ეროვნული ნაკრების შესარჩევი ტურები გაიმართა

საქართველოს ნაკრები ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისგან დაკომპლექტდება. წელს საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადაზე საქართველო დელეგაციებს სამ დისციპლინაში (ფიზიკაში, მათემატიკაში და ინფორმატიკაში) წარადგენს. ზაფხულში ნაკრების წევრები საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მექსიკაში, გერმანიაში და ბულგარეთში გაემგზავრებიან. მათემატიკის შესარჩევი ტურში - 43 მოსწავლე, ფიზიკის შესარჩევი ტურში - 28 მოსწავლე, ხოლო ინფორმატიკის შესარჩევი ტურში - 19 მოსწავლე მონაწილეობდა. საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად ნაკრების წევრები და რეზერვისტები 1-თვიან მომზადებას გაივლიან. გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დაჯილდოვდებიან: ოქროს მედლის მფლობელი - 5 000 ლარით; ვერცხლის მედლის მფლობელი - 3000 ლარით; ბრინჯაოს მედლის მფლობელი - 2 000 ლარით. წელს პირველად საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევას, მომზადებას და მონაწილეობის აღმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

#### პირველად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ოლიმპიურ თემატიკაზე ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი ჩატარდა

კონკურსი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანაორგანიზატორებით მოეწყო. მისი მიზანია ოლიმპიზმის განვითარება და პოპულარიზაცია საჯარო სკოლებში. კონკურსის შედეგად გამოვლინდება საუკეთესო ნამუშევრები ოლიმპიურ თემატიკაზე კონკურსი ორ ეტაპს მოიცავს: I ეტაპზე საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოვლინდებიან გამარჯვებულები ეროვნულ დონეზე; II ეტაპზე გამარჯვებულები გამოვლინდებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. კონკურსი ტარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში: 12 წლამდე ასაკის მოზარდებში და 12-18 წლამდე ასაკის მოზარდებში.

#### უმაღლესი განათლება

#### საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მსურველთათვის ღია კარის დღე მოეწყო

შეხვედრაზე გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა მაგისტრანტობის კანდიდატებს დეტალურად გააცნეს საერთო სამაგისტრო გამოცდის როგორც პროცედურული, ისე შინაარსობრივი მხარე. წელს პირველად აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში მაგისტრანტებს სახელმწიფო დააფინანსებს. მაგისტრატურაში ჩასარიცხად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. სპეციალობის გამოცდას განსაზღვრავს და ატარებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატს სურს სწავლის გაგრძელება.

#### პროფესიული განათლება

#### სიღნაღში პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

სიღნაღში პროფესიული სწავლების 15 ცენტრის სტუდენტებმა ხალხური რეწვის, ხალიჩების, თუქის, გობელანის, ხის ნამუშევრები გამოფინეს და კულინარული ხელოვნების დემონსტრირება ღია ცის ქვეშ გამართეს. გამოფენა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და მინისტრის პირველმა მოადგილემ ირინე ქურდაძემ დაათვალიერეს. ნიკა გვარამია სიღნაღის ხალიჩების საქსოვ ფაბრიკასაც ეწვია და 28 პროფესიული ცენტრის დირექტორებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე პროფესიულ სასწავლებლებში არსებული მდგომარეობა და სამომავლო გეგმები განიხილეს. ახალი ტიპის პროფესიული სწავლების ცენტრებში ყოველწლიურად სახელმწიფო დაფინანსებით 6 000-ზე მეტი ადამიანი იღებს პროფესიულ განათლებას. 2006 წლიდან 13 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მათი სახელმწიფო-დაპირატორიების აღჭურვა განხორციელდა, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 11,7 მლნ. ლარი დაიხარჯა.



# რეფორმა პრობაციის სისტემაში

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ შექმნის დღიდან მიზნად დაისახა სამინისტროს მიკუთვნებულ სფეროთა რეფორმების გავრცელება. ერთ-ერთ პრიორიტეტად ითვლება განისაზღვრა პრობაციის სისტემის სრული რეფორმირება.



დმიტრი შაშკინი

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მოუხდა იმ მძიმე მემკვიდრეობასთან გამკლავება, რომელიც მას წინა ხელისუფლებისგან ერგო. კერძოდ, ამორტიზირებული და გადატვირთული დაწესებულებები, "ქურდული სამყაროს" ბატონობა, კორუფცია და ხელისუფლების უკონტროლო სასჯელაღსრულების სისტემაზე. გატარებული ეფექტური ღონისძიებების შედეგად სისტემა მოექცა სახელმწიფოს სრული კონტროლის ქვეშ, მსჯავრდებულთათვის შეიქმნა ლირსული პირობები, დაცულია მათი ძირითადი უფლებები. ფაქტია, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა და საზოგადოების უსაფრთხოებას მსჯავრდებულთა მხრიდან საფრთხე არ ემუქრება, ამაღლორულად პატიმართა ყველა კონსტიტუციური უფლება დაცულია. სწორედ ამიტომ, დღეს უფრო მეტად შეგვიძლია ვიზრუნოთ დანაშაულის პრევენციისაზე, აგრეთვე მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე და სასჯელის მოხდის შემდეგ მის საზოგადოების სრულ უფლებიან წევრად ქცევაზე. რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამები, რა თქმა უნდა, შემდგომი დანაშაულის პრევენციის ინსტრუმენტია.

ლია. პრობაციის სამსახური არ წარმოადგენს მხოლოდ სახე-დამხედველ სამსახურს, მის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მსჯავრდებულ პირთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაციაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში პრობაცია ჯერ კიდევ სიახლეა, მრავალი ქვეყნის გამოცდილება ნათლად მეტყველებს ამ სამსახურის ეფექტურობაზე. პრობაციის სისტემის რეფორმირებაში აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო საზოგადოება. მათთან ერთად მუშაობდა პრობაციის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. პარალელურად, მიმდინარეობს პრობაციის ოფისების გახსნა ყველა რაიონულ ცენტრში და დიდ ქალაქში, ასევე, მათი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და ერთ სისტემაში მოქცევა. წელს გაიხსნება 12 ახალი ოფისი, ხოლო 2013 წლამდე ქვეყანაში პრობაციის ოფისების რაოდენობა 66-მდე მიაღწევს. ამასთანავე, გაიზარდება პრობაციის ოფისების რაოდენობაც, რომლებიც იქნებიან არა ძალოვნები, არამედ სოციალური მუშაკები. მიმდინარეობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შექმნა, რაც ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბების საშუალებას მოგვცემს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ დავაგმილი რეფორმის ფარგლებში, მნიშვნელოვანია პრობაციის ოფიცერთა

გათავისუფლება პირობით მსჯავრდებულთა აღრიცხვის ფუნქციისაგან. კონტროლის საშუალებების გაძლიერების მიზნით დაინერგება რამდენიმე ტექნიკური ნოვატაცია. ერთიან საინფორმაციო ბაზასთან ერთად ამოქმედდება აღრიცხვის დაქტილოკოპიური მეთოდი. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ განსაკუთრებით ნაყოფიერია პრობაციის ოფიცრების მუშაობა, როდესაც მათ პირობით მსჯავრდებულთა უშუალო და მჭიდრო კონტაქტი აქვთ. პრობაციის ოფიცრებს ექნებათ უფრო მეტი საშუალება ინდივიდუალური მუშაობა აწარმოონ პირობით მსჯავრდებულთა. პრობაციის ოფიცრები იქნებიან სოციალური მუშაკები, რომლებიც რეფორმის ფარგლებში გაივლიან გადამზადებას პირობით მსჯავრდებულთა ცალკეულ ჯგუფებთან მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა. პრობაციის ოფიცრების მოვალეობას ასევე წარმოადგენს პირობით მსჯავრდებულთათვის ფსიქოლოგიური და ყოფითი პრობლემების გადაჭრაში დახმარება, მათი სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა და დასაქმება. ყველა რეფორმის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა და მონაწილეობა. შესაბამისად, საზოგადოების ჩართვა პრობაციის სისტემის საქმიანობაში მისი

წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. პრობაციის სისტემაში საზოგადოების ჩართვა გულისხმობს, სასამართლოს მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეფარდებისას ან საპატიმრო დაწესებულებიდან პატიმრის ვადამდე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, მსჯავრდებულ პირზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე. ამ კუთხით სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ეკლესიასთან და სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან. გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს საპატრიარქოსთან. მემორანდუმის თანახმად, ეკლესიამ აიღო ვალდებულება, მსჯავრდებულთა მონასტრების სასამართლოს გადწყვეტილებით, უზრუნველყოს მსჯავრდებულის მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულება ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ მონასტრებსა და საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებში, აგრეთვე ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ სხვა დაწესებულებებში. ამ მიმართულებით გაგრძელდება თანამშრომლობა სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთანაც. პრობაციის რეფორმა უნდა განვიხილოთ სასამართლო რეფორმის კუთხითაც. დახვეწილი და ეფექტური პრობაციის სისტემა მეტ საშუალებას და თავისუფლებას მისცემს სასამართლოს გამოიყენოს უფრო მსუბუქი სასჯელები. მოსამართლისათვის სასჯელის შეფარდებისას ერთ-ერთი პრიორიტეტული ყოველთვის საზოგადოების უსაფრთხოების დაცვაა. შესაბამისად, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება მსუბუქი სასჯელების აღსრულება, უმეტესად საპატიმრო სასჯელები გამოიყენება. წარმატებული პრობაციის რეფორმა, ყველა სხვა უპირატესობებთან ერთად, ალტერნატიული სასჯელების გამოყენებასაც შეუწყობს ხელს.

**დმიტრი შაშკინი**  
**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი**

**ადვოკატის შუამდგომლობა დაზარალებულად ცნობის შესახებ**

ადვოკატი ონისე მეზონია მუხროვანის ამბოხის ორგანიზებაში ბრალდებულების კობა ოთანაძის, ლევან ამირიძის და ასევე გია კრიალაშვილის მეუღლის დაზარალებულად ცნობას მოითხოვს. როგორც ადვოკატი აცხადებს, ამ მოთხოვნის საფუძველი ბრალდებულთა წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გია კრიალაშვილის ლიკვიდაცია და ოთანაძისა და ამირიძის დაჭრაა.

"თბილისის მთავარ პროკურატურას მივმართე შუამდგომლობით, გია კრიალაშვილის მეუღლე, ასევე კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე გამოძიებამ დაზარალებულად ცნოს. გარდა ამისა, მოვითხოვე, საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩართვა" - აცხადებს ადვოკატი. მისივე თქმით, პროკურატურის კანცელარიაში მას საბუთებზე ბეჭედი არ დაურტყეს, ხელმოწერილი დოკუმენტები დაიტოვეს, თავად ადვოკატი კი შენობაში არ შეუშვეს.

"არ გამოვიცხადებ, რომ ეს შუამდგომლობები დახიონ და ისინი ადრესატამდე არ მივიღეს," - აცხადებს ადვოკატი. **პირველი**

**გატაცება სოფელ რეფიდან**

გალის რაიონის სოფელ რეფის მკვიდრი ლუტუ ჩხაპელი დაუდგენელმა პირებმა გუშინწინ გვიან ღამით გაიტაცეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

როგორც მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, გატაცებულმა ჩხაპელი ოჯახის წევრებისგან ჯერ გამაჰსინძლეში მოითხოვეს, შემდეგ ოჯახის უფროსი ეზოში გაიხმეს, რის შემდეგაც, ლუტუ ჩხაპელი გაუჩინარდა.

მოგვიანებით, გატაცებულები ოჯახის ერთ-ერთ წევრს დაუკავშირდნენ და გამოსასყიდი - 8 ათასი ამერიკული დოლარი მოითხოვეს. გატაცებულის ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია. **პირველი**

**ძებნილი დოკუმენტის აღებისას დააკავეს**

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზუგდიდის სამსახურში ძებნილი დოკუმენტის აღებას ცდილობდა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ზუგდიდის სამსახურს 25 წლის მამაკაცმა მიმართა. მოქალაქის მონაცემების გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იძებნებოდა. ამ ფაქტის შესახებ სამოქალაქო რეესტრის ზუგდიდის სამსახურის თანამშრომლებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს შეატყობინეს, რომლებმაც ძებნილი მოქალაქე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. **პირველი**

**სამი პრობაციონერი სასწავლო კურსში ჩაერთო**

სამი არასრულწლოვანი პრობაციონერი თიხაზე მუშაობის სასწავლო კურსში ჩაერთო. პრობაციონერების სწავლებას არასამთავრობო ორგანიზაცია "ემპათია", თავის არტსახელოსნოში უზრუნველყოფს. სასწავლო კურსის დაწყებას სასაჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე დაესწრო. **ჯი-ეი-ენი**

**აღსრულების ეროვნული ბიურო ერთიან სამთავრობო ქსელში ჩაერთვება**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შპს "მაგთიკომს" შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიურო ერთიან სამთავრობო ქსელში ჩაერთვება. აღნიშნული ქსელი სხვა სახელმწიფო უწყებებთან საკომუნიკაციო პირობებს გაამარტივებს და გაცილებით უფრო ეფექტურსა და გამჭვირვალეს გახდის მათ თანამშრომლობას.

"უწყვეტი კავშირი და სწრაფი მოქმედების შესაძლებლობა სააღსრულებო სისტემის მუშაობის შედეგადად და მოქნილობას უზრუნველყოფს. ერთიანი სამთავრობო ქსელი "ელექტრონული მთავრობის" განვითარების აუცილებელი ნიშაა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყოფის ერთიანი საშუალებით დაუკავშირდება," - განაცხადა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე ვიორგი ოზაგაძემ.

შპს "მაგთიკომთან" თანამშრომლობა 2006 წელს სამთავრობო კომისიის მიერ კონკურსის წესით გადამწყდა. ამ პროექტში აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ერთად 10 სამთავრობო და მათი საქვეუწყებო დაწესებულება გაერთიანდა. **პირველი**

## ინფორმაცია ტანდარში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მიმდინარე წლის 2 აპრილს ქ. თბილისში მდებარე ადმინისტრაციული შენობის გაგრძელებისათვის საჭირო სამაცივრო დანადგარის (ჩილერი) შექმნა-მონტაჟის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს თბილი სახლი .

საქალაქო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენების შესწავლა სთხოვა.

# კანონდარღვევის ფაქტი ქსნის N7 დანაშაულებებში

სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენების შესწავლა სთხოვა.

"ბოლო ორი წლის მანძილზე, სახალხო დამცველის აპარატში არაერთი საჩივარი შემოვიდა ქსნის N7 დანაშაულებების დირექტორის რობერტ არაქელაშვილისა და ადმინისტრაციის მიერ მსჯავრდებულებზე ძალის გამოყენების შესახებ. სახალხო დამცველი კატეგორიულად მოითხოვს, შესწავლილი იყოს დანაშაულებებში არსებული ვითარება და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში მოხდეს შესაბამისი რეაგირება," - აღნიშნულია მიმართვაში.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, 2009 წლის 22 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების

დეპარტამენტის ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულ ნუგზარ თაბაგარს, რომელმაც განაცხადა, რომ 2009 წლის 10 მაისს დაწესებულებაში მასზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა.

მსჯავრდებულის განმარტებით, 2009 წლის 6 მაისს მან განცხადებით მიმართა დანაშაულების დირექტორ რობერტ არაქელაშვილს და აცნობა, რომ გაუსაძლისი პირობების გამო მიმშლილობა გამოაცხადა. მსჯავრდებული ცალკე საკანში ადმინისტრაციამ მხოლოდ 8 მაისს გადაიყვანა. იმავე საკანში მსჯავრდებული მიხილ ჩიხლაძე შეიყვანეს, რომელიც ასევე მიმშლილობა.

ომბუდსმენის ინფორმაციით, მოგვიანებით, მიხილ ჩიხლაძე ცუდად გახდა, თუმცა მასთან ექიმი არ მისულა. რეჟიმის თანამშრომელმა მამუკა კენკეშაშვილმა კი უთხრა - მე დავუძახე და თუ არ მოვა, ფეხებზე მკიდიაო. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ საკანში შევიდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და თაბაგარი ცემით გაიყვანეს საკნიდან.

მსჯავრდებული მიუთითებს, რომ მას დაახლოებით 15-20 კაცი სცემდა. მათ შორის, სოციალური სამსახურის უფროსი მამუკა შალამბერიძე და ე.წ. ზონის ოპერატიული მორიგე ლაშა, რომელიც აკავებდა. "მას თმებში მოვიდეს ხელი და დაუწყეს ცემა თავისა და ბეჭების არეში და აღნიშნულ ფაქტს, თაბაგარის განმარტებით, მასთან საკანში მყოფი მსჯავრდებული მიხილ ჩიხლაძე შეესწრო. თაბაგარის განმარტებით, მისმა

ცემამ და საკნიდან ძალით გაყვანამ სხვა საკნებში მყოფი პატიმრების პროტესტი გამოიწვია. ისინი ყვიროდნენ და მისთვის თავის დანებებას ითხოვდნენ. თაბაგარი N22 საკანში აიყვანეს და მისი ცემა გააგრძელეს. შემდეგ, ასევე ძალის გამოყენებით დაადეს ხელბორკილი და დაწესებულების დირექტორთან რობერტ არაქელაშვილთან აიყვანეს," - აცხადებს ომბუდსმენი.

სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ნუგზარ თაბაგარის ცემის ფაქტი მსჯავრდებულმა მიხილ ჩიხლაძემაც დაადასტურა.

სახალხო დამცველმა მსჯავრდებულთა ახსნა-განმარტებები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას გაუგზავნა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# მაორად რაბლილი არჩვენები მოლდოვაში

## მომდევნო ნაბიჯი პარლამენტის დათხოვნაა

მარიკა იახვილი

მოლდოვას პარლამენტში ქვეყნის პრეზიდენტის ასარჩევად ჩატარებული ფარული კენჭისყრა დასრულდა. ხმის მიცემის პროცედურაში მმართველი "კომუნისტური პარტიის" სამოცივე დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. სამმა ოპოზიციურმა პარტიამ კი არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ამგვარად, აუცილებელი 61 ხმის დაგროვება "კომუნისტების" მიერ პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილმა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო.

ეს უკვე პარლამენტარების მიერ პრეზიდენტის არჩევის მეორე მცდელობა იყო. ოთხშაბათს გამართულ სხდომაზე დეპუტატებმა ქვეყნის ლიდერის არჩევნების შესახებ შექმნილი საგანგებო კომისიის პროტოკოლი დაამტკიცეს, რის შემდეგაც ფარული კენჭისყრა დაიწყო. სხდომის დაწყებამდე სამი ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, რათა ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მიიღონ.

რიგით მესამე ოპოზიციური პარტიის, ალიანს "ჩვენი მოლდოვა" ლიდერმა სერაფიმ ურეკიანმა სხდომის წინ განაცხადა, რომ ფრაქციას, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, პრეზიდენტის არჩევაში მონაწილეობა არ მიიღებს. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ მისი ფრაქციის დეპუტატებს უფლება აქვთ, კენჭისყრაში მონაწილეობაზე გადაწყვეტილება თავად მიიღონ.

ოთხშაბათს მოლდოვას პრეზი-

დენტის არჩევის პროცედურის დროს პარლამენტმა, სპიკერ ვლადიმერ ვორონინის თხოვნით, შესვენება გამოაცხადა, რომლის დროსაც მოქმედმა პრეზიდენტმა სამივე ოპოზიციურ პარტიასთან კონსულტაციები გამართა.

ვორონინთან კონსულტაციის შემდეგ ურეკიანმა განაცხადა, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა მათ "თანამშრომლობის წინადადებათა და ლიანდ ვეიან მიმართა."

ოპოზიციური "ლიბერალური პარტიის" წარმომადგენელმა მიხაი გიმპუმ, კოლეგის მსგავსად, ვორონინთან კონსულტაციის შემდეგ განაცხადა, რომ მისი დეპუტატები პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. გიმპუმს თქმით, "შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ვადამდეული საპარლამენტო არჩევნებია."

**"ვორონინმა პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა იმისთვის შემოგვთავაზა, რომ ვადამდეული საპარლამენტო არჩევნების ჩატარება არ დაეშვა. ამასთანავე, ის ეკონომიკურ კრიზისსა და ქვეყნისთვის არსებულ რთულ პირობებზე აპელირებდა. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ შევინდოვებდით აქვს უფლება, შექმნას ახალი მთავრობა, ვადამდეული საპარლამენტო არჩევნების ჩატარება კი შემოდგომაზე შეიძლება. ოპოზიცია მზად არის, მხარი დაუჭიროს ანტიკრიზისულ ზომებს, რომელსაც მინისტრთა ახალი კაბინეტი შემოგვთავაზებს,"** - განაცხადა გიმპუმ.

ანალოგიური პოზიცია გამოთქვა მოლდოვას "ლიბერალ-დემოკრატიული" პარტიის ლიდერმა ვლად

ფილატმა. "პრეზიდენტმა შემოგვთავაზა, მონაწილეობა მივიღოთ შექმნილ ფართო კოალიციაში და მთავრობა ერთად ჩამოვყალიბოთ. ჩვენთვის ეს მიუღებელია. ჩვენმა პარტიამ გადაწყვიტა, ვადამდეული საპარლამენტო არჩევნებს მიადნოს და ბოლომდე ამ გზას გაჰყვება," - აღნიშნა მან. "ჩვენ არ გვაქვს მორალური უფლება ჩვენი ამომრჩევლების წინაშე, "კომუნისტებთან" შეთანხმება გავაფორმოთ," - განაცხადა ფილატმა.

"კომუნისტებთან" თანამშრომლობაზე უარის თქმის გადაწყვეტილების არგუმენტად ფილატმა ის მოიყვანა, რომ "ამჟამად მოლდოვაში შექმნილია პოლიციური სახელმწიფო." ოპონენტთა საპასუხოდ კი ვორონინმა აღნიშნა, რომ "როდესაც, ე.წ. დემოკრატების მმართველობის შემდეგ ხელისუფლებაში "კომუნისტები" მოვიდნენ, ქვეყნის ციხეებში 13 ათასი პატიმარი იჯდა," დღეს კი მათი რიცხვი 5.6 ათასია.

პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად აუცილებელი 61 ხმა ორმა კანდიდატმა 20 მაისს ჩატარებული პირველი კენჭისყრის დროს ვერ დააგროვა. მთავარმა კანდიდატმა, მოქმედმა პრეზიდენტ-მინისტრმა ზიანდა გრეჩანაიამ "კომუნისტური პარტიის" დეპუტატების 60 ხმა მიიღო. ოპოზიციამ კი არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა.

განმეორებით არჩევნებზე პრეზიდენტის პოსტზე ისევ ორი კანდიდატი იყო წარდგენილი - გრეჩანაია და მოლდოვას ელჩი რუსეთის ფედერაციაში ანდრეი ნეგუცა. ორივე მათგანი "კომუნისტური პარტიის" წევრია, მოქმედ პრეზიდენტ ვლადიმერ ვორონინს პოსტზე მესამე

ვადით დარჩენის უფლება არა აქვს. ოპოზიციამ კი თავისი კანდიდატურის წარდგენაზე უარი თქვა.

პრეზიდენტის განმეორებითი არჩევნები 28 მაისსთვის იყო დაინიშნული, თუმცა სხდომა "კომუნისტური პარტიის" ინიციატივით გადაიდო. მმართველმა პარტიამ თავისი გადაწყვეტილება იმ მოტივით ახსნა, რომ ამ დღეს მოლდოვაში რელიგიური დღესასწაული - ამაღლება აღინიშნებოდა. ინიციატივის ავტორებმა განაცხადეს, რომ ამ დღეს "ჩხუბი და პოლიტიკით დაკავება" არ ღირს. არჩევნები ერთი კვირით გადაიდო, ამავდროულად "კომუნისტებმა" პრეზიდენტის ასარჩევად საჭირო მხარდაჭერის (სულ რაღაც, ერთი ხმის) მოპოვების მიზნით ოპოზიციასთან დიალოგის დაწყების ინიციატივა წამოაყენეს, რაც ვადამდეული საპარლამენტო არჩევნების თავიდან აცილებაში დაეხმარებოდა.

სამი ოპოზიციური პარტია, რომელიც 101 მანდატიდან 41-ს ფლობს, მიიჩნევს, რომ საპარლამენტო არჩევნები, რომლის ფარგლებშიც სპიკერად მოქმედი პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი აირჩიეს, ფალსიფიცირებული იყო, რის გამოც ოპოზიციური პარტიები განმეორებითი არჩევნების დანიშვნას ცდილობენ.

კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებს კიდევ ერთხელ ვერ გადადებენ. ერთი მხრივ, კენჭისყრა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან ორთვიან ვადაში უნდა ჩატარდეს ანუ არაუგვიანეს 7 ივნისისა. მეორე მხრივ, პრეზიდენტის არჩევის მეორე მცდელობა პირველის ჩაშლიდან, მაქსიმუმ,

15 დღეში უნდა მოხდეს. 15-დღიანი ვადა კი 4 ივნისს იწურებოდა.

მოქმედმა პრეზიდენტმა ახლა პარლამენტი უნდა დაითხოვოს და ვადადელი არჩევნების დრო დაინიშნოს. თუმცა კანონმდებლობაში არჩევნების ჩატარების ვადები საკმაოდ ბუნდოვნად არის მოცემული. კანონი მიუთითებს, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს 45 დღეში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის მიერ პარლამენტი დათხოვნილია გადაწყვეტილება ძალაში შევა, მაგრამ არ არის აღნიშნული, თუ როდის უნდა მოახერხოს პრეზიდენტმა ხელი შესაბამის ბრძანებას.

მოქმედი პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი აცხადებდა, რომ ვადადელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, ის კენჭისყრის დანიშვნის ბრძანებას ხელს მანამდე არ მოახერხებს, სანამ საპარლამენტო უმრავლესობა მთავრობას არ ჩამოაყალიბებს. კანონმდებლობის თანახმად, მინისტრთა ამაჟამინდელი კაბინეტის წევრები თანამდებობებიდან არჩევნების ჩატარების შემდეგ გადადგნენ.

მსგავსი რამ მოლდოვაში ერთხელ უკვე მოხდა - 2000 წელს. საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად საერთო ეროვნული არჩევნები პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევამ შეცვალა. მაშინ საპარლამენტო უმრავლესობამ ქვეყნის ლიდერის არჩევა ვერ შეძლო და ვადადელი არჩევნები დანიშნა. შედეგად 2001 წლის თებერვალში "კომუნისტებმა" 101 სადეპუტატო მანდატიდან 71 მიიღეს და პრეზიდენტად პირველი ვადით ვლადიმერ ვორონინი აირჩიეს.

# ოზამა ისლამური სამყაროს შემოკრიბებას ცდილობს

## ამერიკის პრეზიდენტმა ახლო აღმოსავლური ვოიაყი დაიწყო

გუშინ ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ოზამა საუდის არაბეთში ჩავიდა, იქიდან კი ეგვიპტეში გაემგზავრება, სადაც საპროგრამო სიტყვით გამოვა და რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობებზე ისაუბრებს. ამერიკის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ცდილობს, ააწყოს დიალოგი მუსლიმურ სამყაროსთან და გადალახოს ეჭვიანი დამოკიდებულება, რაც ორივე მხრიდან არსებობს. გარდა ამისა, ოზამას სურს, განახლოს მშვიდობიანი მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთში. ეს რეგიონში მისი პირველი მოგზაურობაა პრეზიდენტის რანგში.


"ბი-ბი-სი"-ს დიპლომატიურ მიმომხილველ ჯონათან მარკუსის აზრით, ბარაკ ოზამა ცდილობს, გააუმჯობესოს შეერთებული შტატების იმიჯი და სერიოზულად იმუშაოს ისრაელსა და პალესტინელებს შორის სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად. გარდა ამისა, მას უნდა გაამართლოს რეგიონში აშშ-ს სხვა მიზნების მიღწევაც. საქმე ეხება ძირითადად ერაყში სიტუაციის სტაბილიზებასა და ირანის შეკავებას. ამისათვის ოზამასთვის აუცილებელია არაბულ სამყაროში პარტნიორების ყოლა და ამ ვოიაყის დროს ის სტუმრობს ორ საკვანძო ქვეყანას, საუდის არაბეთსა და ეგვიპტეს. საუდის არაბეთი მხარს უჭერს ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის ურთიერთობების რეფორმირების ერთადერთ ყოვლისმომცველ სამშვიდობო გეგმას. ეგვიპტე აქტიურად მონაწილეობს პალესტინის პრობლემის

მოგვარებაში, ასრულებს შუამავლის როლს ისრაელსა და მოძრაობა "ჰამასს" შორის, რომელიც ლახის სექტორში აკონტროლებს ვითარებას. "ბი-ბი-სი"-ის ანალიტიკოსების აზრით, ბარაკ ოზამასთვის აუცილებელია აღიანსი ორივე ამ ქვეყანასთან, თუ მას უნდა გამოაცოცხლოს დღეს ფაქტობრივად მკვდარი სამშვიდობო მოლაპარაკებები.

საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში ბარაკ ოზამა მეფე აბდულასთან გამართავს მოლაპარაკებებს. რეგიონული პრობლემების გარდა, ისინი ნავთობის ფასის საკითხსაც განიხილავენ. ხუთშაბათს ოზამა სიტყვით გამოვა ეგვიპტეში, კაიროს უნივერსიტეტში. თეთრ სახლში იმედოვნებენ, რომ ეს სიტყვა ახალ ფურცელს გადაშლის შეერთებული შტატებისა და არაბული სამყაროს ურთიერთობებში. სხვათა შორის, ოზამას მსმენელებს შორის იქნება აკრძალული ისლამისტური დაჯგუფება "მუსლიმი ძმების" ათი მაღალი რანგის წარმომადგენელი. ისინი მხარს უჭერენ ოზამას ვიზიტს ეგვიპტეში, რადგან ამ უკანასკნელს პალესტინა-ისრაელის კონფლიქტში მყარი პოზიციები უკავია და ისლამურ სამყაროსთან კავშირების განმტკიცებას ცდილობს.

ეგვიპტიდან ოზამა ევროპაში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის 65 წლის-თავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში.

ვოიაყის პროგრამაში არ შედის



AFP - 2009

ისრაელი, მაგრამ საუდის არაბეთში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ოზამამ ვაშინგტონში მიიღო ისრაელის თავდაცვის მინისტრი ეჟუდ ბარაკი. არსებული ინფორმაციით, ოზამამ კვლავ გააფრთხილა ისრაელი, რომ მკაცრ პოზიციას დაიკავებს მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ებრაული დასახლებების მშენებლობისა და გაფართოების მიმართ. ისრაელი არ აპირებს დასახლებებში მშენებლობების შე-

ჩერებას, პალესტინელი ლიდერები კი აცხადებენ, რომ მშვიდობაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ ასეთი საქმიანობა გაგრძელდება.

მოგზაურობის წინ "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ოზამამ გამოთქვა იმედი, რომ შეერთებული შტატები შეძლებს "სერიოზული მოლაპარაკებების განახლებას" ისრაელსა და პალესტინელებს შორის. მისი სიტყვებით, ვიზიტი ამერიკასა და ისლამურ სამყაროს მის-

ცემს შანსს, "მეტი ყურადღებით მოექცეოდნენ ერთმანეთის აზრს". მაგრამ მან ისიც აღნიშნა, რომ ჯადოსნური ჯოხი ხელში არავის უპყრია. "არსებობს რეალური და ძალიან რთული პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს. საბოლოო ჯამში, საქმეები და არა განცხადებები განსაზღვრავს მომავალში კურსს, მომავალ პროგრესს დღევანდელ ვითარებაში," - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

რეგიონში ამერიკის პრეზიდენტის ჩასვლის წინ ერთ-ერთ ინტერნეტ-საიტზე გაჩნდა ალ-კაიდას იერარქიაში მეორე პირის, ეგვიპტელ აიმან ალ ზავახირის აუდიოიმიმართვა, რომელშიც ამ ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგი და უსამა ბილ ლადენის "მარჯვენა ხელი" ბარაკ ოზამას "დამნაშავეს" უწოდებს და აცხადებს, რომ ამერიკის პრეზიდენტს ახლო აღმოსავლეთში არაფერი ესაქმება, ცხადია ერყყსა და ავღანეთში ამერიკის მოქმედებების გამო. მან მუსლიმებს მოუწოდა, ყურადღება არ მიაქციონ ამ ვიზიტს, საუდის არაბეთისა და ეგვიპტის ხელმძღვანელებს კი მონები უწოდა. აიმან ალ ზავახირი აცხადებს, რომ "სისხლიანი გზავნილები უკვე მიღებულია და მათ ისევ ველებლობთ", ასეთი მოქმედებების "ლამაზი სიტყვებით" დაფარვა კი შეუძლებელია. ნამდვილია თუ არა ეს აუდიოიმიმართვა, ჯერ დადასტურებული არ არის.

**"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ**





**ბანკის 1000  
საქართველოს ბანკი**

**ბანკით ნაბაი, რაჩოთ ბთაშაშაშა, შოგოთ შინაშე შინაშე და ბიან**



**საქართველოს ბანკი  
BANK OF GEORGIA**



**დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი**



**i.r.a.**

(ძველი ამბავი)

სულ არ ჰგავდა შინიერ ო კონორს - ნითელი, გაბურძენილი თმა და ჭორფლიანი სახე ჰქონდა, მაგრამ რამდენჯერაც დავინახავდი, იმდენჯერ მახსენდებოდა ო კონორი და ალბათ იმიტომ, რომ ესეც ირლანდიელი იყო.

ვხვდავდი კი ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), ლექციებზე, სადაც ლექტორებს არასოდეს მიმართავდა შეკითხვებით და ყოველთვის ჩუმად იჯდა. მაშინაც კი, როცა ჩვენი ინგლისელი პროფესორები ისეთი მონდომებით ხუმრობდნენ, რომ დანარჩენი სტუდენტები თავშეუკავებლად ხარხარებდნენ, ისევე ჩუმად იყო და რაღაცაზე ფიქრობდა ხოლმე. ის არასოდეს მინახავს არც იმ პაბში, სადაც მთელი უნივერსიტეტი იკრიბებოდა ხოლმე პარასკევ საღამოს და იქ ჩვენი ძვირფასი ლექტორები სტუდენტებთან ერთად სვამდნენ შუალამემდე, ზოგჯერ დილაამდე, სადამდეც შეეძლო.

ერთხელ კინოშიც დავვატიყე. ლონდონში ყველაფერი ძვირია, მაგრამ იაფ კინოთეატრს მაინც მივაგენი ლესთერ-სტუდენტთან ახლოს და იქ დავდიოდი ხოლმე.

უარი მითხრა. მეორეჯერაც დავვატიყე, რადგან მართლა მაინტერესებდა, ასეთი სერიოზული სახით რაზე ფიქრობდა, თანაც გამუდმებით და იმის გარკვევაც მინდოდა, რატომ სწავლობდა ჩვენთან ერთად, თუ ის ირლანდიელი იყო. ირლანდიელი კი ნამდვილად იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისთვის ინგლისური (ჩვენთან განსხვავებით), პირველადი ენა უნდა ყოფილიყო და წესით, სულ სხვა პროგრამით უნდა ესწავლა.

მეორედაც რომ უარი მითხრა, ამ კითხვით იმ ჩვენს პროფესორს მივმართე, პარასკეობით რომ ვისკის ჭიქას მიჭახუნებდა მონდომებით და მან ასეთივე მონდომებით ამიხსნა, რომ არიან ირლანდიელები, რომლებიც პრინციპულად არ მიიჩნევენ ინგლისურს მშობლიურ ენად და ასეთ შემთხვევებში, ისინიც თქვენი პროგრამით სწავლობენო. ასეთმა პასუხმა კიდევ უფრო დამაინტერესა და მესამედაც ვაპირებდი დაპატიჟებას, მაგრამ კვირას ჰაიდაპარკში წასვლა თვითონ შემომთავაზა.

ერთმანეთს მარბლ არჩის ამოსასვლელთან შევხვდით. გამორჩეულად მზიანი დღე იყო და როგორც ასეთ დღეებში ხდება ხოლმე, პარკში უამრავი ადამიანი დაგვხვდა. ძირითადად მზეს ეფიცებოდნენ და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი უსმენდა ირლანდიელ ორატორს, რომელიც ინგლისელთა იმპერიულ პოლიტიკას საკმაოდ ოპოზიციურად აკრიტიკებდა. ჩვენც ვიდექით და ვუსმენდით, თუმცა პირადად, ბალახზე წამოწოლა მერჩივნა, მაგრამ იმ ირლანდიელ ორატორს ისე გაუფრთხილდა სიტყვა, რომ საშინლად დავივალე. ამანაც შემატყო და გაელიმა. პირველად ვნახე გაღიმებული და რადგან გაღიმებული ვნახე, ბოლომდე ვაუწყელი ინგლისელების ლანძღვას.

მერე ვინეკით ბალახზე, რომლის სუნიც ისევე მსიამოვნებდა, როგორც მზე ლონდონის ცაზე და ამ ირლანდიელი გოგოს სიახლოვე, რომელიც სულ არ იყო ლამაზი, მაგრამ ყველაზე ახლოს იყო ჩემთან და ვაკოცე ისე, როგორც საყვარელ ბავშვებს კოცნიან ხოლმე. მე ვაკოცე ლოყაზე, თვითონ ტუჩებში მაკოცა და მერე, როცა მეც ვაკოცინდი ტუჩებში, გამახსენდა, რომ ამაზე მეტის გამო ულტრალიბერალურ ლონდონშიც კი შეიძლება დაგაჯარიმონ, თუ ეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ხდება. ეს რომ ვუთხარი, აშკარად გაუხარდა. მითხრა, უკეთესი იქნება თუ დავვაპატიმრებენ, რადგან მთელი მსოფლიო გაიგებს, როგორ არადემოკრატიულია ინგლისი და ისე სწრაფად გაიხადა, რომ უხერხულობისა და მოულოდნელობისაგან, არც ვიცოდე რა უნდა მექნა. ყველაფერს ჩემს მაგივრადაც თვითონ აკეთებდა და ვლოცულობდი, რომ პოლიცია არ მოსულიყო დღისით, მზისით შუაგულ ლონდონში, ღია ცის ქვეშ, უამრავი თვითმხილველის თვალწინ, ამ აღვირახსნილობის აღსაკვეთად.

როცა დამემშვიდობა, მომეჩვენა რომ თვალები სველი ჰქონდა.

მეორე დღეს ორშაბათი იყო, თუმცა ლექციებზე არ მოსულა.

შუადღისას გოგი ძოძუაშვილს უნდა შევხვედროდი ჩარინგ ქროსზე, მაგრამ ქუჩაში არ ვაგვიშვებს - ტერორისტებმა სიტყმი რაღაც შენობა ააფეთქესო და ორი საათით მთელი ლონდონი გადაკეტილი იყო.

მხოლოდ საღამოს, სახლში დაბრუნების მერე, ბიბისიზე ვნახე ჩემი ჭორფლიანი, უკვე დაპატიმრებული ირლანდიელი...

# I'll be back - თქვა მან და დაბრუნდა


“ტერმინატორი: მხსნელი” თბილისის კინოთეატრებში გამოვიდა

ი ა ვეკუა

ზუსტად 20 წლის შემდეგ დედამიწა ბრძოლის ველს დაემსგავსება, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მექანიკურ მონსტრებთან ბრძოლას შეეწირება, ადამიანები მინისქვეშა კატაკომბებში მოძებნიან თავშესაფარს და მხოლოდ თვითგადარჩენაზე იფიქრებენ. ასე გრძელდება უკვე თითქმის ათი წელია. ადამიანების მიერ შექმნილი რობოტები დედამიწის მბრძანებლები არიან და მხოლოდ ერთი რამ ამოდრავებთ - მოსპონ ყველანაირი სიცოცხლის ნიშანი. თუმცა სწორედ ამ დროს კაცობრიობას მხსნელი მოველინება - ჯონ კონორი, მებრძოლად დაბადებული და ლიდერად ქცეული ადამიანი, რომელმაც იცის, როგორ უნდა იბრძოლოს და გადარჩეს. ალბათ უკვე მიხვდით, რომ საუბარია საკულტო ფილმ “ტერმინატორზე”, რომლის მეოთხე ნაწილი დღეს კინოთეატრ “ამირანსა” და “საქართველოში” გამოდის.

ფილმის მსოფლიო პრემიერა 21 მაისს გაიმართა, ხოლო თუ ჩვენს ქვეყანაში არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ, ქართველ მაყურებელს ნამდვილად გაუშარბოდა, რომ ფილმის ასე მალე ნახვის საშუალება მიეცა - დიდ ეკრანზე მსგავსი სანახაობის ხილვას კი არაფერი სჯობს, მით უმეტეს, თუ ამ ჟანრის კინო მოგვარის.

“ტერმინატორი: მხსნელის” მოქმედება სწორედ იქ და იმ დროში ხდება, რომელზეც წინასამი ფილმის განმავლობაში მხოლოდ საუბრობდნენ და ფრაგმენტულად გვაჩვენებდნენ - მომავალში, იმ მომავალში, სადაც სასონარკვეთისა და სიკვდილის შიშის მეტი არაფერია დარჩენილი. ფილმის მთავარი გმირი ამჯერად ჯონ კონორია (კრისტინა ბელი), ჩვენი გადასახედიდან წარსულში მცხოვრები სარა კონორისა და მომავლიდან მოსული კაპრალ რიზის შვილი. ფილმის მოქმედება 2018 წლიდან იწყება, როდესაც ჯონ



კონორი წინააღმდეგობის ლიდერი ხდება. მოულოდნელად ადამიანთა შორის უცხო გამოჩნდება, ვინმე მარკუს რაიტი, რომელიც როგორც ირკვევა სინამდვილეში კიბორგია ადამიანის გულით და კომპიუტერული ტვინით. ჯონ კონორი არჩევანის წინაშე დგება. მან უნდა გადაწყვიტოს რაიტი მომავლიდან გამოგზავნილი აგენტია თუ წარსულიდან მოსული მეგობარია. სწორედ რაიტთან დაახლოვების შემდეგ იგებს კონორი სინამდვილეში რა მოხდა მაშინ, როდესაც კაცობრიობა განკითხვის დღის წინაშე აღმოჩნდა.

ფილმის ვიზუალური მხარე საკმაოდ დამთრგუნველი და აპოკალიპტურია. კომპიუტერული გრაფიკით შექმნილი ხედები, შენობები თუ ზოგადი გარემო ზუსტად ასახავს იმ კომარს, რაც კაცობრიობას შესაძლოა ელოდეს, თუ ის არ შეწყვეტს იარაღთან დაკავშირებულ მუდმივ ექსპერიმენტებს, რაც ზემოქმედის შექმნასაც ითვალისწინებს. მეტი განწყობისთვის ფილმის გადამღები ჯგუფი, განსაკუთრებით კი ვიზუალურ მხარეზე პასუხისმგებელი სპეციალისტები დიდხანს სწავლობდნენ ჩერნობილის კატასტროფის მასალებს. “ვნახეთ თითქმის ყველა ვიდეო ჩანაწერი თუ ფოტომასალა, რომლებიც ჩერნობილის აფეთქების შემდეგ გადაიღეს. ეს საშინელი სანახაობა იყო, ზუსტად ისეთი, როგორიც

დედამიწაზე ყველაზე საშინელი კატასტროფის შემდეგ შეიძლება ვნახოთ. ფილმში მაქსიმალურად გადმოვიტანეთ ამ კადრებში ნანახი უსიცოცხლო გარემო. დაე, ეს იყოს სიმბოლო იმისა, რა შეიძლება რეალურად მოხდეს თუ ადამიანი არ შეწყვეტს საკუთარი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ ექსპერიმენტებს”, - ამბობს ფილმის რეჟისორი მაკჯი.

“ტერმინატორის” ისტორია ჯერ კიდევ 1984 წელს დაიწყო, როდესაც მსოფლიო ეკრანებზე ჯეიმს კამერონის ფილმი გამოვიდა. ფილმის სიუჟეტი იმთავითვე ორიგინალური იყო: 2029 წელს ჯონ კონორის მეთაურობით ადამიანები კიბორგების დამარცხებას შეძლებენ. სწორედ ამის შემდეგ “სკაინეტი” ანუ კიბორგების მთავარი სერვერი, ტვინი, გენბავთ მშობელი, ერთ-ერთ რობოტს (შვარცნეგერის გმირს) 1984 წლის ამერიკაში აგზავნიან, რომელსაც კონკრეტულ მისიას აძლევს - მოკლას ჯერ კიდევ არ დაბადებული ჯონ კონორის დედა. ტერმინატორის კვალდაკვალ საკუთარ გმირს აგზავნიან ადამიანებიც, კერძოდ ჯონ კონორი, რომელიც კალი იოზს სარა კონორის დაცვას ავალებს. სწორედ აქ ხდება ყველაზე საინტერესო რამ - სარა კონორი რიზისგან ფეხმძიმდება...

საინტერესოა ფილმის შექმნის ისტორიაც. ცნობილია, რომ

იდეა ჯეიმს კამერონს 1981 წელს რომში გადაღებებზე ყოფნისას დაესიზმრა. როგორც მოგვიანებით თავად იხსენებდა, სიზმარში ნითელ თვალებიანი კაცი გოგონას მისდევდა, რომელიც მთელი ძალით ცდილობდა მისგან თავის დახსნას. რამდენიმე თვეში კი სცენარი უკვე მზად ჰქონდა. სხვადა შორის, კამერონს ჯერ კიდევ მაშინ მოაფიქრდა მოგვიანებით ფილმის მეორე ნაწილში გამოყენებული თხევადი მეტალი (მასალა, რომლითაც კიბორგი T 1000-ია შექმნილი), თუმცა 80-იანი წლების დასაწყისში მსგავსი სპეციალური ეფექტების საშუალება არ არსებობდა (ეს მხოლოდ 1991 წელს მოხერხდა), ამიტომ შვარცნეგერის რობოტი ადამიანის ჩონჩხის მაგვარ, კანის იმიტაციით დაფარული რკინის კონსტრუქციაა. თავდაპირველად მთავარი კიბორგის როლი ლანს ჰენრიქსენს უნდა ეთამაშა, შვარცნეგერისთვის კი კაპრალ რიზის როლი იყო განკუთვნილი, თუმცა როდესაც კამერონმა შვარცი გაიცივნო, მაშინვე შეიცვალა აზრი, როლები გადაანაწილა, ხოლო ჰენრიქსენს ჩვეულებრივი პოლიციელის როლი ერგო (მოგვიანებით ლანს ჰენრიქსენს მაინც მოუწია კამეო როლად ქცევა - იმავე კამერონის “უცხოებში”).

“ტერმინატორის” იდეის ერთ-ერთ წინამორბედად არტურ კლარკის ნანარმოების მიხედვით სტენლი კუბრიკის მიერ გადაღებულ “2001: კოსმოსური ოდისეას” ასახელებენ. სწორედ აქ გვხვდება ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის (HAL 9000) სასიკვდილო დაპირისპირების საინტერესო შემთხვევა. კიდევ ერთ მსგავსიად შეიძლება მოვიხსენიოთ მერი სელის “ფრანკენშტეინი ანუ თანამედროვე პრომეთე”, სადაც ასევე ვხვდებით ადამიანის მიერ შექმნილი არსების კაცობრიობის წინააღმდეგ გაბრძოლების ფაქტს. თუ როგორ დამთავრდება ადამიანისა და მისი მექანიკური მტრის მრავალწლიანი დაპირისპირება, ამას ცხადია ახალი ფილმის ნახვის შემდეგ შეეცდებით.

## “შვიდკაცას” ახალი სახე

გალერეა “ვერნისაყი” სოსო ქუმსიაშვილის გამოფენას მასპინძლობს

ი ა ა რ ი ვ ა ნ ი ძ ე

გალერეა “ვერნისაყი”-ს პროექტი, რომელიც ქართულ ხელოვნებაში ახალი სახეების გამოვლენას ითვალისწინებს, ახალგაზრდა მხატვრის სოსო ქუმსიაშვილის პერსონალური გამოფენით გრძელდება. იგი ეკუთვნის იმ აკადემიადამთავრებულ მხატვართა ჯგუფს, რომელმაც შარშან, ამავე გალერეაში, გამოფენა “რაჭის პეიზაჟები” მოაწყო. ოთხი წლის განმავლობაში აკადემიის სტუდენტები ყოველ ზაფხულს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადიოდნენ და ბუნების თავისებურებებს საკუთარ ნამუშევრებში ასახავდნენ. თავდაპირველად სტუდენტები პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად ახალციხეს ესტუმრნენ. იქ, დაახლოებით, ერთი თვე დარჩნენ და თბილისში უამრავი ნამუშევარი ჩამოიტანეს. მეორე წელს უკვე გუდამაყარს მიაშურეს, შემდეგ კახეთს, რაჭას... ამ ზაფხულს

ალბათ დასავლეთისკენ წავლენ. სოსო ქუმსიაშვილის პერსონალური გამოფენის ორგანიზება ამ გალერეის ხელმძღვანელის - ზაირა ბერელიძის შეთავაზებით განხორციელდა. ექსპოზიციაზე ბოლო წლებში შესრულებული 34 ნამუშევარია წარმოდგენილი, მათ შორის, საგარეჯოს, მანავის, კავკასიონის, იორის ველის, პატარაქელის, რაჭის, ნინოწმინდის პეიზაჟები და ასევე, ნატურმორტები. გალერეის ერთ კუთხეში დიდუბეში მდებარე ერთ-ერთი ძველებური ხის სახლის სურათსაც შეხვდებით. ის, როგორც ავტორმა განმარტა, იმ დროსა და ხატული, როცა ამ უბანში მდებარე სახელოსნოში ბევრს მუშაობდა, მისი ნატურმორტების უმეტესობაც სწორედ იქ არის შექმნილი.

“ფერწერა, რომელიც აქ არის წარმოდგენილი - ფრანგული ფერწერაა, იგი მთელი მსოფლიოშია გავრცელებული. თუმცა, ამის გაკეთება იმდენად რთულია, რომ ბევრი ვერ ახერხებს. ავტორის

ნიჭიერება იმაშიც ვლინდება, რომ იგი ამ ტექნიკას უკვე ფლობს და გამორჩეულად ხედავს ფერებს. მის ნამუშევრებში იკითხება, რომ მხატვარს კარგი მომავალი ექნება. ახლა მთავარია მან ადგილი მსოფლიოს ფერწერაში დაიმკვიდროს”, - აღნიშნა მხატვარმა ჯემალ ხუციშვილმა.

სოსო ქუმსიაშვილი 1984 წელს, ქალაქ გურჯაანში დაიბადა. 2000 წელს გურჯაანის ივანე ჯავახიშვილის სახელობის გიმნაზია დაამთავრა, 2002-2004 წლებში იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 2004-2008 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში - დაზგური ფერწერის ფაკულტეტზე სწავლობდა. მონაწილეობდა არაერთ ჯგუფურ გამოფენაში, მათ შორის, აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების თუ საფრანგეთის იონოს დეპარტამენტის მიერ თელავში ორგანიზებულ ქართველ მხატვართა გამოფენა-გაყიდვაში, ასევე, პროკრედიტ ბანკის მიერ მოწყობილ

ექსპოზიციაში, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ორგანიზებულ ბავშვთა გამოფენაში და ა.შ. მისი პირველი პერსონალური გამოფენა 2005 წელს, გურჯაანში მოეწყო. ახალგაზრდა მხატვარი აქტიურ მუშაობას მომავალშიც გააგრძელებს. მისი სურვილია ხეყურეთის, თუშეთისა და სვანეთის ამსახველი ბეიზაჟები შექმნას. “მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნო აღარ მაქვს, მუშაობას გაგავრძელებ, მონაწილეობას მივიღებ სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებში და საზოგადოებას ახალ ნამუშევრებს შევთავაზებ”, - ამბობს სოსო ქუმსიაშვილი.

აკადემიის შვიდკაციანი ჯგუფის წარმომადგენლების ექსპოზიცია გალერეა “ვერნისაყი” უკვე მეორედ ეწყობა. პირველად აქ ჯგუფის ყველაზე პატარა წევრს - ლევან აბრამიშვილს უმასპინძლეს, მომდევნო იოსებ ქუმსიაშვილი იქნება და ნელ-ნელა თითოეული მათგანის ნამუშევრები გამოიფინება.



# შენ ინდიელთა ბელადობა დაბრუნდება

ირაკლი ბარიაშვილი

ბატონ იოსებს არ ეწყინებოდა, მისი ლექსის ერთი სტრიქონის პერიფრაზი რომ გამოვიყენე სათაურად. ესეც არ იყო, ცოტა მეხამუშება "შენობით" მიმართვა, მაგრამ ის მამშვიდებს, რომ ბელადებსა და მეფეებსაც კი, უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად, უბრალო მოკვდავნი სწორედ ასე მიმართავდნენ.

ამ წერილში მტყუან-მართლის გარჩევას არ დავინწყებ. ამას დიდი დრო და კარგი მსმენელი უნდა, ისეთი, სიტყვებს თუ არა, არგუმენტებს მაინც რომ გაუწევს ანგარიშს. ამიტომ უსიტყვოდ მივიღებ მოცემულობას - შენ "ხალხის" ლიდერი ხარ, მართალია, ნაწილის, მაგრამ მაინც "ხალხის". ამ თანამდებობას კი ყველაზე მეტად სიტყვა "ბელადი" მოუხდება. მაშ ასე, ბელადი ხარ და გალიაში ზიხარ. რა თქმა უნდა, დიდი, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, დიდი მიზნით.

ახლა ერთი და რჩა გასარკვევი - რა ენაზე გელაპარაკო.

არა, არ ვხუმრობ. ვხუმრობ კი არა, დღევანდელ ვითარებაში მთავარი სწორედ ეს არის.

ზრდასრულ, თუნდაც სრულწლოვან ქვეყანაში საქმე იმ შემთხვევაში მიდის კარგად, რომ ციხეში ყველა მოქალაქე (ყველა თუ არა, დიდი უმრავლესობა მაინც) თავის საქმეს

აკეთებს: მასწავლებელი მასწავლებლობს, ექიმი ექიმობს, მღვდელი მღვდლობს, მომღერალი მღერის, რამდენიც შეუძლია და როგორც შეუძლია, პოლიტიკოსი პოლიტიკოსობს. ჰო, პოლიტიკაზე გამახსენდა. ბელადი, რაღაც თვალსაზრისით, რაღაც თვალსაზრისით კი არა, თავით ფეხებამდე, პოლიტიკოსია.

უმორჩილად ვთხოვ, წინააღმდეგობას ნუ გამიწევ და შევთანხმდეთ, რომ პოლიტიკოსი ხარ, თანაც არა უბრალოდ პოლიტიკოსი ან ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი, არამედ ბელადი, ბევრი ატრიბუტით, საკუთარი არმიითაც კი...

გალიაში გამომწყვედელი ადამიანი წამებულის ასოციაციას იწვევს. იმათ, ვინც ერთ სტადიონს გაავსებს, სავსებით შესაძლოა, რომ სულ მალე ქართული დემოკრატიისთვის წამებული შეგარქვან და ქეთევან დედოფლის, ცოტნე დადიანის, თვედორე მღვდლისა და სხვათა გვერდით დაიჭერ ადგილს. ეს ფანტაზია არ არის, მოვლენათა მსვლელობა მკარნახობს ამას.

მაშ ასე, ასარჩევია აი ამ ხალხსა და მათ ბელადთან სალაპარაკო ენა.

საერთოდ, კაცს იმ ენაზე უნდა ელაპარაკო, რომელიც ესმის. ამას, სხვა თუ არაფერი, ზრდილობა მოითხოვს. არ შეიძლება, მევენახე კაცს ეილერის ფორმულაზე ან ინტეგრალზე ესაუბრო. არა, შეიძლება გაიგოს კიდევ, მაგრამ რად უნდა, რაში

გამოადგება? კარგი ყურძნის მოყვანასა და ღვინის დაყენებაში ნამდვილად ვერ დაეხმარება.

ეს პასაჟი კომპლიმენტად რომ არ იქცეს, ბარემ აქვე ვიტყვი და მკითხველმაც მშვენივრად იცის, რომ ასფალტზე დგომითა და "წადის" ძახილით (ეჰ, თურმე როგორ ცდებოდა ეკზიუპერი, ყველაზე კეთილშობილი საქმე ხორბლის მოყვანა რომ ეგონა) არც ყურძენი მოყვანი, არც ღვინო და, საერთოდ, არაფერი.

ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში, მეორედან მესამეში, მეოთხეში და ასე დაუსრულებლად მოხეტიალე ხალხში, მართალია, ცოტა, მაგრამ ნორმალური ადამიანებიც (იგულისხმება თავისი საქმის მცოდნე) ურევია, მეტი ნილი კი უმუშევარი (ასეთი ყველა ქვეყანაშია), უსაქმური და არაფრის მაქნისია. მე მესმის პოლიტიკური თემებზე მწერლებისა - ზოგს გაქნილი პოლიტიკოსივით ვერ გაუგებ, "ჰოს" ამბობს თუ "არას", იცდის; დანარჩენებისთვის არც ისე ადვილია ამ მასისთვის გასაგებ ენაზე ჩამოდონება, მაგრამ მონდომებასაც ან, უფრო სწორად, სურვილსაც რომ ვერ ვატყობ? ოპოზიციურ ლიდერთა დიდმა ნაწილმა რომ მოახერხა? ნუთუ ნებისმიერ ენაზე ლაპარაკში არის რამე შეურაცხყოფელი?

ლაპარაკში, საუბარში, მართალია, დიალოგი იგულისხმება, მაგრამ კაცს წერილითაც ხომ შეიძლება უთხრა ერთი-ორი სიტყვა? ჟურნა-

ლისტის პროფესია ხომ სწორედ ამას გულისხმობს.

ისტორიამ, იმ ისტორიამ, რომელსაც მასწავლიდნენ, გალიაში ჩასმული, თანაც, არა საკუთარი სურვილით, მარტო პუგაჩოვი შემოგვინახა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში გალიაში ან მტაცებლები სხედან, ან მაიმუნები (ისინიც თავისი ნების სანაწილად მდგომარეობენ). პირადად მე არ მინახავს, არც ქუჩაში და არც ტელევიზორში, გალიაში მცხოვრები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ იმდენს ლაპარაკობენ, იმდენს მინდობენ, რომ ბოლოს დაფიქრებ კიდევ.

იქ - გალიაში - თურმე ლაპარაკობს, ბოლოს სცემს, სტუმრებსაც კი იღებს. ეს პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ გალიაში ადამიანია, ამიტომ მხეცებსა და მაიმუნებზე გადაკრული ნათქვამი უკან მიმაქვს (ისე, როგორ არ გაუმართლა დარვინს - ადრე მოკვდა სანყალი - ამაზე კარგ საბუთზე ხომ ვერც იოცნებებდა. დარწმუნებული ვარ, მთელ ქონებას გაყიდდა და ამ ვეზემპლარს უთუოდ შეიძენდა. კონსერვატორ ბრიტანელებს ხომ ამგვარი თვალსაჩინო არგუმენტის გარეშე ვერაფერს დააჯერებ!). თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დროსთან ერთად იცვლება ჩვევები, ტრადიციები, შეხედულებები, ფორმები. და რადგან ახლა გალია ყველაზე ხშირად სახსენებელ, ყველაზე მრავალსმეტყველ საგნად იქ-

ცა, საგნად კი არა, ლამის წმინდა ადგილად, შიგ აუცილებლად ყველაზე, ყველაზე... უნდა მჯდარიყო. ყველაზე, ყველაზე... კი ბელადია.

ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ბელადები ან ტახტზე სხედან, ან კიტელი აცვიოთ, ან - სამხედრო ფორმა, ან ძველი რომაული ფესტივალისთვის ბელა ხალხს. მუთაქებში ჩაფლული ბელადებიც გამიგონია. ამიტომ, მინდა თუ არ მინდა, გალიაში მჯდომსაც უნდა შევეგუო.

ბევრი ვიფიქრე, რომელი ერის ბელადობა დაამშვენებდა გალის ბინადარს. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ეს ფოკუსი არ გავა. საქართველო, მართალია, რაღაც პერიოდით ჩამორჩება ევროპას, მაგრამ ქვეყანაში, სადაც 1500 წლის წინათ ინერგებოდა მოთხრობა, სადაც 2300 წლის წინათ ერთ-ერთი სრულყოფილი ანბანი შეიქმნა, სადაც "ვეფხისტყაოსანი" ლამის ზეპირად იციან, სადაც ვაჟა და გალაკტიონი ჰყავთ, ეს რაღაც წარმოუდგენელი რამეა.

მაშ, ვისი, რომელი ხალხის? ფიქრები ინდიელისკენ გამექცა. ჰო, ასეა, შენ ნამდვილად ინდიელთა ბელადობა დაგშვენებდა. ოლონდ ეს არის, ნითური და ლურჯი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზოლები და თავში გარჭობილი ჭრელი ბუმბულებილა გაკლია.

# ახალი რეგიონული კოალიციისთვის: გლობალურისა და ლოკალურის საზღვრებს მიღმა კავკასიაში

ირაკლი საკვა

კანტონი უნივერსიტეტი, კანტონარკარი

თუ 1990-იან წლებში კონფლიქტის კერა ევროპაში ბალკანეთი იყო, 2000-იანში დაძაბულობისა და დაყოფის წყარომ კავკასიაში გადაინაცვლა. გეოგრაფიული გადაადგილება ასევე წარმოადგენს კონფლიქტების ბუნების ძირეულ ცვლილებას, რასაც განგრძობითი ელემენტები ახლავს თან. ბალკანეთის ომები გამოწვეული იყო ზენადაციონალური სახელმწიფოს - იუგოსლავიის რღვევით და მემკვიდრე ერთი სახელმწიფოების წარმოქმნით. ერებისა და სახელმწიფოების საზღვრები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რამაც, საბოლოო ჯამში, შედეგად ომები მოიტანა. კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს ამჟამად ანალოგიური მახასიათებლები აქვთ. რიგი სეპარატისტული ერები თავიანთი პოლიტიკური იდენტობის განმტკიცების გზებს ეძებენ, რასაც თან ახლავს სხვებთან კონფლიქტი საკუთარი პოლიტიკური ერთობის შექმნის მიზნით. განსხვავება ის არის, რომ ბალკანეთში ზუსახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირება არ ყოფილა და ბრძოლები რეგიონულ დონეზე დარჩა, მაშინ როცა კონფლიქტები კავკასიაში ინტენსიურ კავშირშია ზუსახელმწიფოების მეტოქეობასთან.

რეგიონში ყოველ პოლიტიკურ მოვლენას თანამდევნი დულაობები აქვს. ერთი მხრივ, საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, მთიან ყარაბაღსა და სხვა რთულ წერტილებში მოვლენათა განვითარების ლოკალური დინამიკა აქვს, რისი შესწავლაც მისივე პირობებშია საჭირო. მეორე მხრივ, ამ კონფლიქტთაგან თითოეულს აქვს გლობალური მასშტაბი, რასაც ასევე აქვს თავისი შაბლონები. ამის შემდეგ კითხვა ამ ორ დონეს შორის ურთიერთობის ხარისხს ეხება. ადვილია ზუსახელმწიფოების დადანაშაულება ადგილობრივი პრობლემების შექმნაში და 2008 წლის ქართულ-რუსული ომის განხილვისას ამაზე საუბრის დეფიციენტი ნამდვილად არ ყოფილა. ყველაფერი თითქმის ცივი ომის დროინდელი პრაქტიკის დაბრუნებასავით ჩანს,

როდესაც ზუსახელმწიფოები ერთმანეთთან პირდაპირ კონფლიქტში არ შედიოდნენ, მაგრამ ერთმანეთს მრავალრიბ ომში ებრძოდნენ - მაგალითად, აზიასა და აფრიკაში. მასშტაბური კონფლიქტის მსხვერპლი პატარა სახელმწიფოები ხდებიან. დღესდღეობით მსგავსი პროცესების მიმდინარეობის დამადასტურებელი უამრავი მტკიცებულება არსებობს.

ცივი ომის დროს ბრძოლის ხაზები თვალსაჩინო იყო და იდეოლოგიასაც მოიცავდა: ბრძოლა სოციალური მოწყობის ორ სისტემას - კაპიტალიზმსა და კომუნისტურ შორის. დღეს საკითხავია, ბრძოლა უფრო ანგლო-ამერიკული დასავლეთისა და რუსეთის იდეოლოგიებს შორის მიდის თუ სახეზეა ღია დაპირისპირება ძალაუფლებისა და გავლენისათვის. გეოპოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად დაბრუნდა, რასაც ზოგჯერ აღწერენ, როგორც ძველი "დიდი თამაშის" გაგრძელებას სხვა საშუალებებით. "ღირებულებათა" იდეა ჩადებულა დებატებში, მაგრამ ხშირად ინსტრუმენტალური და თვითომსახურების მანერით. არ არსებობს ეფექტიანი საშუალება კავკასიის რეგიონში ამერიკისა თუ რუსეთის ლეგიტიმური ინტერესების შესაფასებლად, მაგრამ ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ ორივეს უნდა ჰქონდეს ამ არეალში ლეგიტიმური ინტერესები. ტიპური ასიმეტრიული გაგება - ერთი ან მეორე მხარის მხარდამჭერი თუ მის წინააღმდეგ მიმართული - უბრალოდ არაადეკვატურია ამ რეგიონში მიმდინარე პროცესების შეფასების მცდელობისთვის.

გლობალურ და ლოკალურ დინამიკას შორის არის კიდევ მესამე ელემენტი - რეგიონული. ფართო გაგებით, რეგიონული დინამიკა კავკასიაში ევროკავშირის მხარდ როლსაც მოიცავს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკაზე დამყარებული აღმოსავლეთი პარტნიორობის განვითარება ნიშნავს პოლიტიკას, რომელსაც შეუძლია რეგიონი ევროპისთვის უფრო უსაფრთხო გახადოს, რისი მიღწევაც ტრანსფორმაციული დღის წესრიგით შეიძლება, რაც ადგილობრივ ნორმებს რეგიონულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს. ევროკავში-

რის ჭეშმარიტი შუამავლის როლის განვითარების გარდა, რასაც კავკასიაში მშვიდობიანი დინამიკისთვის ხელის შეწყობა შეუძლია, იმის საფრთხევან არსებობს, რომ იგი დაპირისპირებისა და კონფლიქტის სხვა წყაროდ იქცეს. ბალკანეთში ევროკავშირი შერიგებისა და განვითარების ნამდვილი ძალა იყო, მაშინ როცა კავკასიაში მას დაყოფის ინსტრუმენტად გადაქცევის პოტენციალი აქვს. რეგიონში ევროკავშირის როლი ღია რჩება. იგი 2008 წლის კონფლიქტში ღირსეულ შუამავლად მოგვევლინა, მაგრამ მას ძალიან ბევრი ურთიერთგამომსახურებელი მისწრაფება ჰქონდა იმისთვის, რომ თავისუფლად შეგვძლებოდა საუბარი მის ძირეულ როლზე.

თუმცა, აქ სხვა რეგიონული დინამიკაც არსებობს. ამას შეგვიძლია პანკავკასიური ელემენტი დავარქვათ, რომელიც დამატებით აკავშირებს სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას, ასევე ახლოებს მათ თურქეთსა და რუსეთთან, ისევე როგორც სხვადასხვა გზებით უკრაინასა და ირანს. სამხრეთ კავკასიის რეგიონული სტაბილურობის პლატფორმის შესახებ თურქეთის გეგმები 2008 წლის ომის შემდეგ აღრინდელ ინიციატივებს ემყარება - განახორციელოს ჩართულობის უსაფრთხოების რეჟიმი რეგიონისთვის.

ამ რეგიონულ დინამიკას თეორიის დონემდე აყვანა და კარგად გააზრება სჭირდება. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გვერდი ავუაროთ კონფლიქტებში ლოკალურ დონეზე არსებულ სანგრებს და ნულოვანი ჯამის პოლიტიკა გლობალურ დონეზე ავნიშოთ. ნაცვლად იმისა, რომ რეგიონშია აქტივობებმა ერთმანეთის წინააღმდეგ დაიწყონ მოქმედება ლოკალური და გლობალური პრობლემების გასაძლიერებლად, რეგიონულში ელემენტმა უნდა ცნოს ზოგიერთი ანბანური ჭეშმარიტება. ერთ-ერთი ასეთია ის, რომ რეგიონულ პრობლემებს სჭირდება რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღება. არაფრის მომცემი იქნება იმის მოლოდინი, რომ ამ არეალში ნატოსა გაფართოება გადაჭრის რომელიმე რეგიონულ პრობლემას - პირიქით, იგი მხოლოდ გააღრმავებს და გაართულებს მათ. არე-

ალში ევროკავშირის გავლენის ზრდა ასევე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდეს ძალიან პოზიტიური, თუკი იგი ჩამოშორებული იქნება გლობალურ გეოპოლიტიკურ დღის წესრიგს და ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რისთვისაც ევროკავშირი თავიდანვე შეიქმნა - გათავისუფლებულიყო ევროპა ომის უბედურებისგან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ რეგიონში რუსეთისა და თურქეთის ლეგიტიმურ ინტერესებს ადეკვატური პოლიტიკური ფორმა მიეცეს.

ახალი რეგიონული პოლიტიკის ელემენტები შეიძლება უსაზღვროდ გაფართოვდეს. პირველ რიგში, უნდა მოხდეს პოლიტიკური პლურალიზმის აღიარება, სახელმწიფოს მშენებლობა და ეროვნული ომების მშვიდობიანი გადაწყვეტა. ამდენად ქართული სახელმწიფო ირიბ, მაგრამ ჰეროიკულ განვითარებასა და სხვადასხვა ეროვნულ პროექტებთან (ამჟამად უდავოდ მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) კომპლექსურ ურთიერთქმედებას სრულად აღიარება სჭირდება, როგორც ეს მოხდა რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ასევე თურქეთის საკუთარი კომპლექსური მოდერნიზაციის პროექტის შემთხვევაში. მომავალში ამ ქვეყნებს გვერდიგვერდ ცხოვრება უწერიან, ასე რომ უნდა გამოინახოს პოლიტიკის მიღწევა.

ამ თვალსაზრისით ექსპერტთა ფორუმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამგვარი პროექტის განვითარების მონახაზის შესაქმნელად. იგი საშუალებას მოგვცემს, ხელი შევუწყოთ პოლიტიკური თანამეგობრობის წარმოქმნას. პირველ რიგში, საჭიროა ფორუმის ორგანიზება, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე შეძლებს მონაწილეობის მიღებას ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე - მხოლოდ აღნიშნული სამივე დონის განსხვავებულობის კარგად გააზრებით. ფორუმი თავის-თავად იქნება მომავალი პოლიტიკური საზოგადოების შექმნის მანიშნებელი. მას შეუძლია იმოქმედოს, რო-

გორც პრაქტიკის ერთობლიობამ, რაც ხელს შეუწყობს ახალი საზოგადოების დაბადებას. მეორე, ექსპერტების ფორუმით შესაძლებელია პოლიტიკური ხედვების გამოყოფა გეოპოლიტიკური ამბიციებისგან. ახალი იდეები და რადიკალური ერესი წარმოადგენს ერთადერთ გზას იმ დამყაყებულ ქაობიდან ამოსასვლელად, რომელიც ახლა ვიძირებით. მესამე, საჭიროა მეტად დაფასდეს ექსპერტის მნიშვნელობა. ცოდნისა და სამეცნიერო საზოგადოების დამოუკიდებლობა თითქმის ყველგან შესუსტებულია, მაგრამ ასეთი პოპულარული პლატფორმის ჩართვით დამოუკიდებელ მოქმედებაში შესაძლებელი იქნება სამოქალაქო საზოგადოების ავტონომიის კიდევ უფრო განვითარება.

პოსტკომუნისტურ ეპოქაში სამოქალაქო საზოგადოება უმეტეს შემთხვევაში უკიდურესად არასამოქალაქოდ იქცა, მაგრამ ექსპერტთა ფორუმი ზუსტად ის ადგილია, სადაც შესაძლებელია ახალი რეგიონული პოლიტიკის სამოქალაქო განვითარება. ახალმა პოლიტიკამ საჯარო ცხოვრების სამოქალაქო ასპექტები უნდა განავითაროს, რაშიც იგულისხმება პანუსისმგებლობა, ტოლერანტობა და ჩართულობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პასუხისმგებლობის მქონე, მოქალაქეობრივი, ნამდვილი პოლიტიკის წარმოქმნა და ამ საფუძველზე რეგიონის რეალური დემოკრატიზაციის მიღწევა.

საქართველოში არსებული რეჟიმის ოპოზიცია უფრო დიდი მოძრაობის ნაწილია, რომელიც იღვინს ანგარიშვალდებულებით მთავრობისთვის, რომელიც თავისუფალია გეოპოლიტიკური დავებისგან და ადგილობრივი პრობლემებისგან, რომლებიც აღვივებენ შუღლს საზოგადოებებს შორის, რომელთაც უნდა ისწავლოთ თანაცხოვრება. ანუ ეს მოძრაობა გაცილებით უფრო დიდ მოძრაობას წარმოადგენს რეგიონში უკეთესი მთავრობისათვის. რეგიონული პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ რეგიონულ დონეზე უნდა მოხდეს, მაგრამ ამ საქმეში შესაძლოა ჩაერთონ ლოკალური და გლობალური დონის ექსპერტებიც.

# ეროსი კინგარიზვილი: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული კონცეფციის შექმნა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა გახდეს

- სამოქალაქო საზოგადოების პროგრესი კვლევისა და ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საგანია თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში. კაცობრიობამ ძალიან ხანგრძლივი და დრამატული გზა განვლო სამოქალაქო საზოგადოების ევოლუციის პროცესში.

ქართულმა საზოგადოებრიობამ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დღემდე ასევე დიდი სირთულეები დაძლია ამ მიმართულებით, ეს იყო ძიების, დაკვირვების, დიდი შეცდომების და ამავე დროს საკუთარ შეცდომებზე სწავლის გზა.

ტოტალიტარული სახელმწიფოს მანკიერი კვალი თაობებს დაეცყო, წარსულის მეხსიერება აპრობირი ვერ იქნებოდა იოლი დასაძლევია. ფაქტია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ისტორიული ბრძოლის გენეტიკური მეხსიერება ქართული საზოგადოების ორგანულ ნაწილად იქცა. ამ თვალსაზრისით საზოგადოებრიობის საოცარი ბრძოლისუნარიანობა ჩვენი ერის უძლეველ თვისებად ჩამოყალიბდა. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, ასეთი გენეტიკური მეხსიერება, უახლოესი ისტორიიდან მოყოლებული, ჩვენში არ არის ძლიერად გამჯდარი, რადგან საქართველოსათვის, ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის მარადიული და უწყვეტი ხაზისაგან განსხვავებით, ჩვენ ტოტალიტარიზმის ეპოქა განვვლეთ, რამაც სამოქალაქო საზოგადოების ნება დააუძღურა. ფაქტია ისიც, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაც არ გამოირჩეოდა ხანგრძლივობით.

მას შემდეგ, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიულმა ტალღამ საქართველოს დამოუკიდებლობა რეალობად აქცია, საქართველოში ახალი ტალღა გორდება - ეს არის სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის, თავისუფლებისათვის დამოუკიდებელ საქართველოში.

სწორედ ამიტომ საპროტესტო მოძრაობის სათავეში მოექცა სამოქალაქო საზოგადოება. ამიტომაც არა მარტო არ იკლებს მუხტი და არ იღვევა ენერჯია, არამედ სულ უფრო ახალ გამოვლინებებს ჰპოვებს პროტესტი. ხელისუფლება ცდილობს, რეალობა არ შეიმჩნიოს, მას ყოფნის გონიერება, არ დაუპირისპირდეს საზოგადოებას, მაგრამ არ ყოფნის სიბრძნე იმისა, რომ აღიაროს საკუთარი უძლეურობის ფაქტი. საკუთარი ნების დათმენის ხარჯზე ის ვერ შეცვლის რეალობას და ვერ შეძლებს განვითარების ახალ ეტაპზე, ერთი სართულით ზევით ასული საზოგადოების ძველებურად მართვას.

საპატიო სიტუაცია იქმნება, რადგან ხელისუფლება ცდილობს

მსოფლიოს საკუთარი პროგრესი დაანახოს, დემოკრატიის გამოვლინებად აქციოს ხანგრძლივი აქციების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება, ამავე დროს, ის ვერ ამჩნევს იმ აშკარა ფაქტს, რომ მას უპირისპირდება მასზე გაცილებით უფრო ძლიერი ძალა და სახელმწიფოებრიობის ცოცხალი ორგანიზმი - საზოგადოებრიობა.

- რა თვისებები ახასიათებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას საქართველოში - პრეზიდენტის გადაგომის მოთხოვნა საზოგადოების ევოლუციის გამოსატყულება? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მოჯადოებული წრის ტყვეობაში მოვექცით და კვლავ ვერ ვახერხებთ ციკლის ჩამთავრებას.

- ციკლის დასრულების კომპლექსი მართლაც ყველაზე დრამატული შედეგია ჩვენი დამოუკიდებლობის შემდგომი უახლესი ისტორიისა. თუმცა, ამ უაღრესად ცუდ შედეგს აქვს საკუთარი ახსნა - საზოგადოება არასაკმარისი სიმნიფის მძევლად იქცა, ის მოიცვა ემოციური ლეგიტიმაციის კომპლექსმა, საზოგადოებრიობა ერთსულოვნად იხილებოდა ქარიზმატული ლიდერების შესაძლებლობების რწმენით, რაც არჩევნებზე დემოკრატიისათვის არათავსებადად მაღალი ნდობის ხარსხს იძენდა. ამით საზოგადოება საკუთარ აქტიურ პოზიციას აკნინებდა, მეორე პლანზე გადაჰქონდა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რაც დროთა განმავლობაში წინააღმდეგობაში ექცეოდა ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიზნებთან, რაც ქართული საზოგადოების პროტესტს და მოკლე პერიოდით კონსოლიდირებას უწყობდა ხელს. სწორედ ამის შედეგად ხდებოდა დრამატული ვითარებების დაძლევა, რაც, ამავე დროს, ციკლის არდასრულების მთავარი მიზეზი ხდებოდა.

დღეს საზოგადოება უკვე სხვაა, ის ლიდერის შესაძლებლობების მოლოდინის აღარ აპირებს ყოფნას. საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლამ საზოგადოება კარგად გამართულ მანქანად აქცია, რაც მკაფიოდ ჩანს საპროტესტო აქციებზეც. პროცესი არა მარტო ორგანიზებულობით გამოირჩევა, არამედ ერთგვარი რეგენერაციის უნარით.

თუმცა პროტესტის გეოგრაფიის გაშლის ფონზე იქმნება ორგანიზებულობის დაკარგვის საფრთხე. ადვილად შესაძლებელია, უკონტროლო პროტესტი მივიდეთ. რეგიონებიდან ძალიან დიდი ტალღა შეიძლება აზვირთდეს და მკაცრი სტრუქტურირებისა და მენეჯერული მართვის გარეშე ის შეიძლება უმართავ სტიქიად იქცეს. მე ჩემი ხედვა ამ მიმართებით ოპოზიციურ სპექტრს უკვე შევთავაზე.

რა თქმა უნდა, საპროტესტო ციკლის დასრულების შემდეგ უნ-

და დაიწყოს სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურირების პროცესი. სწორედ ეს რეალობა - ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება - უნდა იქცეს საქართველოს ახალი განვითარებისა და ენერგეტიკის მიმცემი ფაქტორი.

- როგორ წარმოგიდგენიათ სამოქალაქო საზოგადოების ახალი როლი საქართველოში. როგორ უნდა მოხდეს სამოქალაქო სექტორის სტრუქტურირება. ეს სახელმწიფო დონის აქტად გეხსება?

- დღევანდელი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე ამ სექტორს წარმოადგენს, უკვე როგორც ორგანიზებულ ძალას, რომელიც თავისი კერძო და ჯგუფური ინტერესებით სახელმწიფო ინტერესების გამოხატულებების სანონპირეს წარმოადგენს. მსოფლიო თანამეგობრობამ 9 აპრილის შემდეგ განვითარებულ პროცესებში ამოიცნო მთავარი მოქმედი ძალა - საზოგადოებრიობა. დასავლეთი ყველა ღონეს იხმარს სამოქალაქო სექტორის განვითარების ხელშესაწყობად საქართველოში, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მთავარი საფუძველია.

ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ აღმოსავლური პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში სამოქალაქო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოები აქტიურად დაუჭერენ მხარს ასეთ ინიციატივას.

ფონდი 2020-ის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრესს პრიორიტეტს სწორედ ამ მიმართულებით მუშაობა წარმოადგენს. ჩვენ ინტენსიურად ვანარმობთ კონსულტაციებს ევროპულ პარტნიორებთან, თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიების გზით.

ფონდის ფარგლებში იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების პრობლემათა ინსტიტუტი, რომელიც დაკავდება სახელმწიფო სექტორისათვის საკადრო რეზერვის მომზადებით, იმოქმედებს "სახელმწიფო რეზერვის კლუბი", რომელიც ახალგაზრდული ინიციატივების, ახალგაზრდული მოძრაობების მხარდაჭერას და მომზადებას განახორცილებს.

ამავე დროს, უკვე დაიწყეთ მუშაობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული კონცეფციის შექმნის მიმართულებით. ამ კონცეფციის თანახმად, უნდა განისაზღვროს ახალი რეალობა - სამოქალაქო საზოგადოების ახალი როლი საქართველოს სინამდვილეში - ის უნდა იქცეს ავტონომიურ, სახელმწიფო კონტროლისაგან თავისუფალ ძლიერ ინსტიტუტად.

ამავე დროს, კონცეფციაში ხაზგასმით იქნება აღნიშნული,

რომ სამოქალაქო საზოგადოების ავტონომია ხელს შეუწყობს თავისუფალ მოქალაქეთა შორის კონკურენციას, თავისუფალი ბაზრის პრინციპების საფუძველზე, რაც დამატებით ენერგეტიკას შესძენს ქვეყნის განვითარების შიდა რესურსებს, ინტელექტუალურ პოტენციალს და კერძო ინიციატივას. ამავე დროს, კანონით განისაზღვრება ჩვენი მარადიული ეროვნული ვალდებულება - საქართველოს ინტერესები და სახელმწიფო პრიორიტეტების ირგვლივ სოლიდარობა.

ჩემი აზრით, კონცეფცია სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტად უნდა იქცეს, მის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოებრიობა უნდა ჩაერთოს. სხვათაშორის, ეს ახალ კონსტიტუციაზე მუშაობის თანმხლებ პროცესად მესახება, რადგან ახალმა კონსტიტუციამ უნდა განამტკიცოს უმთავრესი ახალი რეალობა, სამოქალაქო საზოგადოების პროგრესი. თუმცა დღეს ეს უფრო პერსპექტივის ამოცანაა, რადგან სამოქალაქო საზოგადოებას დღის წესრიგში სხვა ამოცანა აქვს დასახული.

- პრეზიდენტის გადაგომა?..

- დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას გაცილებით უფრო მასშტაბური ამოცანა აქვს დასახული - სისტემის სრული დემონტაჟი, როგორც საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის პროცესის პირდაპირი გამოხატულება. დანარჩენი კი პროცესის შემადგენელი ნაწილია მხოლოდ.

- ამ სისტემის უკან არა მარტო ერთი კონკრეტული პიროვნება დგას. საზოგადოების წინააღმდეგობის საპროტესტო მუხტის უპირისპირდება სხვა ნაწილი და პოლიტიკური პარტია, როგორც მმართველი ძალა.

- საქმე სწორედ ისაა, რომ საზოგადოების ერთსულოვნებას, იმ აშკარა ფაქტს, რომ ის განვითარების სულ სხვა დონეზე არის გადასული, ვერც პიროვნება დაუპირსპირდება და ვერც პიროვნებათა ჯგუფი. ეს მხოლოდ მათ შეუქმნის საფრთხეს.

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ის არის პოლიტიკური პარტია, რომელშიც მრავლადაა ახალგაზრდა, ნიჭიერი პოლიტიკოსები, რომლებსაც ახალი რეალიების პირობებში კარგი პესპექტივა უჩნდებათ, თუ ისინი პარტიის ახალი ამოცანების დასახვას ითავებენ. სხვათაშორის, პარტიას რეგიონებში კარგი რეიტინგი აქვს, ერთადერთი რაც მათ რეიტინგზე მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს, ეს არის პრეზიდენტის ავტორიტეტის კატასტროფული დაცემა ქვეყნის მასშტაბით. დაბალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსისაგან გამიჯვნის შემთხვევაში, ნაციონალურ მოძრაობას კარგი სასტარტო შესაძლებლობები შეექმნება ყვე-

ლა დონის არჩევნებზე.

ყველა ის ძალა, რომელიც საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნებისა და გემოვნების ადეკვატურ ამოცანებს დასახავს, თანაბრად წარმატებული იქნება. სხვათაშორის, ის ფაქტიც საინტერესოა, რომ აშშ-ში, სადაც დემოკრატიის ახალი გუნდი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, რესპუბლიკელების დემოკრატიულ პარტიაში გადადინების ტენდენცია აღინიშნება, რასაც საზოგადოება არა მარტო გაგებით ეკიდება, არამედ დემოკრატიული პარტიის მიზნების მხარდაჭერის ფონზე, ყოფილი რესპუბლიკელების პოპულარული ლიდერების რეიტინგის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა.

- კონცეფციის შინაარსს ალბათ არ გაგვიხელთ, მაგრამ იქნებ რამდენიმე მთავარი პრინციპი დაგვისახელოთ.

- მხოლოდ სამ მთავარ პრინციპს მოგახსენებთ.

1. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება არა მარტო ხელისუფლებისაგან ავტონომიურად უნდა მოქმედებდეს, არამედ ის სახელმწიფოს საქმიანობას უნდა აკონტროლებდეს კიდევც;

2. თანაბარი და თავისუფალი მოქალაქეებისაგან შემდგარი სამოქალაქო საზოგადოება ახალი კონსტიტუციით გამყარებული დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ დაცვის საფუძველზე უნდა ახორციელებს თავის საქმიანობას და დემოკრატიის ფარგლებს გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია;

3. ამავე დროს, ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა ნათლად ცხადყო, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მთავარი მამოძრავებელი მუხტი ქვეყნიდან მომდინარე განახლების მოტივაციის საფუძველზე ვითარდება და სწორედ ამ თვალსაზრისით, მოქალაქეთა აქტიური სამოქალაქო პოზიცია და თვითმმართველობის საშუალება სახელმწიფოს განახლებისა და ცვლილებების მთავარი მასტიმულატორული ფაქტორია.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ამ ფუნდამენტური რეალიების გათვალისწინების გარეშე ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის დაპირისპირება გამწვავდება, რაც უკვე ხელოვნურად გამოიწვევს დიდ საფრთხეს - ხელისუფლების წინაშე მდგარი გამონვევა შემაკავებელ ზღვარს გადალახავს და სტიქია სახელმწიფოს საფუძველებს დაემუქრება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს იქნება ხელისუფლების საპედისწერო შეცდომა თაობების წინაშე, რადგან საზოგადოება არა მარტო არ უპირისპირდება სახელმწიფოს, არამედ ხელისუფლებაზე ზეწოლით ის პრინციპულად სწორედ სახელმწიფოს განვითარების ამოცანას ემსახურება.

### აბრამოვიჩმა ჩემპიონთა ლიგა მილიონად შეაფასა

იმ დღიდან, როდესაც რომან ბარამოვიჩმა "ჩელსი" იყიდა, რუსი მილიარდერი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს. რა არ იღონა "მისტერ ჩელსიში" ამისთვის, მაგრამ ჯერჯერობით მისი გუნდი ამ ტიტულის გარეშე რჩება. ორივედ დღის წინ "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კარლო ანჩელოტი დაინიშნა. იტალიელმა სპეციალისტმა მთავარ მიზნად სწორედ ჩემპიონთა ლიგის მოგება დაისახა. ანჩელოტიმ, რომელიც 2001-2009 წლებში "მილანის" მთავარი მწვრთნელი იყო, ორშაბათს "ჩელსისთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, მისი ანაზღაურება წელიწადში 6,5 მილიონი ფუნტი იქნება. 49 წლის იტალიელმა სპეციალისტმა "მილანთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა 2003 და 2007 წლებში მოიგო, ხოლო თუ "ჩელსისთან" ერთადაც შეძლებს ყველაზე პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის მოგებას, ჯილდოს სახით მას მილიონი ევრო გადაეცემა.

### ქალაქები, რომლებიც "კოპას" უმასპინძლებენ

არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია მზადაა 2011 წელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს უმასპინძლოს. Copa America 2011-ის მატჩებს 5 ქალაქი - ლა პლატა, კორდობა, სანტა ფე, ხუსუი და სალტა უმასპინძლებს. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი არგენტინაში ბოლოს 1987 წელს ჩატარდა. მაშინ ტურნირის ფინალში ურუგვაიმ ჩილეს 1:0 სძლია. ალბისელესტე კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს უკანასკნელად 1993 წელს ფლობდა, როდესაც ფინალში 2:1 დაამარცხა მექსიკის ნაკრები. კოპა ამერიკის ბოლო ორი გათამაშება ბრაზილიის ნაკრებმა მოიგო და ორჯერვე ფინალში არგენტინის ნაკრებს სძლია.

### რუნი: "ინიესტას შეუძლია გახდეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი"

გუმინდელი მატჩის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა უეინ რუნიმ მცირე კომენტარი გააკეთა ინიესტასა და ზოგადად "ბარსაზე". ჩემპიონთა ლიგის მთავარ მატჩში ანდრეს ინიესტას მონაწილეობა ეჭვს იწვევდა, რადგან ტრავმირებული იყო. თუმცა ის გავიდა მოედანზე და ერთ-ერთი შემოქმედი იყო იმ ჯადოსნური საღამოსი, რომელიც "ბარსამ" გულშემმატიკივარს აჩუქა. აი, რა განაცხადა მის შესახებ უეინ რუნიმ: "ინიესტა შესანიშნავი ფეხბურთელია. ასეთი თამაშით ის მალე გახდება პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი. "ბარსელონა" შესანიშნავი გუნდია. ამიტომ მისი შანსი ერთიორად იზრდება." ის რამდენიმე სიტყვით შეეხო გუმინდელ მატჩსაც. "კატალონიელებს აქვთ ბრწყინვალე ტექნიკა. ამიტომ, თუ შენ ვერ გამოიყენებ შენი შანსი, ისინი ამას არ გააპატიებენ და მეორე შანსს აღარ მოგცემენ. ამიტომაც დავმარცხდი", - დაასრულა რუნიმ.

### დენილსონმა ვიეტნამს მიაშურა

არ გეგონოთ, რომ საუბარია "არსენალის" ახალგაზრდა ბრაზილიელ ფეხბურთელ დენილსონზე. მას ვიეტნამში ნამდვილად არაფერი ესაქმება. ამ აზიურ ქვეყანაში სათამაშოდ გადავიდა ვეტნამი ბრაზილიელი, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი დენილსონი. მან ბრაზილიის ნაკრებში 2002 წლის მუნდიალზე ითამაშა. ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე დენილსონი სამობლოში "იტუმბარას" ლირსებას იცავდა, რომელშიც 2008 წელს "პალმეირასიდან" გადავიდა.

### "ქალაქელებმა" ბერი იყიდეს

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ბირმინგემის "ასტონ ვილასა" და ინგლისის ნაკრების 28 წლის ნახევარმცველი გარეტ ბერი მომავალი სეზონიდან "მანჩესტერ სიტის" ლირსებას დაიცავს. "ქალაქელებმა" ფეხბურთელში, რომლის შეძენა "მანჩესტერსაც" სურდა, 12 მილიონი გირვანჯა გადაიხადეს და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

### ფერდინანდი კაპელის გუნდს დააკლდება

6 ივნისს ინგლისის ნაკრები ყაზახეთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩს გამართავს. ამ შეხვედრაში ფაბიო კაპელო ვერ დაიხმარს "მანჩესტერის" ცენტრალურ მცველს რიო ფერდინანდს, რომელმაც ტრავმის გამო უკვე დატოვა ნაკრების შეკრება. ფერდინანდის ნაცვლად კაპელომ ნაკრებში "ბოლტონის" მცველს გარი კეპილს უხმო.

### ნადირობა ვილაზე

ესპანეთის ნაკრებისა და "ვალენსიას" ფორვარდ დავიდ ვილაზე ნამდვილი სატრანსფერო ომი გამოცხადდა. მისი გადაბირებით მადრიდის "რეალი" და "ლივერპული" არიან დანიტერესებული. როგორც ჩანს, ბენიტესს თავის გუნდში ესპანეთის ნაკრების თავდასხმის დუეტის ხილვა სურს. "ლივერპულში" უკვე თამაშობს ფერნანდო ტორესი და ახლა "მერსისაიდელს" ვილას გადაბირებასაც ცდილობენ. "ლივერპული" მზადაა "ვალენსიას" ფორვარდის სანაცვლოდ ანდრეი ვორონინი დაუთმოს და 15 მილიონი გირვანჯა სტერლინგიც გადაუხადოს. თუმცა, "ლივერპულს" ვილას თაობაზე პაექრობა მოუწევს მადრიდის "რეალთან", რომელსაც დიდი ხანია ფორვარდის დასაკუთრება სურს. გარდა ამისა, "სამფეო კლუბმა" თვალს დაადგა "მერსისაიდელთა" არგენტინელ საყრდენ ნახევარმცველს ხავიერ მასკერანოს, რომელშიც ესპანელები 18 მილიონ ფუნტს იხდიან და გაბრიელ ჰაინცესაც ამატებენ.

# სატრანსფერო-სანაკრებო ამბები

## მიხილ აბიჯილი

ორ დღეში საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს მოლდოვასთან. გუნდი უკვე თბილისშია, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, რამდენიმე ფეხბურთელი ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. ევროპაში სატრანსფერო ციებ-სხელება დაიწყო და ამაში საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელიცაა გარეული. მათ შორის მთავარი პოზიციები უკავიათ დაცვის ხაზის ფეხბურთელებს - მალხაზ ასათიანს, ზურაბ ხიზანიშვილს და გიორგი შაშიაშვილს.

ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელი, როგორც ასათიანია, სანაკრებო შეკრებაზე ისევ არ არის გამოძახებული. კონფლიქტი, რომელიც მასა და ეროვნულ გუნდს თავკაცს ექტორ რაულ კუპერს შორის 2008 წლის სექტემბერში დაიწყო, ჯერაც არ ამოწურულა. მაშინ ასათიანმა ნაკრების შეკრებაზე დარჩენაზე იმ მოტივით თქვა უარი, რომ განრბინებული არ ჰქონდა ძირითად შემადგენლობაში ადგილი, სათადარიგოებში ყოფნა კი არ უნდოდა.

მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველმა მცველმა ბოლო ერ-

თი სეზონი იჯარის წესით გაატარა კიევის "დინამოში". მასში საიჯარო კონტრაქტს ვადა გაუვიდა და ფეხბურთელი მოსკოვში დაბრუნდა, თუმცა კიევის "დინამოს", რომელიც წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ისევ უნდა, რომ ასათიანი თავის რიგებში იხილოს.

"დაცვაში საკადრო პრობლემები გვაქვს. დიაკატე 16 აგვისტოდან შეუდგება სრული დეტვირთვით ვარჯიშს, მიხაელიკ კი მხოლოდ ოქტომბერში ვიხილავთ მოედანზე. გასულ შაბათს ვესაუბრე მალხაზ ასათიანს, რომელიც ორშაბათიდან მოსკოვის "ლოკომოტივს" დაუბრუნდა. მას, სულ მცირე, კიდევ ნახევარი წლით შეეთავაზე "დინამოში" დარჩენა, რათა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დაგვეხმაროს. ის დაელაპარაკება იური სიომინს, რომელსაც უკვე ვესაუბრე და ასათიანის იჯარით გაშვების ნინაღმდეგი არ არის. თუ თავად ფეხბურთელს ექნება "დინამოში" თამაშის სურვილი და მას "ლოკომოტივიც" გაუშვებს, მაშინ გამორიცხული არ არის, ასათიანი "დინამოს" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახდეს. ბოლო მატჩში ვალერი გაზაფესის ძალიან მოეწონა," - განუცხადა უკრაინულ სპორტულ

პრესას კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა.

სიომინი, რომელიც მოსკოვის "ლოკომოტივში" დაბრუნდა, "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ვალერი გაზაფესმა. ვლადიკავკაზის "ალანიაში" გაზაფესის მოღვაწეობის პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთის კლუბში არაერთ ქართველს უთამაშია.

ზურაბ ხიზანიშვილი უკვე თბილისშია და მოლდოვასთან მატჩისთვის ემზადება, თუმცა ჯერ გაურკვეველია, თუ სად გაგრძელდება საკლუბო კარიერას. ის "ბლექბერნ როვერსის" ფეხბურთელია და ამ კლუბთან კონტრაქტის ვადა ორი წლის შემდეგ ეწურება. თუმცა, ამავე დროს, გასულ სეზონში ქართველმა მცველმა თითქმის მთელი წელი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ხიზანიშვილი სულ სამჯერ მოხვდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში. დანარჩენ მატჩებში მხოლოდ შეცვლას თუ მოუწევდა მოედანზე გამოსვლა, ისიც საკმაოდ იშვიათად. ეს გარემოება ფეხბურთელის სპორტულ ფორმაც აისახა. ასე რომ, ხიზანიშვილი, რომლისთვისაც სათამაშო პრაქტიკა აუცილებელია, იმის გადაწყვეტას ცდილობს, დარჩეს "როვერსში" თუ ისეთ

კლუბში გადავიდეს, რომელშიც მეტად ენდობიან. ირკვევა, რომ ზურას მისამართით დიდ დანიტერესებას იჩენს თურქული ფეხბურთის გრანდი, სტამბულის "გალათასარაი". ამ გუნდთან ხიზანიშვილის ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკება უკვე დაწყებულია, თუმცა ხიზანიშვილი პირველ რიგში "როვერსის" მთავარ მწვრთნელთან სემ ელვრდაისთან ურთიერთობის გარკვევას ცდილობს.

"გასულ სეზონში ჩემი საქმეები არც ისე კარგად მიდოდა, თუმცა ახლა ამის გარკვევას აზრი აღარ აქვს. მე უფრო ის მაინტერესებს, რა იქნება მომავალში. "ბლექბერნთან" ჯერ კიდევ კონტრაქტი მაკავშირებს და კლუბის გადასაწყვეტია, დავრჩები თუ არა აქ მომავალ სეზონშიც," - განუცხადა ხიზანიშვილმა ინგლისურ მედიას. რაც შეეხება გიორგი შაშიაშვილს, რომელმაც ბოლო სამი სეზონი ავსტრიულ "შტურმი" გაატარა, ის სექტემბრიდან უკვე საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. შაშიაშვილმა ორი დღის წინ მონაწილეობა კონტრაქტს საბერძნეთის ქალაქ ირაკლიონის "ერგოტელისთან" და თბილისში, სანაკრებო შეკრებაზე, დღეს ჩამოვა.

# ხუთი ნაბიჯით წინ



ამ უქმეებზე სანაკრებო დღეა. იმართება 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები. საქართველოს ეროვნული გუნდი ამ დღეს შესარჩევი ციკლიდან ისვენებს და ამხანაგურ მატჩს გამართავს მოლდოვის ეროვნულ გუნდთან.

კუპერმა გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც მოლდოვას ნაკრებს დაუპირისპირდებიან, თუმცა, ნაკრებში გამოძახებული "ორჰუსის" ნახევარმცველი დავით დევდარიანი თბილისში ტრავმირებული ჩამოვიდა და გუნდთან ერთად ვარჯიში ვერ დაიწყო. ასე რომ, მოლდოვასთან მატჩში გუნდს ვერ დაეხმარება. შეხვედრა 20:00 საათზე დაიწყება. მატჩის მთავარი მსაჯია ყაზახი პაველ სალიი, რომელსაც თანამემამულე ყურბან ყურბანოვი და სერეკ შაპასბაევი დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯის მოვალეობას გიორგი ვადაჭკორია შეასრულებს, ხოლო მსაჯთა დამკვირვებლად ავთანდილ შალამბერიძე გამწესებული.

გუმინდელი ფიფამ გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრები გუნდების მორიგი რეიტინგი. მართალია, საქართველოს ნაკრებს მაისში არ უთამაშია, მაგრამ რეიტინგში ხუთი საფეხურით მაინც და-

ნინაურდა. როგორ ჩანს, ჩვენს წინ მდგომმა გუნდებმა დათმეს პოზიციები. ახლა საქართველოს ნაკრები 105-ე ადგილზეა და თუ 6 ივნისს მოლდოვის ნაკრებს დავამარცხებთ, რეიტინგში ცოტათი წინ წავინვით. გთავაზობთ იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებსაც საქართველოს ნაკრების არგენტინელმა თავკაცმა მოლდოველებთან მატჩის წინ უხმო:

**მეკარები:** გიორგი ლომაია (თბილისის "ლოკომოტივი"), გრიგოლ ბედიასვილი (თბილისის "ვიტ ჯორჯია"), ზურაბ მამალაძე ("ზესტაფონი");

**მცველები:** უჩა ლობჯანიძე ("ზესტაფონი"), გიორგი შაშიაშვილი ("შტურმი", ავსტრია),

გურამ კაშია ("დინამო" თბილისი), ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლექბერნ როვერსი", ინგლისი), ალექსანდრე კვახაძე ("ვიტ ჯორჯია" თბილისი), დავით გიგაური ("გაგრა"), დავით კვიციანი ("რუბინი", რუსეთი), გიორგი ფოფხაძე ("ვიბორგი", დანია);

**ნახევარმცველები:** ლევან ხმალაძე ("დინამო" თბილისი), ლუკა რაზმაძე ("ვიტ ჯორჯია" თბილისი), მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი"), დავით დევდარიანი ("ორჰუსი", დანია), გიორგი სეთურაძე ("ოლიმპი" რუსეთი), ლევან კობიაშვილი ("შალკე 04", გერმანია), ლევან ყენია ("შალკე 04", გერმანია);

**თავდამსხმელები:** ბექა გო-

ცირიძე ("დინამო", უკრაინა), ოთარ მარცვალიძე ("ანჟი", რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი ("კარლსრუე", გერმანია), გიორგი მერეხაშვილი ("დინამო" თბილისი), ლევან მჭედლიძე ("ემპოლი", იტალია), ვლადიმერ დვალისვილი ("სკონტო", ლატვია), რატი ალექსიძე ("დიორეტო", უნგრეთი).

### 2 ივნისს გამოქვეყნებული ფიფა კოკა-კოლას სანაკრებო რეიტინგი

1.ესპანეთი	1761
2.პოლანდია	1442
3.გერმანია	1378
4.იტალია	1292
5.ბრაზილია	1288
6.ინგლისი	1225
7.არგენტინა	1203
8.ხორვატია	1200
9.რუსეთი	1167
10.საფრანგეთი	1067
11.პორტუგალია	1004
12.თურქეთი	964
13.პარაგვაი	961
14.აშშ	947
15.ჩეხეთი	943
16.შვეიცარია	931
17.საბერძნეთი	922
17.ურუგვაი	922
19.უკრაინა	891
20.სერბეთი	870
23.ბულგარეთი	838
34.ირლანდია	762
79.კვიპროსი	441
<b>105.საქართველო</b>	<b>339</b>
110.ჩერნოგორია	331

# ირევანში ჭაბუკაძეს ერთი ვერსხლი დაუთმეს

ერევნის ჭაბუკ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატის (22-31 მაისი) საქართველოს ნაკრები ერთი ვერსხლის მედლით დაბრუნდა. ფინალში გასვლა და მეორე ადგილის დაკავება 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ალექსანდრე ჭაბუკაძემ შეძლო. მან უნგრელი, პუერტორიკელი, ინდოელი და ავსტრალიელი მეტოქეები დაამარცხა, ოქროს მედალი კი კუბელ მონი-

ნალმდევს დაუთმო. საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე 9 მოკრივეთი იასპარეზა. ჭაბუკაძის გარდა, ყველაზე შორს წავიდნენ ნიკა სეხნიაშვილი (70 კგ.) და რევაზ გოგებრაშვილი (80 კგ.). მათ მეოთხედფინალებამდე გააღწიეს.

ერევანში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 50 ქვეყანა მონაწილეობდა. ზედიზედ სამი ჩემ-

პიონატია, ქართველი მოკრივეები ტურნირიდან ვერცხლის მედლით ბრუნდებიან. 2006 წელს ვიცე-ჩემპიონობა ზაალ კვაჭაძემ დაიწყო, 2007 წელს იგივე შედეგი რომან თავაძემ აჩვენა.

**საქართველოს ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრები გუნდის შემადგენლობა**

გიორგი გოგოტიშვილი (46 კგ, ფოთი); ვერედიქტ ერანოსიანი (48 კგ, ახალქალაქი); ალექ-

სანდრე ჭაბუკაძე (57 კგ, თბილისი); ნიკოლოზ ჩაჩანიძე (60 კგ, თბილისი); გიგა გიგაური (63 კგ, გორი); ზურაბ მექერიშვილი (66 კგ, გურჯაანი); ნიკა სეხნიაშვილი (70 კგ, გორი); რევაზ გოგებრაშვილი (80 კგ, ტყიბული).

**მწვრთნელები:** კუკური შავგულიძე, როლანდ კვაჭაძე, ტარიელ ვერულაშვილი.

**სპორტის დეპარტამენტის პრესამსახური**

# ბოისას "ზადარი" ფინალს აბეზს

ვლადიმერ ბოისას "ზადარი" ძალიან გაუჭირდება "ციბონასთვის" ხორვატიის ჩემპიონატის ფინალური სერიის მოგება. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი "ზადარში" შუა სეზონში გადავიდა და ამ გუნდს მშვენივრად მოერგო. "ზადარმა" ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა და ფინალშიც იოლად გავიდა, თუმცა თავად ფინალურ სერიის "ციბონას" უპირატესობა მაინც იგრძნობა. ამ გუნდებმა სერიის მესამე მატჩი გამართეს, რომელსაც ზაგრებმა უმასპინძლა. დაძაბულ ბრძოლაში "ზადარი" დამარცხდა - 79:83. ამრიგად, სერიას "ციბონა" იგებს - 2:1.

მატჩი საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რასაც პირველი ტაიმის შემდეგ ბევრი ალბათ ვერც წარმოიდგენდა. მასპინძლებმა სტუმრები ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და დიდ შესვენებაზე 25-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

ასეთი ჩამორჩენის მიუხე-



უტევს ვლადიმერ ბოისა

დავად, ბოისას და მის თანაგუნდელებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ და მცირე სასწაულის მოხდენამდე სულ ცოტა დააკლდათ.

"ზადარმა" მე-3 მეოთხედში 9 ქულა გაუბათილა მასპინძლებს, ბოლო მეოთხედშიც პირინმინდად დაჯაბნა "ციბონა" (33:21), მაგრამ მატჩის ხსნისთვის დრო აღარ ეყო.

ბოისამ მოედანზე 24 წუთი დაყო და ზადარელებს 7 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი შესძინა. ვოვამ ორივე ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

სტუმართა შემადგენლობაში საუკეთესო რანჩინმა 20 ქულა მიითვალა. მასპინძელთა რიგებში კი ანდერსონი (25) და კუში (20) გამოირჩნენ.

ფინალური სერიის მომდევნო მატჩი "ზადარის" მოედანზე გაიმართება. თუ მასპინძლებმა იმარჯვეს, მეხუთე, გადამწყვეტ შეხვედრას ისევ ზაგრები უმასპინძლებს.

# კაკა თანახმაა

კაკა - აი, ის ფეხბურთელი, რომელიც საზაფხულო სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტ ხმაურს გამოიწვევს. აგერ უკვე კვირაზე მეტია, ერთიმეორის მიყოლებით ვრცელდება ახალ-ახალი ინფორმაცია ბრაზილიელის ტრანსფერის თაობაზე. ვერ იყო და, ესპანურმა "ასმა" დაწერა, "რეალმა" კაკაში "მილანს" 65 მილიონი ევრო გადაუხადა და ბრაზილიელს, როგორც "რეალის" ფეხბურთელს, ორ-სამ დღეში ოფიციალურად წარადგენენო. ამას მოჰყვა "რეალის" ახალი პრეზიდენტის ფლორენტიანო პერესის უარყოფა: რას ამბობთ, მაგდენ ფულს არც ერთ ფეხბურთელში არ გადავიხდით. კი ბატონო, კაკას ყიდვა კი გვინდა, მაგრამ კლუბის ბიუჯეტს ერთ ფეხბურთელს ვერ შევწირავთო. პერესს არც კაკა ჩამორჩა და ოფიციალურად განაცხადა, რომ "მილანში" დარჩენა სურს და მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს კლუბს, თუ ეს თავად "მილანს" ენდომება.

გუშინ კიდევ ერთი ინფორ-



კაკა ისევ ყურადღების ცენტრშია

მაცია გავრცელდა, ამჯერად უკვე იტალიური მედიის მიერ. ეს ინფორმაცია შესაძლოა სანდოც იყოს. საქმე ის არის, რომ როდესაც საუბარია კაკას ტრანსფერზე, ესპანურ და იტალიურ მედიას შორის რადიკალური განსხვავებაა. ესპანელი ჟურნალისტები ირწმუნებიან,

კაკა უკვე "რეალის" ფეხბურთელიაო, მათი იტალიელი კოლეგები კი საპირისპიროს ამბობენ. გუშინ კი აპენინურმა მედიამ, კერძოდ, Sky Italia-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად კაკა შეხვდა "რეალის" ახალ ხელმძღვანელებს და ტრანსფერზე თანხმობა გა-

ნაცხადა.

შეთანხმება შედგა კაკას მამასა (ამავე დროს იგი ფეხბურთელის აგენტიცაა) და ადრიანო გალიანის შორისაც. როგორც ირკვევა, ორი კლუბიც შეთანხმებულა სატრანსფერო თანხაზე. მართალია, პერესი საჯაროდ ამბობდა, 65 მილიონ ევროს კაკაში არ გადავიხდით, მაგრამ სწორედ ამ თანხის საფასურად ყიდულობს ფეხბურთელს. იმასაც ამბობენ, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი ხელფასის სახით იმავე პერესისგან წელიწადში 9 მილიონ ევროს მიიღებსო.

ერთი სიტყვით, იტალიელები ირწმუნებიან, რომ გარიგება უკვე შედგა და ამას ოფიციალურად ორივე მხარე რამდენიმე დღეში დაადასტურებს.

შესაძლოა საქმეში ჩაერიოს "ჩელსიც". როგორც იცით, ლონდონურ კლუბს სათავეში ჩაუდგა კარლო ანჩელოტი, მას კი თავისი ყოფილი შეგარდის გადაყვანა სდომებია "სტემფორდ ბრიჯზე". აბრამოვიჩი კი ფულზე უკან არ დაიხებს.

# დამაბრკოლებელი მკერდი

თაა დოლიძე

17 წლის რუმინელმა ჩოგბურთელმა სიმონა ხალეპმა არა მარტო სპორტული მიღწევებით (2008 წელს იუნიორთა შორის "როლან გარო" მოიგო), არამედ სავსე და მსუყე მკერდის ზომითაც მოიპოვა პოპულარობა. ძლიერის სქესის ვერც ერთი წარმომადგენელი გულგრილად ვერ უყურებს მადისალმძვრელი სიმონას მონოდებებს. თუმცა, როგორც ჩანს, ხალეპისთვის უფრო მნიშვნელოვანია სპორტული კარიერა. საკუთარი პარამეტრები კი ნაკლებად აინტერესებს. ხუთი ზომის მკერდი რუმინელს თავისუფლად მოძრაობას უშლის და სირბილშიც ზღუდავს.

"ძალიან ძნელია ასეთი მკერდით თამაში. ეს ანელებს სისწრაფს და რეაქციას. მკერ-



დი სულ ქვემოთ მექაჩება", - წუწუნებს სიმონა. ხალეპი ისე შენუხებულა, რომ გადაუწყვეტია მკერდი ოპე-

რაციით დაიპატარაოს. მისმა ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში უამრავი აზრი გააჩინა. პრესის წინაშე თავისი აზრი გა-

მოთქვა ჩეხმა ფრენბურთელმა ალენა შურკოვაძამაც. ეტყობა, ალენაც არაერთხელ დაფიქრებულა, ხომ არ შელეოდა ბუნებრივ ფორმებს. თუმცა, როგორც ჩანს, ჩეხი ისე არ შეუწუხებია მკერდს, როგორც ხალეპი.

"შეგიძლია დიდი მკერდითაც გახდე ჩემპიონი. არც სერენა უილიამსი გამოირჩევა მკერდის მოკრძალებული ზომით. მიუხედავად ამისა, შედეგით მაინც შესაშური აქვს. ამ შემთხვევაში ერთადერთი რამ გჭირდება - მჭიდრო ბიუსტ-ჰალტერი", - პრესის საშუალებით მიმართავს ჩეხი ფრენბურთელი ჩოგბურთელს.

როგორც ირკვევა, ალენა შურკოვა მომავალ თაობაზე ფიქრობს და ცდილობს, ცუდი მაგალითი არ უჩვენოს დიდმკერდიან სპორტსმენებს. მათზე ზრუნვისკენ მოუწოდა შურკოვამ ხალეპსაც.

## ადრიანო თავისას არ იშლის

როგორც ჩანს, ბრაზილიელი ფორვარდის ადრიანოს მორჯულება ვერ მოხერხდება. "ინტერიდან" წასულმა ადრიანომ "ფლამენგოსთან" გააფორმა კონტრაქტი და ამ გუნდის შემადგენლობაში გამართულ პირველივე მატჩში გოლი გაიტანა, მაგრამ რად გინდა ეტყობა, ადრიანოს გოლის აღნიშვნა ისე გაუგრძელდა, რომ მეორე დღეს გუნდის ვარჯიშზე არ მისულა და კლუბის ხელმძღვანელობას ჯერაც არ შეხმინებია. "არაფერი ვიცი. ადრიანოს ვარჯიშის გაცდენა არ უთხოვია. იმედი მაქვს, შემდეგ ვარჯიშზე მაინც გამოჩნდება და საკუთარ საქციელს აგვიხსნის", - განაცხადა "ფლამენგოს" მთავარმა მწვრთნელმა კუკიმ.

## "ზარსელონას" წარმატებით "სევილიამაც" იხიერა

თანამედროვე ფეხბურთში ტრანსფერებს უდიდესი როლი ენიჭება. ტრანსფერის განხორციელების დროს კი სარფიანი კონტრაქტის გაფორმება მთავარია. თუ როგორ უნდა გაფორმდეს კონტრაქტი სარფიანად, ამის ნათელი მაგალითი "სევილიაა".

გასულ სეზონში სევილიურმა კლუბმა "ზარსელონას" ბრაზილიელი მცველი დანი ალვეში 29 მილიონ ევროდ მიჰყიდა, თუმცა კონტრაქტში ჩაიდო პუნქტი, რომლის თანახმად, თუ "ზარსელონა" გარკვეულ წარმატებას მიაღწევდა, "სევილია" ბონუსის სახით კიდევ მიიღებდა ფულს. "ზარსელონამ" ამ სეზონში ფანტასტიკურად ითამაშა და სამი ტიტული მოიგო. ზემოხსენებული პუნქტის თანახმად, "ზარსამ" "სევილიას" კიდევ 6 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

"თავის დროზე, "ჩელსისთან" მოლაპარაკების შემდეგ, მეტად საჭირო გამოცდილება მივიღეთ. ამიტომ "ზარსასთან" გარიგებისას ყველაფერი გავითვალისწინეთ და ხელშეკრულებაში დამატებით 6 მილიონი ევროს მიღების პუნქტი ჩავდეთ. გასათვალისწინებელია, რომ ბონუსებს ფეხბურთელის მიერ ჩატარებული ყოველი სეზონის შემდეგ მივიღებთ. თუ ალვეშს გაყიდვიან, "ზარსელონას" ჩვენთვის კუთვნილი თანხის გადახდა მაინც მოუწევს. სწორედ ამიტომ ვამბობდით, რომ ბრაზილიელის ტრანსფერი 41 მილიონად შეფასდა," - განაცხადა "სევილიას" პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ.

## ტრეზევე ტურინის დატოვებას ცდილობს

ტურინის "იუვენტუსის" ფრანგ ფორვარდს დავიდ ტრეზევეს კლუბის შეცვლა სურს. ფეხბურთელის გაშვებაზე უარს არც "იუვენტუსი" ამბობს.

31 წლის ფორვარდი უკვე შეუთანხმდა კლუბის მესვეურებს: თუ რომელიმე გუნდს მზრიდან შეთავაზებული პირობები ორივე მხარეს დააკმაყოფილებს, ფრანგი ფეხბურთელი გუნდს დატოვებს.

თავდამსხმელის აგენტის თქმით, მისი კლიენტით არაერთი ინგლისური კლუბია დაინტერესებული. გარდა ამისა, ტრეზევეს შექმნა "მარსელსა" და "ლოისნაც" სურთ. "იუვენტუსთან" ფეხბურთელის კონტრაქტი კიდევ ორ წელიწადზეა გათვლილი, თუმცა, დავიდს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა სურს.

"ჩემს კონტრაქტს "იუვენტუსთან" კიდევ ორი წლის ვადა აქვს. კლუბისთვის თავს არ ვზოგავ, მაგრამ წავალ, თუ ხელსაყრელი წინადადებით მომმართავენ და გატანილი გოლებით სიამოვნების მიღების შესაძლებლობა ისევ მომეცემა", - ამბობს ტრეზევე.

## "ჩელსი" დროგებას შეინარჩუნებს

ლონდონის "ჩელსი" ახალ სამწლიან კონტრაქტს შესთავაზებს კოტიდვიუარელ თავდამსხმელ დიდი დროგებას, რომელსაც კლუბთან ხელშეკრულება მომავალ წელს ეწერება.

"ჩელსის" ახალ მთავარ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის დროგებას შეინარჩუნება სურს და თავად ფეხბურთელიც მზადაა, კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს.

ახლა აფრიკელი ფორვარდის ხელფასი კვირაში 100 000 ფუნტია და კლუბის მენეჯერს რამანს აბრამოვიჩი მისთვის ანაზღაურების გაზრდას აპირებს.

"ჩელსიმ" დროგება 2004 წელს საფრანგეთის "მარსელიდან" 24 მილიონ ფუნტად შეიძინა. კოტიდვიუარელმა ინგლისის პრემიერლიგაში ჩატარებულ 134 მატჩში 55 გოლი გაიტანა.

## ბუნდესლიგამ ჯეკო აღიარა

გერმანიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელმა სეზონში საუკეთესოდ დაასახელეს "ვოლფსბურგის" 23 წლის ბოსნიელი ფორვარდი ედინ ჯეკო.

გამოკითხვის მიხედვით, ჯეკომ, რომელმაც სეზონში 26 გოლი გაიტანა (6 პირველ, ხოლო 20 მეორე ნრეში), ხმათა 25,8 პროცენტი მიიღო.

მეორე ადგილზე გავიდა მისი ბრაზილიელი თანაგუნდელი, 28 გოლით ბუნდესლიგის მთავარმეგობლის ნოდების მომხვეჭი გრაფიტი - მას რესპონდენტთა 22,5 პროცენტმა მისცა ხმა.

მესამე საფეხური ბრემენის "ვერდერის" ან უკვე ყოფილმა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა დიეგომ დაიკავა - 15,5 პროცენტი. გამოკითხვის შედეგები "კიკერში" გამოქვეყნდა.

## მატერასი "ოლიმპიაკოსში" გადადის

ბერძნული "ოლიმპიაკოსი", რომლის მთავარ მწვრთნელად ცოტა ხნის წინ თემურ ქეცბაია დანიშნა, მომავალი სეზონისთვის დაცვის გაძლიერებას აპირებს და ამ მიზნით "ინტერის" მცველის მარკო მატერასის შექმნას გეგმავს. იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, თავად ფეხბურთელს არ ხიზლავს მილანური კლუბის დატოვება, რომელთანაც ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და უახლოეს ხანში "ნერაპურისთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას გეგმავს.



**დაიკყარი მწვერვალი!  
გახდი მოდელი!**

საპრიზო ფონდი  
**\$325 000**

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ვანგელისა, სტეფანი სეიმუხი, ელენა შიფუჩი, სინდი ჯოუნსონი - მათ აიჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 ნომერ ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიჩვილი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნა Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წახმატებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კაჩიხას.

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნოცადის №8 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge



**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის  
მანუალური თერაპიის და  
სამკურნალო  
მასაჟის სპეციალისტი  
ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი  
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20  
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი  
ქალის ჯანმრთელობაა!  
თავი დაიცავით სარკვევი ჯირკვლის  
და საშვილოსნოს ავთვისებიანი  
სიმსივნეებისგან !!!**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკვევი ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;



**1 მარტიდან**

საჯალბო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი "ნიუ იორკ თაიმსთან" ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის "24 საათის" ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება "24 საათისგან" დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;





**VARTA**-ს ექსკლუზიური დილერი საქართველოში "თეგეტა მოტორსი" გთავაზობთ აკუმულატორებს ნებისმიერი მოდელის ავტომანქანისათვის. 8 წლიანი რეკურსით და 2 წლიანი საგარანტო მომსახურებით.

**დროა შეაბრეთ სრულიად განსხვავებულ სახსარში**

**VARTA**  
საავტომობილოს აქსესორები

**ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 93-12 კმ.**  
☎ **24-44-44** ☎ **24-44-44 (1119)**  
E-mail: [info@tegetamotors.ge](mailto:info@tegetamotors.ge) [www.tegetamotors.ge](http://www.tegetamotors.ge)

**თეგეტა მოტორსი**  
**TEGETA MOTORS**  
HOLDING COMPANY  
დროა აბრჩიო ხარისხი

**ს.ს "კახეთის ენერჯო-ინვესტიციები"**

აჩინებულის ქ. N 1  
2200 თელავი, საქართველო  
ტელ: 8 250 7 42 92; 7 56 50  
ფაქსი: 8 250 7 12 32  
საკონტაქტო პირი: ჟანა დიდბაშვილი ტელ: 895 22 47 47  
E-MAIL: [Jana-didebashvili@yahoo.com](mailto:Jana-didebashvili@yahoo.com)

ს.ს "კახეთის ენერჯო-ინვესტიციები" აცხადებს კონკურსს კომპანიის ლოგოს შქმნაზე. ლოგოს გამო-სახულების შესაქმნელად დიზაინერებს აქვთ თავისუფალი შემოქმედებითი ხედვის გადმოცემის უფლე-ბა.

კონკურსანტებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადა-ში.

კონკურსში გამარჯვებული ლოგოს ავტორისათვის დაწესებულია პრემია 1000 (ათასი) ლარი.

- ტენდერში ჩატარებული ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქალაქ ახალქალაქის რუსთაველის და მიკოიანის ქუჩების რეაბილიტაციაზე გაიმარჯვა შპს "ბელ-ბაუ" და მასთან გაფორმებულია ხელშეკრულე-ბა 2009 წლის 02 ივნისიდან.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი - ნ. ირიციან

2 ივნისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"  
DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით  
სხდომის დღის კუპლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომავალი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია რუსუდან ბერსენაძის, სოფიო საფარიძის და ნოდარ საფარიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 49 519.17 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

სხენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 19 ივნისს 11:00 საათ-ზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშა-ველას N71, I სართული

სხენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე რუსუდან ბერსენაძე მცხ: ქ.ბათუმი, ბერი-ძის ქ. N13, სოფიო საფარიძე, მცხ: ქ.ბათუმი, ბერიძის ქუჩის შესახვევი N13 და ნოდარ საფარიძე, მცხ: ქ.ბათუ-მი, ბერიძის ქუჩის შესახვევი N13;

**იყიდება!**

**მოქმედი მრავალფრაქციული  
"დრაბილკა",  
ლიცენზირებული კარიერით  
80 000 კვ. მ-ზე  
ტექნიკასთან ერთად:**

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

**ფასი შეთანხმებით**

**საკონტაქტო ტელეფონი:  
877 24 44 84**

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,დავების განმხილველი ცენტრი"  
DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის კუპლიკაციის მიზნით DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომავალი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია სანატრელი ბენდელიანის, ინგა თირქი-ას, ნანა კვიციანიას მიმართ.

სხენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა და-ნიშნულია 2009 წლის 17 ივნისს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტ-რაჟი დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბი-ლისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

სხენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე სა-ნატრელი ბენდელიანი მცხოვრები ქ. ზუგდიდი, წერეთლის 105, ინგა თირქია მცხოვრები ზუგდიდი, სოფ. ყულიშკარი, ნანა კვიციანია მცხოვრები ზუგდიდი, ტაბიძის 3.

# ბანკები

შ.პ.ს. "თბილისის N2 საოჯახო მედიცინის ცენტრის" მიერ სატრანსპორტო საშუალების აუქციონის ფორმით რეალიზების შესახებ

შ.პ.ს. "თბილისის N2 საოჯახო მედიცინის ცენტრი" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის N10-54 გადაწყვეტილებით "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი ნილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებული დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 8 მაისის N12.25.411 დადგენილების საფუძველზე აცხადებს აუქციონს (აუქციონი პირობებით) მის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციაზე.

### აუქციონის პირობები:

**ლოტი** - სატრანსპორტო საშუალება ვაზ-21074, გამოშვების წელი 1999, სარეგისტრაციო ნომერი **MIS 117**;

- საწყისი ფასი - 1000 ლარი;
- "ბე"-ს ოდენობა - 400 ლარი (40%);
- ბიჯი - 20 ლარი;
- მონაწილის ბილეთის ღირებულება - 20 ლარი.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

- ა) საკუთარი სახსრებით განახორციელოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია-გადაფორმება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებისას საჭირო სანოტარო ხარჯების გადახდა.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადები მიიღება განაცხადების პრესაში გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 4 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 3 ივლისს 17 საათზე შემდეგ მისამართზე: თბილისი, თ. ერისთავის 3, შპს "თბილისის N2 საოჯახო მედიცინის ცენტრი".

ვის 3, შპს "თბილისის N2 საოჯახო მედიცინის ცენტრი".

აუქციონში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, სააუქციონო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

### იურიდიული პირებისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- სადაამფუნქციონირებელი დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

### ფიზიკური პირებისათვის:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

აუქციონში მონაწილეობისათვის "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

ს.ს. "თბილისის ბანკის"-ნაძალადევის ფილიალი  
ბანკის კოდი N220101820  
ანგარიშსწორების ანგარიში N101467612  
საიდენტიფიკაციო კოდი N200006493

დამატებითი ინფორმაცია და დანვრლებითი ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: ქ.თბილისი, თ. ერისთავის 3, ტელ.: 69-16-26.

# ბ ა ნ კ ე ბ ი ტ ე ნ დ ე რ ი ს რ ა ტ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს ქალაქ დუშეთის ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

### შესყიდვა განხორციელდება სამ ლოტად:

#### 1. პირველი ლოტი:

ქალაქ დუშეთში რუსთაველის ქუჩის შესახვევში ასფალტის საფარის მოწყობა;

#### 2. მეორე ლოტი:

ქალაქ დუშეთში რუსთაველის ქუჩაზე (ზედა ნაწილი) ასფალტის საფარის მოწყობა;

#### 3. მესამე ლოტი:

ქალაქ დუშეთში ერეკლე მეორეს ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა.

შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და ტექნიკური პარამეტრები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში.

2. **მიწოდების სავალდებულო ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე.

3. **დაინტერესებულმა პირებმა** საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 25 ივნისის 11:00 საათიდან 30 ივნისის 16:00 საათამდე. დალუქული კონვერტები გაიხსნება 2009 წლის 30 ივნისის 16:00 საათზე. შემდეგ მისამართზე: ქალაქი დუშეთი რუსთაველის ქუჩა N 27, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველი სართული სატენდერო კომისია.

4. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.**

#### 4.1 იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუნარიობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობა იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ(იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

#### - 4.2 ფიზიკური პირისათვის;

- ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დანესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუნარიობის საქმის წარმოება(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან).
- ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- 4.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის;
- 4.3.1.ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.

- 4.3.2.ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. **სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის** გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 5 ივნისის 10:00 საათიდან - 25 ივნისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქალაქი დუშეთი რუსთაველის ქუჩა N 27, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველი სართული სატენდერო კომისია.

7. თანხა გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე; სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი ბ/კ 220101403 ა/ა 33030001.

**დანიშნულება:** - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი. ქალაქ დუშეთის ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო გარანტიის ფორმით.

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შერულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 3 %-ის ოდენობით, საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის ფორმით.

11. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: ლაშა ჯანაშვილი 895229729, მანანა ნარიშანიძე 895962545, დალი ნამგალაური 895-96-25-41, მისამართზე: ქალაქი დუშეთი რუსთაველის ქუჩა N 27, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველი სართული სატენდერო კომისია.

12. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება გარდა 4.3.1 --- 4.3.2 ქვეპუნქტებისა.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული.

14. სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად

### სატენდერო კომისია

დაურთონ: ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV); გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს; ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს.

საბუთები მიიღება 2009 წლის 31 ივნისის ჩათვლით. მისამართი: აკად. გ. წერეთლის ქ. 3, 0162 თბილისი. ოთახი 209.

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ინსტიტუტის ქვემოთ ჩამოთვლილ სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

- 1) თურქოლოგიის განყოფილება - მეცნიერ თანამშრომელი (1 ადგილი, 0,5 განაკვეთი);
  - 2) ბიზანტინოლოგიის განყოფილება - მეცნიერ თანამშრომელი (1 ადგილი, 0,5 განაკვეთი);
  - 3) ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილება - მეცნიერ თანამშრომელი (2 ადგილი, 0,5 განაკვეთი);
  - 4) ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება - მეცნიერ თანამშრომელი (1 ადგილი, 0,5 განაკვეთი).
- კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა

### ბანკსადაც ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ისანი - სამგორის რაიონის; გლდანი - ნაძალადევის რაიონის; ვაკე საბურთალოს რაიონის გამგეობების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

#### 1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილი იქნება 3 (სამ) ლოტად.

ლოტი N 1 ისანი - სამგორის რაიონის გამგეობის შენობის სამშენებლო სამუშაოები;

ლოტი N 2 გლდანი - ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობის სამშენებლო სამუშაოები;

ლოტი N 3 ვაკე - საბურთალოს გამგეობის შენობის სამშენებლო სამუშაოები.

შესრულების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 24 ივნისის 11:00 საათიდან 2009 წლის 24 ივნისის 17:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

#### 3.1. იურიდიული პირისათვის:

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადალის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

#### 3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

#### 3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მინორების შესახებ;

დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-ს ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბან-

კიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;

შემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, ისანი - სამგორის რაიონის; გლდანი - ნაძალადევის რაიონის; ვაკე საბურთალოს რაიონის გამგეობის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 4 ივნისიდან 2009 წლის 24 ივნისის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, გიორგი ჯიქია, ტელეფონი - (995-32) 37-85-80 სატენდერო კომისია

### ბანკსადაც ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:

#### ლოტი I

ქ.თბილისი, ყვარლის ქ.N160-ში განთავსებული კადრების სამმართველოს პროფესიული მომზადების ცენტრის ტერიტორიაზე ტაქტიკური წვრთნების ჩასატარებელი სასროლო სავარჯიშო ბაზის, ღია 100 მეტრიანი სიგრძის სასროლოეთის, ა/მანქანების სამრეცხაოსა და ტერიტორიაზე ასფალტის საფარის მოწყობა.

#### ლოტი II

ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6-ში განთავსებული ავტო-სარემონტო უბნის შენობისა და ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.N2-ში განთავსებული ცენტრალური ადმინისტრაციული შენობის 1 სართულის რეკონსტრუქცია.

#### ლოტი III

ქ.ბათუმში, შავშეთის ქ.N7-ში განთავსებული აჭარის ა/რ დაცვის მთავარი სამმართველოს შენობის რეკონსტრუქცია.

3. სამუშაოების შესრულების სავარაუდო ვადაა 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების უფლება ლოტების მიხედვით.

5. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა ბანკი კოდი 220101222, ა/ა N200122900, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სადეპოზიტო-სახაზინო კოდი 302004500, მიუთითონ სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ორ (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან, ორიგინალი და თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული სანოტარო წესით) ეგზემპლარად მ.წ. 26 ივნისს 12.00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6 საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

7. პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

8. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

(ბანკის მიერ გაცემული) სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას. ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია (ბანკის მიერ გაცემული) - ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

#### 9.1. იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

- ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

- საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს კაკოტრების ან სანაცის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორიგინალურ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება) (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების (გამოცდილება) შესახებ;

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

- ბოლო ორი წლის განმავლობაში ფირმის მიერ შესრულებული სამუშაოს (სამუშაოების) ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარს.

#### 9.2. ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს კაკოტრების ან სანაცის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

- ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების (გამოცდილება) შესახებ;

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

- ბოლო ორი წლის განმავლობაში ფიზიკური პირის მიერ შესრულებული სამუშაოს (სამუშაოების) ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარს.

10. პრეტენდენტს ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა ფორმა N4.

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიაში, მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ. N6, ტელ: 923321.

სატენდერო კომისია

# ბანკადასახეობის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext.: 119), E-mail: globalfund@caucasus.net) ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროგრამის "მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება" ფარგლებში (გრანტი: N GEO-607-G04-M) გათვალისწინებულ მომსახურებაზე შემსრულებლის გამოსავლენად და ინვესტორში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს ("საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის თანახმად, "გლობალური ფონდის" ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები განთავსებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან);

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" გრანტი N GEO-607-G04-M);

3. შესყიდვის ობიექტია: "მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება", რაც ითვალისწინებს:

- მალარიის სახელმწიფო პროგრამის/ჯანდაცვის სამსახურების შესაძლებლობათა შემდგომი გაძლიერებას; მალარიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის გაუმჯობესებას;
- მალარიის დროული დიაგნოსტიკისა და ადექვატური მკურნალობის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერებას;
- მალარიის ვადამტანებზე კონტროლის გაუმჯობესებას;
- მალარიის ეპიდემიოლოგიის დროული რეაგირების და პრევენციის ღონისძიებათა სრულყოფას;
- ქვეყანაში მალარიაზე ეპიდემიოლოგიის მექანიზმის გაძლიერებას;
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებას;
- მოსახლეობის აქტიური ინფორმირებას და მისი ჩართვას მალარიის პროფილაქტიკის ღონისძიებებში;

შესყიდვეს მომსახურების აღწერილობა და მეთოდოლოგია ითვალისწინებს ქვემოთ აღნიშნული მიზნების განსახორციელებას:

- ჯანდაცვის სპეციალისტების მომზადება/გადამზადება რეგიონულ/რაიონულ დონეებზე მალარიის ეპიდემიოლოგიის, ეპიდემიის კონტროლის და საზოგადოების მობილიზაციის საკითხებში;
- მალარიასთან დაკავშირებული არსებული საკანონმდებლო ბაზის გადახედვა და სრულყოფა;
- ჯანმოს მონაწილეობა პროექტის დანერგვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში ტექნიკური დახმარების სახით;
- მალარიაზე მომუშავე პერსონალის მომზადება/გადამზადება დაავადების მართვისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის საკითხებში;
- ცენტრალური რეგერენს-ლაბორატორიის აღჭურვა;
- მალალხარისხიანი ლაბორატორიული პრაქტიკისა და მკუნალობის უზრუნველყოფა;
- ქვეყნის უზრუნველყოფა მედიკამენტებით მალარიის სამკურნალოდ და ქიმიოპროფილაქტიკისათვის;
- მალარიაზე მომუშავე ენტომოლოგიური პერსონალის მომზადება/გადამზადება;
- ენტომოლოგიური ოფისების განახლება ცენტრალურ და რეგიონულ/რაიონულ დონეებზე;
- მალარიის ვადამტანებზე კომპლექსური კონტროლის განხორციელება;
- მალარიის ეპიდემიოლოგიის საშიში ზონების განმეორებითი იდენტიფიკაცია და კატეგორიზაცია, მალარიის კერებისა და რისკის ქვეშ მყოფი პოპულაციის კარტირება;
- ეპიდემიის პრევენციის და კონტროლის, მზადყოფნის სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- მედიკამენტების, აღჭურვილობისა და ინსექტიციდების აუცილებელი მარაგის შექმნა ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე;
- პარაზიტოლოგიების/ეპიდემიოლოგიების მომზადება/გადამზადება თანამდროვე ეპიდემიოლოგიის საკითხებზე რეგიონულ/რაიონულ დონეებზე;
- ეპიდემიოლოგიური, ენტომოლოგიური და მეტეოროლოგიური მონიტორინგის გაუმჯობესება; ტერიტორიის სტრატეგიკაცია;
- მალარიის შემთხვევათა შეტყობინების სისტემის გაუმჯობესება;
- გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები მალარიის ვადამტანების ბიონომიკის დარგში, ვადამტანების და პარაზიტების გენოტიპირება;
- მოსახლეობაში მალარიის პროფილაქტიკის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ინტენსიური საინფორმაციო კამპანიების გზით;
- მალარიის შესახებ მოსახლეობის ცოდნისა და ინფორმირებულობის შეფასება;

4. მომსახურების განევის სასურველი ვადა: 2009 წლის 01 ივლისი - 2012 წლის 01 ივლისი

(შენიშვნა: მომსახურების განევის ვადებთან და პირობებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას);

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ: 2009 წლის 25 ივლისის 10:00 სთ.-დან 2009 წლის 25 ივლისის 16:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე: 2009 წლის 24 ივლისის 16:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
- ა) იურიდიული პირისათვის:
    - შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ ან სამენარქო რეესტრირიდან ამონაწერი (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
    - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
    - ცნობა სასამართლოდან ან იუსტიციის სამინისტროდან, რომ არ მიმდინარეობს მის მი-

მართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

- ბ) ფიზიკური პირისათვის:
  - ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
  - ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
  - ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის /ვაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

- გ) როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:
  - შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
  - სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);
  - ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

- დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით ასევე უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:
  - ინფორმაცია მალარიის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია მალარიის მართვის და მონიტორინგის გამოცდილების და სათანადო დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული საქმიანობების შესახებ);
  - ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (გამოცდილების მქონე ექიმებისა და ტექნიკ-ლაბორანტების კვალიფიკაციის მითითებით და სახელმწიფო/ან საერთაშორისო სერტიფიკატი, მისი საჭიროების შემთხვევაში);
  - ინფორმაცია ტრენინგებისა ან/და თემატური სასწავლო პროცესის განხორციელებისა და გამოცდილების შესახებ (არსებული მეთოდოლოგია, ინფორმაცია სათანადო ბაზის არსებობასთან დაკავშირებით);
  - ინფორმაცია მალარიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიმართული სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილების შესახებ;
  - სამომხვევითი მუშაობის გამოცდილება;
  - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები /ნებართვები შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის;
  - მომსახურების აღწერილობა და მეთოდოლოგია;
  - ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასანევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებები (ორიგინალი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, არსებობის შემთხვევაში);
  - გასანევი მომსახურების ვადები (გეგმა-გრაფიკი);
  - არსებული და მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინვენტარის ჩამონათვალი;
  - გასანევი მომსახურების ჩამონათვალი და განფასება;

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდეგმ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

9. პრეტენდენტების მიერ მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი); უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით;

10. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს;

